საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 მაისი **შაბათი** 2012 **№111 (13 717)** ფასი 80 თეთრი

# საქართველო 13 მაისის მოლოდინში

## საოცრად ჟღერს: ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი, საქართველო-ჰოლანდია!




2



## ვასილ მაისურაძე: ბიჭებს არავის რიდი არ აქვთ

**გუშინ** საღამოს სლოვენიაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვასილ მაისურაძეს შევეხმიანეთ და ბლიც-ინტერვიუში ბოლო მატჩით მიღებულ შთაბეჭდილებებსა და სანახევარფინალო სამზადისზე ვესაუბრეთ.

**- პირველ რიგში, ამ წარმატებას გილოცავთ. რის ხარჯზე შეძლო საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა?**

- მადლობა მილოცვისთვის. ამაზე საუბარი ძალიან დიდხანს შემიძლია, მოკლედ კი ასე გიპასუხებთ - ბიჭებმა ამდენს შემართებით, პროფესიონალიზმითა და სამშობლოს სიყვარულით მიაღწიეს.

**- როგორი კონდიციებით ხვდება საქართველოს ნაკრები ჰოლანდიასთან დაპირისპირებას? გადაღლილობის საფრთხე ხომ არ არსებობს?**

- ახლა ნაკრების სამწვრთნელო და სამედიცინო შტაბის მთავარი საფიქრალი და საზრუნავი სწორედ ის არის, რომ ფეხბურთელები ნახევარფინალს დასვენებული გონებითა და ძალებით შეხვდნენ. ამ ეტაპზე პირველ პლანზე ფსიქოლოგიური მომზადება გამოდის. ბიჭებს არც ერთი მეტოქის რიდი არ აქვთ, მაგრამ ნახევარფინალი მაინც ნახევარფინალია და მას სხვაგვარი მომზადება სჭირდება.

**- ისლანდიასთან მატჩის მეორე დღემ როგორ ჩაიარა?**

- გუნდი მინიმალურად დავტვირთეთ, ხვალ (დღეს, ავტ.) კი ალბათ, საერთოდ არ ვივარჯიშებთ. ჰოლანდიასთან შეხვედრამდე ძალიან მცირე დრო გვრჩება და ძალები რაციონალურად უნდა გავანაწილოთ.

**- მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- უკვე ვნახეთ ჰოლანდია-ინგლისი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გაიმართა. სლოვენიაში ჰოლანდიელთა თამაშის ცოცხლად ნახვა ვერ მოვახერხეთ, სამაგიეროდ, ხელთ გვაქვს მათ მიერ ჯგუფურ ეტაპზე ჩატარებული სამივე მატჩის ვიდეოჩანაწერი და მათ ფეხბურთელებთან ერთად დეტალურად გავაანალიზებთ. რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი გუნდია, მისი რამდენიმე წევრი კი უკვე ხვდება წამყვანი ჰოლანდიური კლუბების 18-კაციან განაცხადში. ჰოლანდიელები ჩვეულ სტილს არ ღალატობენ და მათი 17-წლამდელთა ნაკრებიც ამ ქვეყნის საფეხბურთო ტრადიციების შესაბამისად თამაშობს.

**- ნახევარფინალში დისკვალიფიკაციის გამო ლაშა დვალი დაგვაკლდება. სხვა რომელიმე ფეხბურთელის გამოკლების საშიშროება ხომ არ არსებობს?**

- არა, მხოლოდ დვალი ვერ ითამაშებს. მან გაფრთხილება საკმაოდ დასანან ვითარებაში მიიღო...

**- ბოლო მატჩში ძირითად შემადგენლობაში ორი ცვლილების განხორციელება რით იყო გამოწვეული?**

- გადაღლილ ჭეჭელაშვილსა და წილოსანს დასვენებულები, აბურჯანია და მესხი ვამჯობინე. მოხარული ვარ, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ აბურჯანია არათუ ძველებურ დონეზე ათამაშდა, არამედ მძაფრი კონკურენციის წყალობით, მოუმატა კიდეც და ეს შანსიც დაიმსახურა.

**- ნახევარფინალისთვის სასტარტო თერთმეტეული უკვე შერჩეული გყავთ?**

- ჩვენთან კონკურენცია ნაკლებად ეხება მეკარესა და დაცვის ხაზს, სხვა რგოლებში კი ძირითადი შემადგენლობის წევრები არცთუ იშვიათად იცვლებიან. შესაბამისად, ცვლილებები არც ამჯერადაა გამორიცხული. მოედანზე პირველივე წუთიდან ის თერთმეტი მოთამაშე გავა, რომლებიც მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე კონკურენტებზე უკეთ წარმოაჩენენ თავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დინამოს ბუბა ჭყავაძე უბრუნდება



2

# აქეთ ანა იქით



ანა ტატიშვილი



ანა ჩაკვეტაძე

**რომში** იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 5 მილიონ დოლარზე მეტია. ბედმა ისე ინება, რომ დღეს კვალიფიკაციაში ერთმანეთის პირისპირ ორი ქართველი, ორი ანა დადგება - საქართველოს სახელით მოასპარეზე 22 წლის **ანა ტატიშვილი** (69) და რუსეთის წარმომადგენელი, 25 წლის **ანა ჩაკვეტაძე** (367). ეს მათი პირველი დაპირისპირებაა. ჩაკვეტაძეს ახლა არ ულხინს, თუმცა ერთ დროს ის მსოფლიოს მე-5 ჩოგანი იყო, მაგრამ ავადმყოფობამ უკან დახია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# პლეადა მიდის



კვირას ბოლო მილანურ მატჩს გამართავენ: ალესანდრო ნესტა, ჯენარო გატუზო, კლარენს ზეედორფი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი...

ევროთასების წინ

5-9

# ქუთაისი ზესტაფონისთვის?

საქართველოს ჩემპიონატი. XII ტურის წინათქმა

3

ქართული ფეხბურთი

U17. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალის წინათქმა

# საქართველო 13 მაისის მოლოდინში

## საოცრად ჟღერს: ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალი, ჰოლანდია-საქართველო!



საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში გასვლას ზეიმობს

ხვალ, 13 მაისს, ქართული ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შეიძლება ჩაიწეროს. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ჰოლანდიას დაუპირისპირდება და ჩვენი ბიჭები არც ამ მატჩში იქნებიან უშანსოდ.

"ამ ჯგუფიდან თუ გავედით, ევროპის ჩემპიონებიც გავხდებით", - როცა ცნობილი გახდა, რომ ელიტრაუნდში ჩვენი მეტოქეები ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა იქნებოდნენ, ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე ასე იხუმრა ერთმა გულშემატკივარმა. ეს მოსაზრება კი დღეს ხუმრობას უკვე აღარ ჰგავს. საქართველოს ნაკრებმა ელიტრაუნდშიც გაიმარჯვა და მართალია, ევროპის ჩემპიონობამდე ჯერ შორსაა, მაგრამ ფაქტია, რომ ნახევარფინალში გავიდა, სადაც უშანსოდ არავინ იქნება.

ხვალ ლიუბლიანას "სტოჟიცეზე" ჯერ გერმანია და პოლონეთი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, რის შემდეგაც, თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე, იმავე სტადიონზე ჰოლანდია-საქართველო დაიწყება. ამ მატჩის ხილვა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ტელეეთერით შეგვეძლება.

■ ■ ■

ჰოლანდიელები, სავარუდოდ, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ, ქართველები კი, სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ასცდნენ – დისკვალიფიკაციის გამო ვასილ მაისურაძის გუნდს ხვალ ცენტრალური მცველი ლაშა დვალი დააკლდება. მისი მეწყვილე, გუნდის კაპიტანი ნიკა ჭანტურია ისლანდიასთან მატჩისას იძულებით ნაადრევად შეცვალეს, მაგრამ იგი ამჟამად თავს უკვე კარგად გრძნობს და ჰოლანდიასთან თამაშსაც შეძლებს.

გუშინ საქართველოს ნაკრები დიდად არ დატვირთულა, შეიძლება ითქვას, გუშინდელი დღე განტვირთვას უფრო დაეთმო. ნაკრების წევრებმა ლიუბლიანაში გაისეირნეს და ქალაქის მართლმადიდებლური ეკლესიაც მოინახულეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების სასტუმროში გერმანულმა დელეგაციამ გადმოინაცვლა და ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩის შედეგის გამო, ქართველი და გერმანელი ფეხბურთელები ერთმანეთს თბილად მიესალმნენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა და სტატისტიკა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

| № ფეხ. | თ | ძ | გ | ს/პ | გფ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ალექსანდრე ადამია (მ.) | 3 | 3 | - | - | - |
| 2. ოთარ კაკაბაძე | 3 | 3 | - | - | - |
| 3. ლაშა დვალი | 3 | 3 | - | - | 2 |
| 4. ნიკა ჭანტურია | 3 | 3 | - | - | 1 |
| 5. გიგა სამხარაძე | 3 | 3 | - | 1 | - |
| 6. ჟიაგერ ჭეჭელაშვილი | 2 | 2 | 1 | - | 1 |
| 7. გიორგი აბურჯანია | 2 | 1 | - | - | 1 |
| 8. გიორგი პაპუნაშვილი | 3 | 3 | - | - | 1 |
| 9. ვანო წილოსანი | 2 | 2 | - | - | - |
| 10. ნიკა ახვლედიანი | 2 | 1 | - | - | - |
| 11. დავით დარციმელია | 3 | - | 1 | - | 1 |
| 12. ნიკა შერმადინი (მეკ.) | - | - | - | - | - |
| 13. მათე ცინცაძე | 2 | - | - | - | - |
| 14. დავით ჯიქია | 3 | 3 | - | - | - |
| 15. ალეკო მზევაშვილი | 3 | 2 | - | - | 1 |
| 16. გიორგი გაბაძე | - | - | - | - | - |
| 17. არჩილ მესხი | 1 | 1 | - | - | 1 |
| 18. გიორგი გოროზია | 3 | 3 | - | - | 1 |

შენიშვნა: თ - თამაში, ძ- ძირითადში, გ- გოლი, ს/პ - საგოლე პასი, გფ - გაფრთხილება

**4.05**

**საქართველო-გერმანია** 0:1

**გოლი:** 0:1 მაიერი (60)

**7.05**

**საფრანგეთი-საქართველო** 1:1

**გოლები:** 0:1 ჭეჭელაშვილი (30. პენ.), 1:1 ლემარი (67)

**10.05**

**საქართველო-ისლანდია** 1:0

**გოლი:** 1:0 დარციმელია (74)

■ ■ ■

ჰოლანდიის ნაკრები ევროპის 17-წლამდელთა მოქმედი ჩემპიონია, ამით კი უკვე ბევრი რამაა ნათქვამი. თუმცა საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისკენ მიმავალი გზიდან იმდენი სახელოვანი მეტოქე ჩამოიცილა, ნაკლებად გვაქვს იმის შიში, რომ ვასილ მაისურაძის ბიჭები ნარინჯისფერთა ავტორიტეტის გავლენის ქვეშ მოექცევიან.

ჰოლანდიელებმა ჯგუფურ ეტაპზე არ წააგეს, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ნახევარფინალში დიდი რიხით გავიდნენ. საქართველოს ნაკრების მეტოქემ მხოლოდ მასპინძელი სლოვენია დაამარცხა, რასაც ორი უგოლო ფრე მოაყოლა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიის ნაკრები ფინალურ ეტაპზე წაუგებლად არ გასულა. პირველ შესარჩევ რაუნდში ამ გუნდმა ქართველთათვის კარგად ნაცნობ ინგლისთან 0:1 წააგო.

ჰოლანდიელ 17-წლამდელებს 41 წლის ალბერტ სტუივენბერგი თავკაცობს, რომელსაც როტერდამის "ფეიენოორდის" ასაკობრივ გუნდებში უმუშავია. რაც მთავარია, შარშან ჰოლანდიამ ევროპის ჩემპიონატი სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო!

ჰოლანდიელთა ძირითადი შემადგენლობა მკაფიოდ გამოკვეთილია და სასტარტო თერთმეტეულის წევრთა ნუმერაცია 1-დან 11-მდე ადის.

ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა და სტატისტიკა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

| № ფეხ. | თ | ძ | გ | ს/პ | გფ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიკ ოლი (მეკ.) | 3 | 3 | - | - | - |
| 2. დიავან ანდერსონი | 3 | 3 | - | - | - |
| 3. რიჩედლი ბაზური | 3 | 3 | - | - | - |
| 4. იორიტ ჰენდრიქსი | 3 | 3 | - | - | 1 |
| 5. იორის ფოსტი | 3 | 3 | - | - | - |
| 6. ტომ ჰაიე | 3 | 3 | - | 1 | - |
| 7. ელტონ აკოლასტე | 2 | 2 | - | - | - |
| 8. ნათან აკე | 3 | 3 | 1 | - | 1 |
| 9. რაი ფლუტი | 3 | 2 | 1 | - | - |
| 10. ტონი ვილენა | 2 | 2 | - | - | - |
| 11. ჟერონ ლუმუ | 2 | 2 | 1 | 1 | 2 |
| 12. ბრამ ვან ფლერკენი | - | - | - | - | - |
| 13. სანდი ვალში | 1 | - | - | - | - |
| 14. ბრანკო ვან დენ ბომენი | 1 | - | - | - | - |
| 15. პასკალ ჰუსერი | 1 | 1 | - | - | - |
| 16. მიკე ჰავეკოტე (მეკ.) | - | - | - | - | - |
| 17. ვუტერ მარინუსი | 3 | 2 | - | 1 | - |
| 18. კენსი მენიგი | 3 | 1 | - | - | - |

შენიშვნა: თ - თამაში, ძ- ძირითადში, გ- გოლი, ს/პ - საგოლე პასი, გფ - გაფრთხილება

**გზა ფინალურ ეტაპამდე**

პირველი შესარჩევი რაუნდი (ბოსნია): ბოსნია 3:0, ლატვია 4:1, ინგლისი 0:1

ელიტრაუნდი (ჰოლანდია): ალბანეთი 4:0, ირლანდია 2:1, სერბეთი 1:1

**ფინალური ეტაპი**

**4.05**

**სლოვენია-ჰოლანდია** 1:3

**გოლები:** 0:1 ფლუტი (13), 0:2 ლუმუ (35), 0:3 აკე (61), 1:3 ზაჰოვიჩი (74)

**7.05**

**ჰოლანდია-ბელგია** 0:0

**10.05**

**ჰოლანდია-პოლონეთი** 0:0

**ლევან ჯანეზაშვილი**



ჩვენი მეტოქე - ჰოლანდიის ნაკრები

დინამო



ბუბა ტყავაძე

# ბუბა ტყავაძე ბრუნდება

თბილისის "დინამოში" დიდი ცვლილებები ინყება. **რომან ფიფიას** მისვლის შემდეგ კლუბში დიდი ფული ჩაიდო, გუნდს იჯარით გადაეცა ეროვნული სტადიონი, ბაზა ისე გარემონტდა, თვალს და გულს უხარია. მშვენიერი სავარჯიშო პირობების გარდა შესამჩნევად გაუმჯობესდა კლუბის ფინანსური მდგომარეობაც: "დინამოს" ბიუჯეტმა 5 მილიონ დოლარს მიაღწია და დაიბრუნა ქვეყნის ყველაზე მდიდარი გუნდის სტატუსი. მოკლედ, ყველა პირობა იყო შექმნილი, "დინამოს" კვლავაც საჩემპიონო ამბიციები რომ ჰქონოდა, რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერიც განხორციელდა(საქართველოში დაბრუნდნენ **(გოგიტა გოგუა, გიორგი მერებაშვილი)**, მაგრამ...

ჩემპიონატში "დინამომ", მესამე ადგილიც რომ დაიკავოს, გუნდისთვის სეზონი მაინც ჩაგდებულია – ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულებიდან (ჩემპიონობა, თასი), ვერც ერთი მოიპოვა. ყველაზე ამბიციური და ტიტულოვანი კლუბისთვის კი ეს კატასტროფის ტოლფასი შედეგია.

ცხადია, რომან ფიფია დაფიქრდა, რომ კლუბის მართვაში რაღაც ისე ვერ იყო. შეცდომები თავადაც დაუშვა, მწვრთნელების უდროო ხშირი ცვლა სხვა არაფერი იყო. ყოველივე ეს კი გუნდს ვერ წაადგებოდა და ასეც მოხდა.

ახლა კი მართვაში რადიკალური ცვლილებები მოხდება. ჯერ კიდევ 23 აპრილს ვწერდით, რომ რუსთავის „მეტალურგის" მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** თბილისის „დინამოში" ბრუნდებაო.

მაშინ უცნაურად მოგვეჩვენა „დინამოს" ერთ-ერთი თავკაცის პასუხი, ამ ინფორმაციაზე ვერც კის გეტყვით და ვერც არასო. ჩვენთან საუბარში კი ბუბა ტყავაძემ თბილისურ კლუბში დაბრუნება უცნაურად უარყო: "სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლაზე არც მიფიქრია. დილმის ბაზაზე კი მართლაც ვიმყოფებოდი, „დინამოს" მეპატრონეს რომან ფიფიასაც ველაპარაკე და ეტყობა, ჭორები ამის გამო გავრცელდა. ვილაპარაკეთ არა ჩემს დაბრუნებაზე, არამედ გიორგი თექთურმანიძის იჯარის გაგრძელებაზე".

ტყავაძის სიტყვებში ეს გვენიშნა - "სეზონის ბოლოს კლუბიდან წასვლაზე არც მიფიქრიაო", ქვეტექსტი იყო, სეზონის შემდეგ დავფიქრდებიო. მოკლედ, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს და გუშინ შევიტყვეთ - ბოლო ცნობით, "დინამოში" სპორტულ დირექტორად ტყავაძის დანიშვნა გადაწყვეტილი ამბავია და და მან უკვე მოლაპარაკებებიც დაიწყო თავის ძველ-ახალ კლუბში ახალი ფეხბურთელების მიყვანაზე.

ტყავაძე "დინამოში" 2005-10 წლებში მუშაობდა, მაგრამ კლუბში რომან ფიფიას მისვლის შემდეგ პოსტიდან გადადგა. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეპატრონე რომ შეიცვალა, 2011 წლის 9 ივლისს „მეტალურგის" ხელმძღვანელი გახდა. ტყავაძე **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახის ნდობით სარგებლობდა და რუსთაველი კლუბის მმართველ დირექტორად დაინიშნა.

ტყავაძის პლუსი ისაა, რომ გუნდის მართვა და სატურნირო სტრატეგიის კარგად შედგენა ეხერხება, ჩინებულად იცნობს ქართული ფეხბურთის სამზარეულოს, ფეხბურთელები ხუთი თითივით შეისწავლა და რაც მთავარია, არც ისე შთამბეჭდავი შემადგენლობის მიუხედავად, "მეტალურგი" მაინც ჩემპიონობისთვის იბრძვის – ცხადია, მმართველი დირექტორის გარეშე, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

სიახლეა ისიც, რომ თბილისის "დინამომ" ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე იან ჰომერის სახელობის კორტები შეიძინა, სადაც შემოდგომიდან კლუბის საფეხბურთო აკადემია ამოქმედდება. მოეწყობა საცხოვრებელი კორპუსი და ყველაზე მნიშვნელოვანი - ბავშვები უფასოდ ივარჯიშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# იაშვილი: ნაბიჯი დარჩენისკენ

## ცხადაძის ბრინჯაოს გოლი

**ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუემ" გუშინ მესამე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან "რეგენსბურგთან" სტუმრად რელეგაციის პირველი მატჩი ჩაატარა და 1:1-ს მიაღწია, რაც განმეორებითი შეხვედრის წინ არცთუ ურიგო უპირატესობას უქმნის. "კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს, ორ წუთში კი მისმა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა. გუშინ იაშვილმა სეზონში მე-12 გაფრთხილებაც მიიღო. ამ გუნდების საპასუხო დაპირისპირება 14 მაისს გაიმართება.

საფრანგეთის ლიგა 2-ში "ტურმა" "ლე მანი" მიიღო და 2:1 დაამარცხა. "ლე მანის" შემადგენლობაში ტრავმის გამო კვლავ არ გამოჩენილა **გიორგი მაკარიძე. ამირან სანაიამ** "ბასტიას" ბოლო მატჩებში მონაწილეობა მიიღო, თუმცა გუშინ გუნდის 18-კაციან განაცხადშიც ვერ მოხვდა. "ბასტიამ", რომელმაც ელიტაში ალზევება კარგა ხნის წინ გაინაღდა, შინ "ნანტს" 2:1 სძლია.

გუშინ აზერბაიჯანში ზედა ექვსეულის გათამაშება დასრულდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის იყო, ევროპის ლიგის ვაკანტურ საგზურს ბაქოს "ინტერი" მოიპოვებდა თუ აგდამის "ყარაბახი". გამარჯვების შემთხვევაში მესამე ადგილსა და ამ საგზურს **გიორგი ადამიას** გუნდი დაეუფლებოდა, მაგრამ "ყარაბახი" სტუმრად მეორეადგილოსან "ხაზართან" 1:4 განადგურდა და ევროსარბიელს მიღმა დარჩა. ადამიამ მოედანზე 90 წუთი გაატარა.



ალექსანდრე იაშვილი (მარჯვნივ)

"ინტერს" კი ბრინჯაოს მედლები **ბაჩანა ცხადაძის** გოლმა დაუბევა. "ინტერმა" ბაქოურ დერბიში "ბაქი" 1:0 დაამარცხა, გამარჯვების გოლი კი ცხადაძე-უმცროსმა 65-ე წუთზე გაიტანა. მის გარდა, ქართველთაგან ამ მატჩში მონაწილეობა **ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** მიიღეს, **გიორგი ლომაია** კი განაცხადშიც არ ყოფილა.

დღეს აზერბაიჯანულ პრემიერლიგას ქვედა ექვსეულის გუნდებიც დაასრულებენ.

**ლევან ყენიამ** კი "შალკეს" ახალგაზრდული გუნდის მაისურით გოლი გაიტანა. "ხუმარათა" სარეზერვო შემადგენლობამ საკონტროლო მატჩში ლუქსემბურგის ახალგაზრდული ნაკრები 4:1 დაამარცხა. შეგახსენებთ, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ყენია კლუბს შეიცვლის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი

კოლხეთი–დინამო
bwin: 2.45 3.00 2.75
12.05. ფოთი. ფაზისი 17:00

მერანი–დილა
bwin: 2.75 3.10 2.35
12.05. მარტვილი. ცენტრალური 17:00

ტორპედო–მეტალურგი
bwin: 2.40 3.00 2.75
Live რეპორტაჟი პირველ არხზე
12.05. ქუთაისი. ტორპედო 18:00

ზესტაფონი–ბაია
bwin: 1.30 4.33 9.00
12.05. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 20:00

| ად | გუნდი | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბურთები გატ | სულ ბურთები გაშვ | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბურთები გატ | შინ ბურთები გაშვ | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბურთები გატ | სტუმრად ბურთები გაშვ | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 25 | 15 | 3 | 7 | 35 | 27 | 48 | 13 | 9 | 2 | 2 | 19 | 7 | 29 | 12 | 6 | 1 | 5 | 16 | 20 | 19 |
| 2 | ზესტაფონი | 25 | 13 | 7 | 5 | 43 | 26 | 46 | 12 | 6 | 2 | 4 | 18 | 14 | 20 | 13 | 7 | 5 | 1 | 25 | 12 | 26 |
| 3 | ტორპედო | 25 | 12 | 5 | 8 | 29 | 23 | 41 | 12 | 9 | 2 | 1 | 24 | 10 | 29 | 13 | 3 | 3 | 7 | 5 | 13 | 12 |
| 4 | დინამო | 25 | 9 | 10 | 6 | 39 | 30 | 37 | 13 | 4 | 7 | 2 | 21 | 14 | 19 | 12 | 5 | 3 | 4 | 18 | 16 | 18 |
| 5 | დილა | 25 | 9 | 7 | 9 | 33 | 26 | 34 | 13 | 6 | 2 | 5 | 20 | 13 | 20 | 12 | 3 | 5 | 4 | 13 | 13 | 14 |
| 6 | კოლხეთი | 25 | 6 | 8 | 11 | 22 | 36 | 26 | 12 | 4 | 3 | 5 | 10 | 14 | 15 | 13 | 2 | 5 | 6 | 12 | 22 | 11 |
| 7 | ბაია | 25 | 5 | 7 | 13 | 23 | 37 | 22 | 13 | 4 | 5 | 4 | 16 | 15 | 17 | 12 | 1 | 2 | 9 | 7 | 22 | 5 |
| 8 | მერანი | 25 | 6 | 3 | 16 | 30 | 49 | 21 | 12 | 5 | 2 | 5 | 19 | 20 | 17 | 13 | 1 | 1 | 11 | 11 | 29 | 4 |

## პლეი აუტი

| ად | გუნდი | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბურთები გატ | სულ ბურთები გაშვ | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბურთები გატ | შინ ბურთები გაშვ | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბურთები გატ | სტუმრად ბურთები გაშვ | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 11 | 7 | 2 | 2 | 22 | 9 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 13 | 1 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 9 | 8 | 9 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 2 | 3 | 15 | 7 | 20 | 5 | 5 | 0 | 0 | 13 | 2 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 2 | 5 | 5 |
| 3 | გურია | 11 | 5 | 4 | 2 | 17 | 17 | 19 | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 6 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 11 | 11 | 11 |
| 4 | ბათუმი | 11 | 5 | 2 | 4 | 12 | 11 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 10 | 5 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 2 | 6 | 4 |
| 5 | სპარტაკი | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 11 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 8 | 6 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 5 | 5 | 7 |
| 6 | სიონი | 11 | 4 | 5 | 2 | 16 | 9 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 12 | 5 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4 | 4 | 6 |
| 7 | გაგრა | 11 | 1 | 4 | 6 | 9 | 18 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 4 | 5 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 5 | 13 | 1 |
| 8 | მერცხალი | 11 | 0 | 1 | 10 | 2 | 24 | 1 | 5 | 0 | 0 | 5 | 2 | 8 | 0 | 6 | 0 | 1 | 5 | 0 | 16 | 1 |

ვიტ ჯორჯია–ჩიხურა
13.05. მცხეთა. მცხეთა პარკი 17:00

მერცხალი–გაგრა
13.05. ოზურგეთი. ცენტრალური 17:00

გურია–ბათუმი
13.05. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 17:00

სპარტაკი–სიონი
13.05. თბილისი. ბენდელა 17:00

# ორი ინტრიგა: ქართული და ევროპული


პლეი ოფის პირველი წრის მატჩი. მეტალურგი-ტორპედო 2:1
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების შთამბეჭდავმა ასპარეზობამ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი აშკარად დაჩრდილა, მაგრამ დღეს უმაღლეს ლიგაში ისეთი ამბები მოხდება, რომ ქართველ ჭაბუკებს გარკვეულ "კონკურენციას" მაინც გაუწევს.

ყველას ყურადღება, რაღა თქმა უნდა, ქუთაისისკენ იქნება მიმართული, სადაც "ტორპედო" რუსთავის "მეტალურგს" უმასპინძლებს. ორივე გუნდის მიზანი მკაფიოდ გამოკვეთილი და კონკრეტულია – გამარჯვება. "ტორპედოს" სამი ქულა მესამე პოზიციის გასამყარებლად და, შესაბამისად, ევროპის ლიგის საგზურის დასაუფლებლად, "მეტალურგს" კი ერთპიროვნული ლიდერობის შესანარჩუნებლად სჭირდება.

წინა ტურში "ზესტაფონმა" სტუმრად "მეტალურგს" შთამბეჭდავად და დამაჯერებლად სძლია და მასთან ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. საქართველოს მოქმედი ჩემპიონები კვლავაც არ არიან საკუთარ თავზე დამოკიდებულნი და იმედი უნდა დაიტოვონ, რომ რუსთაველებს ქუთაისელებიც გაამწარებენ. ასე რომ, ქუთაისური მატჩის შედეგი "ზესტაფონისთვის" ზუსტად ისევე გადამწყვეტია, როგორც უშუალოდ ამ შეხვედრის მონაწილეებისთვის.

ბუნებრივია, "ზესტაფონმა" საკუთარ საქმესაც უნდა მიხედოს – **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი დღეს ზუგდიდის "ბაიას" მიიღებს და აუცილებლად სამი ქულა სჭირდება.

გარკვეული ინტრიგა პლეი ოფის დანარჩენ ორ მატჩსაც აქვს. დინამოელები ფოთში იმის იმედად ჩადიან, რომ თავად გაიმარჯვებენ, მათი კონკურენტი "ტორპედო" კი ქულებს დაკარგავს, "დილას" კი ჯერ კიდევ აქვს მესამე პოზიციაზე გასვლის შანსი და მისი და "მერანის" მარტვილური დაპირისპირება უინტერესო არ უნდა გამოდგეს.

ხვალ პლეი აუტის მატჩები გველის, სადაც ერთის გარდა, ყველა მატჩის შედეგს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. "სპარტაკი"-"სიონის" წყვილში გამარჯვებული უმაღლესი ლიგისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს, დამარცხებული კი საქმეს გვარიანად გაიფუჭებს. მცხეთაში კი ერთმანეთს პლეი აუტის პირველი ორი გუნდი დაუპირისპირდება და ორივე მათგანი პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას შეეცდება. "ჩიხურა" უმაღლეს ლიგასთან ძალიან ახლოა, მაგრამ ქულათა მარაგის შევსება არ აწყენს, "ვიტ ჯორჯია" კი მდევრების სუნთქვას გრძნობს და მათთან მოპოვებული უპირატესობის შესანარჩუნებლად გამარჯვება სჭირდება. ლანჩხუთში ერთმანეთს ასევე უმაღლესი ლიგის პრეტენდენტები, "გურია" და "ბათუმი" შეებრძოლებიან. ოდნავ უკეთესი პოზიცია "გურიას" აქვს, მაგრამ ვეჭვობთ, ლანჩხუთელები საკუთარ კედლებში ფრისთვის ბრძოლას დასჯერდნენ.

"მერცხალისა" და "გაგრას" შეხვედრა კი, ფაქტობრივად, ამხანაგურია, რადგან უმაღლეს ლიგაში თამაშის შანსი ორივე მათგანმა დაკარგა.

მოკლედ, ძალიან საინტერესო და აშკარად გამორჩეული უქმეები გველის – დღეს, დიდი ალბათობით, საქართველოს მომავალი ჩემპიონი გამოიკვეთება, ხვალ კი ჩვენი 17-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზურისთვის ჰოლანდიელებს დაუპირისპირდებიან.

ინტერვიუ

# გია გეგუჩაძე: ფეხბურთის თამაში ქართველებსაც შეგვიძლია

**"ტორპედოს" მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს დღევანდელ შეხვედრაზეც ვკითხეთ, მისი გუნდის გეგმებსაც შევეხეთ და გვერდი არც ქართველ 17-წლამდელთა წარმატებისთვის აგვივლია.**

**- "ტორპედო"-"მეტალურგის" მატჩის მნიშვნელობაზე საუბარი, ალბათ, ზედმეტიცაა, მაგრამ მაინც საინტერესოა, რა განწყობით ემზადება თქვენი გუნდი ამ შეხვედრისთვის.**

- განწყობა სამუშაო და საბრძოლოა. კარგად ვიცით, რომ რთული დაპირისპირება გველის, მაგრამ მიზნად მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩანაფიქრს სისრულეში მოვიყვანთ.

**- ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო "ტორპედოს" ამ მატჩში ალექსანდრე კვახაძე და ნიკა ფირცხალავა დააკლდებიან...**

- დანაკლისი საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ ამ ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლას აუცილებლად შევძლებთ.

**- მეტოქის დღევანდელ სათამაშო ფორმას როგორ შეაფასებთ?**

- ბოლო პერიოდში "მეტალურგი" აშკარად მოძლიერდა და შესაბამის შედეგებსაც აჩვენებს. შეკრული გუნდია, სადაც გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების კარგი ნაზავია. რუსთაველებსაც მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ და ქუთაისში წარმატებისთვის მაქსიმალურად დაიხარჯებიან, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მიზანს "ტორპედო" მიაღწევს.

**- "მეტალურგთან" ჩატარებულ ბოლო მატჩს როგორ გაიხსენებთ?**

- რუსთავში პირველივე ტაიმში კაცნაკლულები დავრჩით, თუმცა ამის მიუხედავად, ანგარიშის გათანაბრება შევძელით. სამწუხაროდ, იმ მატჩში ბევრი შეცდომა დავუშვით და თამაშის მიწურულს მეტოქემ გამარჯვების გოლის გატანა შეძლო.

**- "დინამოსთან" მოგებული თამაში კიდევ ერთხელ გავიხსენოთ...**

- ვფიქრობ, ჩვენი გამარჯვება ლოგიკური იყო. პრაგმატულად და შედეგზე ორიენტირებულად ვითამაშეთ და ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა.

**- თქვენი ყოფილი კლუბის, "ზესტაფონის" ბოლოდროინდელ ასპარეზობას როგორ შეაფასებთ?**

- "ზესტაფონმა" გარკვეული არასტაბილური პერიოდი განვლო, მაგრამ თავისი კლასი "მეტალურგთან" ბოლო მატჩში დაამტკიცა. რუსთაველებმა აშკარად ფრეზე ითამაშეს, მაგრამ "ზესტაფონმა" მათ შანსი არ დაუტოვა. დღეისთვის "ზესტაფონი" საქართველოს საუკეთესო კლუბად რჩება.

**- შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ტორპედო" უკვე თამაშობს თქვენთვის სასურველ ფეხბურთს?**

- დიდი წარმატებების მისაღწევად გაცილებით მეტია საჭირო და ჯერ გუნდი ძალიან შორსაა იმისგან, რისი მიღწევაც მინდა, მაგრამ ფაქტია, რომ "ტორპედოს" თამაშში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება, რაც, ბუნებრივია, ძალიან მახარებს. ევროპის ლიგის საგზურს მივუახლოვდით, რაც ამ სეზონისთვის ურიგო შედეგად არ მიმაჩნია.


გია გეგუჩაძე

**- ალბათ, უკვე მომავალ სეზონზეც ფიქრობთ.**

- ამაზე საუბარი ჯერ ცოტა ნაადრევია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გეგმები უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს. ერთი სეზონი მეორეს არასდროს ჰგავს და გარკვეული ცვლილებები "ტორპედოშიც" იქნება.

**- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წარმატებას რა კომენტარს გაუკეთებთ?**

- ჩვენი ნაკრების ღირსეული და შედეგიანი ასპარეზობით ძალიან გახარებული ვარ და ყველას, ვისაც ამაში წვლილი მიუძღვის, სულით და გულით ვულოცავ. ამ გუნდმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ სწორი მუშაობისა და საქმისადმი პროფესიონალურად მიდგომის შემთხვევაში დიდი ფეხბურთის თამაში ქართველებსაც შეგვიძლია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

## ქართული ფეხბურთი

● ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიამ ძალამიძე გამოიძახა

პოლონური „იაგელონიას" 20 წლის ქართველი ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე თემურ ქეცბაიამ** თურქეთის ნაკრების წინაალმდეგ მატჩისთვის გამოიძახა. აღნიშნულ ინფორმაციას „იაგელონიას" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

თუკი ძალამიძეს მოედანზე გასვლის საშუალება მიეცემა, ეს მისი სადებიუტო მატჩი იქნება, აქამდე მას არასდროს მოურგია ეროვნული ნაკრების მაისურა.

შეგახსენებთ, რომ ეროვნული ნაკრები შეკრებას თბილისში, 15 მაისს დაიწყებს და შემდეგ ავსტრიაში გაემგზავრება, 24 მაისს კი ზალცბურგში თურქეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

**მაგდა კლდიაშვილი**

● სიტუაცია

# ნემსაძე და ცქიტიშვილი ახალ ამპლუაში



გიორგი ნემსაძე

რამდენიმე წლის წინ, **გიორგი ნემსაძემ** საფეხბურთო მენეჯერის სტატუსი მიიღო და ამ სფეროში საქმიანობდა; ოღონდ, მანამდე, ვიდრე თბილისის საკრებულოში არ აირჩიეს – ელემენტარულად, ამ პოსტზე მენეჯერობის უფლება არ ჰქონდა. თბილისის "დინამოში" მუშაობის დროსაც იგივე შეზღუდვა ჰქონდა.

გიორგი ნემსაძე თბილისის "დინამოს" სპორტული დირექტორის პოსტიდან აპრილში გადადგა და ბევრმა იფიქრა, რომ კვლავ ძველ საქმიანობას დაუბრუნდებოდა. მაგრამ საბოლოოდ, სხვა გზით წავიდა.

*"რამდენიმე დღეა, "მიხეილ მესხის" სტადიონზე, გაიოზ დარსაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მწვრთნელთა სემინარი. "დინამოდან" წამოსვლის შემდეგ "ბ" კატეგორიის ლიცენზირების გავლა გადავწყვიტე. საქმე ისაა, რომ კარიერის დასრულების პერიოდში ბევრს ვფიქრობდი, ფეხბურთის შემდეგ რა საქმიანობას დავიწყებდი და მწვრთნელობა ვამჯობინე. თუ გახსოვთ, ამას ჯერ კიდევ შოტლანდიური "დანდიში" თამაშის დროს ვამბობდი. ნაკრებშიც და კლუბშიც ჩანაწერებს ვაკეთებდი, შეკრებები როგორ იგეგმებოდა, რა პერიოდულობით, რა უნდა გამეთვალისწინებინა სეზონისა თუ კონკრეტული შეხვედრის სამზადისისას. ჩემთვის საინტერესო საკითხზე მწვრთნელებს ველაპარაკებოდი. მოკლედ, ახალი პროფესიის ათვისებით სერიოზულად ვიყავი დაინტერესებული.*

*მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა, მოვლენებმა გეგმები შემაცვლევინა: საფეხბურთო აგენტობას მივყავი ხელი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ვიყარე კენჭი, საკრებულოში ამირჩიეს და ბოლოს "დინამოში" სპორტული დირექტორის პოსტი მეკავა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, გული ყოველთვის მწვრთნელობისკენ მიმიწევდა. ახლა გავივლი "ბ" ლიცენზიის კურსს, შემდეგ "ა"-ს და იმედია, თავის გამოჩენას მოვახერხებ"* – ამბობს ნემსაძე.

აღსანიშნავია, რომ ნემსაძესთან ერთად, სამწვრთნელო სემინარს საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **ლევან ცქიტიშვილი** და "ზესტაფონის" სპორტული დირექტორი მიხეილ ხუციშვილიც ესწრებიან.

ამ ხალხს ფეხბურთში წლები აქვთ გატარებული, უდიდესი გამოცდილება და ცოდნა დაუგროვდათ და ვფიქრობთ, კარგი იქნება, მას ისევ ჩვენს ფეხბურთს თუ მოახმარენ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# სეზონს სუპერთასით დავამთავრებთ

"გაგრას" პრესსამსახურმა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: *"ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებიდან შეგვატყობინეს, რომ დიდი ალბათობაა, საქართველოს სუპერთასის შეხვედრა 29 მაისს გაიმართოს. 21 მაისს ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური გაიმართება და ან დროისთვის და ზუსტებით გვეცოდინება მატჩი შედგება თუ არა".*

შეგახსენებთ, რომ 2010-11 წლების სეზონის საქართველოს ჩემპიონი „ზესტაფონი" და დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი „გაგრა" ერთმანეთს ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უნდა შეხვედროდნენ, შემდეგ საუბარი ამ მატჩის თებერვალში გამართვაზეც იყო, მაგრამ...ვერა და ვერ ჩატარდა.

ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა **ნოდარ კაკულიამ** დაგვიდასტურა: *"დიახ, სუპერთასი, ალბათ, სწორედ სეზონის დასრულების შემდეგ გათამაშდება. სავარაუდოდ, „ზესტაფონი"-„გაგრას" შეხვედრას "მიხეილ მესხი" უმასპინძლებს. მხოლოდ თარიღია დასაზუსტებელი, თამაში ან 29 მაისს ჩატარდება ან- 30-ში. გუნდებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და იმედია, ეს თარიღები მათთვის მისაღები იქნება. ხოლო ის ფაქტი, რომ ორივე გუნდის ფეხბურთელები ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოიძახონ, არა მგონია, დაბრკოლება გახდეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ლომაია ინტერში რჩება

წინა თვეში **გიორგი ლორიას** თბილისის „დინამოდან" წასვლა რეალობას დაემსგავსა. საქართველოს ნაკრების 25 წლის მეკარეს თურქული კლუბის "კაისერის" მთავარი მწვრთნელი **შოთა არველაძე** აკვირდებოდა და როგორც შევიტყვეთ, თბილისური კლუბის თავკაცებისგან ტრანსფერზე პრინციპული თანხმობაც მიიღო. თუმცა, ლორიათი ესპანური ფრანგული, რუსული და უკრაინული კლუბებიც დაინტერესდნენ.

ასეა თუ ისე, ლორიას შესაძლო წასვლის გამო, გუნდში მის შემცვლელზე დაიწყეს ფიქრი. მაშინ სარწმუნოდ ჩანდა ინფორმაცია, „დინამოს" თავკაცებმა სასურველ კანდიდატურად **გიორგი ლომაია** შეარჩიესო: საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ და ბაქოს „ინტერის" ამჟამინდელმა წევრმა სამშობლოში დაბრუნებაზე წინასწარი თანხმობა განაცხადა, მაგრამ კონტრაქტზე ჯერ ხელი არ მოუწერიაო.

მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა: **კახა ცხადაძემ** "ინტერთან" კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა, ლომაიას "დინამოში" ჩამოყვანა კი მისი სურვილი იყო. ბაქოს "ინტერის" პრეზიდენტმა **გიორგი ნიკოლოვმა** ცხადაძეს აზერბაიჯანში დარჩენა იმიტომაც სთხოვა, რომ "დინამოში" მისი გადასვლა ამჟამინდელი შემადგენლობის დაშლას ნიშნავდა. მოკლედ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ცხადაძეც და ლომაიაც ბაქოს "ინტერში" რჩებიან.

*"ლაპარაკი იყო თუ არა, ფაქტია, რომ მომდევნო სეზონშიც "ინტერში" ვითამაშებ. ასე რომ, "დინამოში" ჩემი გადასვლის თემა დახურულია"* – გვითხრა ლომაიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი

**II ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა**

XXIII ტური

| | |
|---|---|
| იუსი ბესტი (თბ.) – სასკო (თბილისი) | 2:2 |
| ივერია (ხაშური) – იბერია (თბილისი) | 2:3 |
| დუშეთი – ლაგოდეხი | 4:1 |
| ალგეთი (მარნ.) – ლიახვი (აჩაბეთი) | 2:3 |
| 35-ე სკოლა (თბ.) – აბული (ახალქალ.) | 5:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 23 | 18 | 3 | 2 | 61-11 | 57 |
| 2. იუსი ბესტი | 23 | 14 | 7 | 2 | 57-25 | 49 |
| 3. დუშეთი | 23 | 11 | 4 | 8 | 46-39 | 37 |
| 4. ივერია | 23 | 10 | 3 | 10 | 45-39 | 33 |
| 5. ლიახვი | 23 | 10 | 3 | 10 | 41-41 | 33 |
| 6. აბული | 23 | 10 | 3 | 10 | 38-48 | 33 |
| 7. 35-ე სკოლა | 23 | 10 | 2 | 11 | 44-49 | 32 |
| 8. იბერია | 23 | 7 | 3 | 13 | 35-52 | 24 |
| 9. ლაგოდეხი | 23 | 6 | 3 | 14 | 17-42 | 21 |
| 10. ალგეთი | 23 | 3 | 1 | 19 | 15-53 | 10 |

● სამსაჯო საკითხი

# ქართველები ევროპაში



დავით ხარიტონაშვილი

გუშინ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში ერთმანეთს მაკედონიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებები შეხვდნენ, ეს შეხვედრა კი ჩვენთვის საინტერესო იმითაა, რომ მას მსაჯთა ქართული ბრიგადა გაუძღვა – არბიტრი **დავით ხარიტონაშვილი** იყო, თანამსაჯები **გურამ ჩიგოგიძე** და **ზაზა ფიფია**, ხოლო მეოთხე მსაჯი – **გიორგი ვადაჭკორია.**

მასპინძელმა მაკედონიამ 1:0 გაიმარჯვა. ხარიტონაშვილმა სტუმართა კარში ორი თერთმეტმეტრიანი დანიშნა, თუმცა მაკედონელებმა მხოლოდ ერთი გამოიყენეს. 88-ე წუთზე ქართველმა არბიტრმა ჩრდილოირლანდიელებს ფეხბურთელი გაუძევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1000 ქვირის ჩვერილდმანი

**დავით მაჭართქილაძე**

# არც ბანგი და არც ოაზისი

დღეს ბევრი რამე ვერ გაირკვევა, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონტში ისეთი ტურია, ლოგიკური დასასრულისკენ რომ უნდა გადაიდგას ნაბიჯი. "ზესტაფონს" შანსი აქვს, პირველ ადგილზე გადავიდეს და იმ სპეციალისტების მოსაზრება გაამართლოს, ნიადაგ რომ ჩაგვჩიჩინებენ, ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე კარგ ფეხბურთს "ზესტაფონი" თამაშობსო.

წინა ტურში "დინამო" – "ტორპედოს" მატჩზე გახლდით. ამ თამაშზე უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა, ოღონდაც ფეხბურთი ისეთია, მხოლოდ მოგება-წაგება რომ ვერ იქნება საინტერესო. სტადიონზე რომ მიდიხარ, ის უპირატესობაც გაქვს, შეგიძლია, ამა თუ იმ ფეხბურთელს კარგად დააკვირდე ნებისმიერ ეპიზოდში და მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე. "დინამოდან" დაკვირვებას აბა, ვინ არ იმსახურებს, მაგრამ იმ თამაშში ყველაზე უფრო ამ გუნდიდან **ოთარ ხიზანეიშვილი** მომეწონა. ის ფეხბურთს ფაქტობრივად წლობით იყო ჩამოცილებული, მივიდა "დინამოში" და რას ვხედავთ: ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ შეხვედრაში თავისი გუნდიდან საუკეთესო სწორედ ის არის.

ცხადია, ეს ოდენ ჟურნალისტური აზრია, მაგრამ არა მგონია, ნამეტანი თამამი შეფასება იყოს. ხიზანეიშვილს საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ახლა თითქოს უკან აქვს მოტოვებული ყველაფერი. "დინამომ" კარგი საქმე გააკეთა, ეს ნიჭიერი მცველი ფეხბურთისკენ რომ მოაბრუნა. ხიზანეიშვილი თავის დროზე **იოჰან ბოსკამპის** ჯილა იყო...მისი თამაში ამ "დინამოში" კი გამოცდილებისა და კლასის უპირატესობაა. როგორი საქმეა, წლობით მოწყვეტილი ხარ ნაღდ ფეხბურთს, ბრუნდები, ხვდები ამბიციურ კლუბში და საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად ხარ...

ოთარ ხიზანეიშვილი



ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი

■ ■ ■

ბათუმში დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელება დაიწყებაო- დაიწერა "ლელოში" და გულს მოეფინა ეს ამბავი. კარგა ხანია, მიდის მუშაობა იმაზე, რომ სერიოზულ ინვესტორს მოეკიდა ხელი "ბათუმისთვის". კულუარებში არაერთი ცნობილი ბიზნესმენის სახელი და გვარი სახელდებოდა, მათ შორის **კობა ნაყოფიასიც**, თუმცა საქმე ამის იქით არ წასულა. ახლა კი ვნახოთ, რა როგორ იქნება. გალამაზებულ ბათუმს აღორძინებული ფეხბურთიც რომ სჭირდება, ამას უკვე ყველა ხვდება.

ფეხბურთით ხალხის გულის მოგებაც შეიძლება. რაგბის ერთი გულშემატკივარი ამბობდა, ფეხბურთი ბანგია მდაბიოთათვის, ხოლო რაგბი ოვალური ოაზისია მრგვალ უდაბნოშიო. სხარტად არის თქმული, თუმცა იმდენი ბანგით არის ახლა დატენილი ჩვენი სივრცე, რომ ფეხბურთის ადგილი იქ არ ჩანს და ალბათ ესეც ამტკიცებს იმას, რომ ფეხბურთი ბანგისგან განზე დგას. ბანგი იოლად, იაფად ათრობს ხალხს, იოლად უფასურდება, ფეხბურთით ზემოქმედება კი ძალიან ძვირი სიამოვნებაა და ჯერაც გაუფასურებული.

■ ■ ■

ამასობაში მწვრთნელები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან. თურქული "კაისერისფორის" ჩვენებური მწვრთნელი "დილა" – "დინამოზე" იყო ჩამოსული **გიორგი ლორიას** სანახავად. ჯერჯერობით ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეს მეკარე თურქეთში წავა სათამაშოდ. **შოთა არველაძე** კი სასელექციო მოგზაურობას აგრძელებს, 10 მაისს კიევში გახლდათ ჩასული და "დინამო" – "ტავრიას" თამაშს დაესწრო, როგორც შევიტყვეთ, "ტავრიას" ერთი ფეხბურთელის სანახავად.

ერთი სიტყვით, კარგი ფეხბურთელი დიდი კაპიტალია და მის მოსაძებნად გამრჯე თუ არ ხარ, წარმატების შანსიც ნაკლები გაქვს. ალბათ კარგია, როცა მწვრთნელი გეოგრაფიას და თვალსაწიერს იფართოებს. მწვრთნელების საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ქართული ფეხბურთისთვის შანსია, რადგან ჩვენ ჯერაც ფეხბურთელების ექსპორტიორი ქვეყანა ვართ.

■ ■ ■

რამდენიმე დღის წინ ჭაბუკთა ლიგის მატჩს დავესწარი. "საბურთალო" და 35-ე სკოლა თამაშობდნენ უმაღლესი ლიგის გუნდების სახელით. ოთხკუთხედი მოედანი არც ბანგი იყო და არც ოაზისი, ეს იყო საბადო – ბევრი ნიჭიერი მოზარდი ერთ პერიმეტრზე. რამდენიმე გვარი ჩავიწერე, ზოგიც დავიმახსოვრე. იმ თამაშს საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, **გია ნემსაძე, აჩი არველაძე, ლევან ცქიტიშვილი, გოჩა ჯამარაული**...მათ კმაყოფილი სახეები ჰქონდათ, უყურებდნენ ნიჭიერ ბავშვებს და მათზე საუბრობდნენ.

საბადო კი მხოლოდ მარაგი წიაღისეული არ არის, საბადო უნდა გაიხსნას, დამუშავდეს და გამდიდრდეს – სწორედ აქ უჭირს ქართულ ფეხბურთს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. ბოლო ტურის წინ

### დღეს

**სოსიედადი–ვალენსია 22:00**

დისკვალიფიკაცია: რამი (ვალ)
ტრავმა: მარტინესი, ბერგარა - ბანეგა, კანალესი

**ბეტისი–ბარსელონა 00:00**

ტრავმა: მატილია, უსტარიცი, ნელსონი, ხუანმა, მარიო, ირინეი (?) - პუიოლი, ვილია, აბიდალი, ფონტასი, პინტო, სანჩესი (?)

### ხვალ

**ესპანიოლი–სევილია 22:00**

დისკვალიფიკაცია: გომესი - მედელი
ტრავმა: ალბინი, მატიონი, ს. გარსია (?) - სპაპიჩი, კანუტე, ესკუდე

**ხეტაფე–სარაგოსა 22:00**

დისკვალიფიკაცია: კატა დიასი, როდრიგესი - ლანძარო
ტრავმა: უსტარი, ლოპო - არანდა

**ლევანტე–ბილბაო 22:00**

დისკვალიფიკაცია: მუნუა (ლევ)
ტრავმა: კონე - ოსიო, მარტინესი, კასტილიო

**მალაგა–სპორტინგი 22:00**

დისკვალიფიკაცია: ველიგტონი (მალ)
ტრავმა: კაბალიერო, მარესკა, მატეისენი, ტოლალანი, ბაპტიშტა - მენდი, ერნანდესი, ტრეხო (?), კარმელო, კანელია, დე ლას კუევასი (?), ეგურენი (?)

**ვალეკანო–გრანადა 22:00**

დისკვალიფიკაცია: სიკეირა, მოისესი, ბენიტესი, ხეიხო (გრან)
ტრავმა: ფუეგო, პერეირა, არმენტეროსი (?) - იებდა, დიახატე, რობერტო, ფ. რიკო, მაინსი (?)

**რეალი–მალიორკა 22:00**

ტრავმა: ალვარო, კევინი, ნუნიეში, ნსუე (მალ)

**რასინგი–ოსასუნა 22:00**

დისკვალიფიკაცია: პუნიალი (ოს)
ტრავმა: ბაბაკარი, მუნიტისი, არანა (?) - ლოლო, ეჩაიდე, კიკე სოლა, მასუდი

**ვილიარეალი–ატლეტიკო 22:00**

დისკვალიფიკაცია: დე გუზმანი, სესარი - არდა თურანი
ტრავმა: კანი, როსი - ა. ლოპესი, სილვიო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 37 | 31 | 4 | 2 | 117-31 | 97 |
| 2. ბარსელონა | 37 | 28 | 6 | 3 | 112-27 | 90 |
| 3. ვალენსია | 37 | 17 | 10 | 10 | 59-43 | 61 |
| 4. მალაგა | 37 | 16 | 7 | 14 | 53-53 | 55 |
| 5. ატლეტიკო | 37 | 14 | 11 | 12 | 52-46 | 53 |
| 6. მალიორკა | 37 | 14 | 10 | 13 | 41-42 | 52 |
| 7. ლევანტე | 37 | 15 | 7 | 15 | 51-50 | 52 |
| 8. ოსასუნა | 37 | 12 | 15 | 10 | 40-59 | 51 |
| 9. ბილბაო | 37 | 12 | 13 | 12 | 49-49 | 49 |
| 10. სევილია | 37 | 13 | 10 | 14 | 47-46 | 49 |
| 11. ხეტაფე | 37 | 12 | 11 | 14 | 40-49 | 47 |
| 12. ბეტისი | 37 | 13 | 7 | 17 | 45-54 | 46 |
| 13. ესპანიოლი | 37 | 12 | 9 | 16 | 45-55 | 45 |
| 14. სოსიედადი | 37 | 11 | 11 | 15 | 45-52 | 44 |
| 15. გრანადა | 37 | 12 | 6 | 19 | 35-55 | 42 |
| 16. ვილიარეალი | 37 | 9 | 14 | 14 | 39-52 | 41 |
| 17. ვალეკანო | 37 | 12 | 4 | 21 | 52-73 | 40 |
| 18. სარაგოსა | 37 | 11 | 7 | 19 | 34-61 | 40 |
| 19. სპორტინგი | 37 | 10 | 7 | 20 | 42-68 | 37 |
| 20. რასინგი | 37 | 4 | 15 | 18 | 26-59 | 27 |

**ბომბარდირები:** 50 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 45 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 22 - გონსალო იგუაინი (რეალი); 20 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 17 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 16 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 15 - არუნა კონე (ლევანტე), მიჩუ (რაიო ვალეკანო); 14 - რუბენ კასტრო (ბეტისი); 13 - ალვარო ნეგრედო (სევილია).

# პეპმა ერთწლიანი ტაიმაუტი აიღო

## საგზურების განაწილება: ვის ევროპის, ვის სეგუნდის

ბოლო ტური ბოლო ტურად, ფეარ პლეი ფეარ პლეიდ, მაგრამ ტელევიზიას თავისი სურს - ამიტომაც ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის ყველა მატჩი ერთდროულად არ გაიმართება. ესპანური ფეხბურთის მამებმა ბევრი არ იფიქრეს და ის ორი თამაშიც ალმოაჩინეს, რომელთა შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვთ. სწორედ ეს ორი თამაში გადმოიტანეს დღეისათვის. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ერთში მოქმედი ჩემპიონი (უკანასკნელად ვწერთ ასე) „ბარსელონა" მონაწილეობს, მეორეში კი - „ვალენსია".

აი, დანარჩენ 8 შეხვედრას კი შერჩა ინტრიგა... მეტ-ნაკლებად. და რა უნდა გაირკვეს ბოლო ტურში? ჩემპიონთა ლიგის ბოლო, მე-4 საგზურის მფლობელი. იმ ორი გუნდის ვინაობა, რომლებიც გაისად ევროპალიგაზე ითამაშებენ და ორი უილბლოც, რომლებიც ლა ლიგას დაემშვიდობებიან.


ხოსეპ გვარდიოლა ლა ლიგაში ბოლო მატჩში უხელმძღვანელებს „ბარსელონას"

### პინტოს აღმართში ქვა დაეწიაო

დღეს ლა ლიგაში ბოლოჯერ გაუძღვება **ხოსეპ გვარდიოლა** „ბარსას", ამის შემდეგ კიდევ ერთხელ - 25 მაისს „კოპა დელ რეის" ფინალში - გაიყვანს გუნდს და შემდეგ მართვის სადავეებს **ტიტო ვილანოვას** გადაულოცავს - დღეს „ბარსა" ანდალუსიაში ჩადის, სტუმრად „ბეტისთან".

გუშინ გვარდიოლამ პრესკონფერენცია გამართა, სადაც, როგორც იქნა, თქვა მთავარი: *„ერთ წელიწადს ფეხბურთისგან დავისვენებ, მერე კი ვნახოთ"*, - ვფიქრობთ, ამით უნდა დაესვას წერტილი მითქმა-მოთქმას, რომლის მთავარი „გმირიც" პეპი იყო, მას ხან „მანჩესტერ სიტიში" „ნიშნავდნენ", ხან - „ჩელსიში", ხან „მილანში" და ხან კიდევ სად...

კატალონიელები სევილიაში დანაკლისით მიდიან. **ვილიას, ფონტასის, აბიდალის** შესახებ ისედაც ცნობილი იყო, **ალექსის სანჩესი** ვერ ასწრებს გამოჯანმრთელებას. **კარლეს პუიოლი** დღეს იკეთებს ოპერაციას. სევილიაში შეიძლება ითამაშოს **ოიერ ოლასაბალმა**, რადგან **ხოსე პინტომ** ვარჯიშზე კოჭი იტკინა და ვეტერანი გოლკიპერის თამაში გამორიცხულია. არადა, გვარდიოლა სწორედ მას ამზადებდა თასის ფინალისთვის.

### ევროსაგზურები

■ მე-4 ადგილისთვის ბრძოლაში ფავორიტი „მალაგაა", რომელსაც 55 ქულა აქვს და შინ „სპორტინგს" ეთამაშება. მართალია, ხიხონელები აუტსაიდერები არიან, მაგრამ მათ ჯერ კიდევ აქვთ ლა ლიგაში დარჩენის მცირე შანსი, ამიტომ ბოლომდე იბრძოლებენ.

■ ანდალუსიურ კლუბს 2 ქულით ჩამორჩება ევროპალიგის ტრიუმფატორი „ატლეტიკო", რომელსაც „ვილიარეალთან" სტუმრობა ელის. „ელ მადრიგალზე" დიდი ბრძოლა იქნება, „წყალქვეშა ნავს" ბოლომდე არ გაუნაღდებია დარჩენა. თუკი ეს ორი გუნდი („მალაგა" და „ატლეტიკო") თანაბარ ქულებს მოაგროვებენ (ანუ 56-56-ს), ჩემპიონთა ლიგაზე „ატლეტიკო" ითამაშებს (ურთიერთშეხვედრებში უპირატესობის გამო).

■ 52-52 ქულა აქვთ „ლევანტეს" და „მალიორკას", „ოსასუნას" 51 ქულა აქვს.

■ „მარკას" მკითხველთა 35% მიიჩნევს, რომ ევროპალიგის საგზურს „ლევანტე" მოიპოვებს. შემდეგ მოდის „ატლეტიკო" - 25,9%. მხოლოდ 17,2%-ს სჯერა „ოსასუნას" შანსის, ხოლო „მალიორკასი" - 11,2%-ს. 10,2% მიიჩნევს, რომ „მალაგა" ჩემპიონთა ლიგას ვერ შეწვდება და ევროპალიგით დაკმაყოფილება მოუწევს.



### ბრძოლა მზის ქვეშ ადგილისთვის

„რასინგი" უკვე გავარდნილია, „სპორტინგს" 37 ქულა და თეორიული შანსი აქვს. აი, მესამე „საგზურისთვის" კი დიდი „ომია": „სარაგოსას" და „რაიო ვალეკანოს" 40-40 ქულა აქვთ; „ვილიარეალს" - 41; ხოლო „გრანადას" - 42.

რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ესპანეთში მიაჩნიათ, რომ სწორედ „გრანადა" გავარდება ამ კვარტეტიდან. და აი, რატომ: „გრანადას" 4 წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული და ჩადის მადრიდში უშუალო კონკურენტ „რაიო ვალეკანოსთან" სათამაშოდ.

■ „მარკას" მკითხველთა ხმები ასე განაწილდა. ვარდებიან: „სპორტინგი" (43%), „გრანადა" (17), „რაიო ვალეკანო" (16), „ვილიარეალი" (12), „სარაგოსა" (11,5).

### ქველმოქმედება



რაული ბავშვობას არ ივიწყებს

### რაულმა ბავშვობის კლუბი გაკოტრებისგან იხსნა

საფეხბურთო კლუბ „სან კრისტობალ ლოს ანხელესის" პრეზიდენტმა **პედრო ინიესტამ** განაცხადა, რომ გუნდი ფინანსური კრახისგან 4 ათასმა ევრომ იხსნა, რომელიც ესპანური ფეხბურთის ლეგენდამ, **რაულ გონსალეს ბლანკომ** გადარიცხა. საქმე იმაშია, რომ რაულმა სამი წელიწადი გაატარა ბავშვობისას ამ გუნდში, სანამ 1990 წელს „ატლეტიკოს" ახალგაზრდულ გუნდში გადავიდოდა. როცა „სან კრისტობალმა" გამოაცხადა, რომ 4 ათასი ევროს შეგროვება იყო საჭირო, რომ კლუბი არ გაუქმებულიყო, რაული გამოეხმაურა განცხადებას და თანხაც გამოყო. კლუბი მადრიდის სამხრეთის ანალოგიური დასახლების წარმომადგენელია. *„აქ რაულს აღმერთებენ, მან გადაგვარჩინა, თუმცა მინდა კიდევ ერთი რამ ვთხოვო, ერთხელ მოვიდეს ჩვენთან, ეს იქნება უდიდესი სტიმული ბიჭებისთვის"*, - განაცხადა ინიესტამ.

### ამბები

### უკვე ოფიციალურად, ლუის ენრიკე ესპანეთში ბრუნდება

გუშინ გაუწყეთ, რომ „რომას" ესპანელმა თავკაცმა **ლუის ენრიკემ** „რომას" ფეხბურთელებს გუნდიდან წასვლის შესახებ განუცხადა. დღეს იტალიური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დადასტურდა ინფორმაცია - მომავალი სეზონიდან 42 წლის სპეციალისტი „რომას" აღარ უთავკაცებს. შეგახსენებთ, რომ ლუის ენრიკე „ბარსელონა II-ს" ხელმძღვანელობდა, თუმცა მისმა პროექტმა იტალიაში ვერ გაამართლა.

### დელ ბოსკე: პედრო ცდილობს, მაგრამ...

გუშინ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ისეთი კომენტარი გააკეთა, რომ, შესაძლოა, ევრო 2012-ის მიღმა „ბარსელონას" ფორვარდი **პედრო როდრიგესი** დარჩეს. 24 წლის პედრო სეზონის პირველი ნახევარი ტრავმებმა გააწამა, შემდეგ კი ფორმაში ვერა და ვერ შევიდა.

*„პედრო ბევრს ცდილობს, მაგრამ მას ცუდი სეზონი ჰქონდა. მე მაქვს ლიმიტი - ევროზე 23 ფეხბურთელი უნდა წავიყვანო, მეტი ვერა"*, - განუცხადა ბარსელონურ „სპორტს" ვისენტე დელ ბოსკემ.

### ვილანოვას თანაშემწე ცნობილია

მაშ ასე, ესპანურმა მედიამ გაიგო, თუ ვინ იქნება „ბარსელონას" ახალი თავკაცის, **ტიტო ვილანოვას** ასისტენტი - **სერხიო ლობერა**. ამ სპეციალისტს „ბარსას" აკადემიაში 8 წელი აქვს ნამუშევარი, ამჟამად კი „სეუტას" თავკაცია. ლობერა 34 წლისაა, ვილანოვასა და მას ერთად „ტერასაშიც" უმუშავიათ, სადაც ვილანოვა ტექნიკური დირექტორი იყო, ლობერა კი - მწვრთნელი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A. ბოლო ტურის წინ

# ვის დარჩება ლიგის საგზური?
## ტურინში კი ფიესტა გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხვალ

**მილანი–ნოვარა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** აბატე – მასკარა.
**ტრავმა:** პატო, ემანუელსონი, ბონერა, დე შილიო, მუნტარი, აბიატი – პაჩი, კოზერი, მარიანინი, უიკანი, რადოვანოვიჩი, მაძარანი.

**ფიორენტინა–კალიარი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** კოსუ, პიზანო (კალიარი).
**ტრავმა:** იოვეტიჩი, ნასტასიჩი, კროლდრუპი, ამაური, ვარგასი, გამბერინი, მონტოლივო – რუი სამპაიო, ელ ქაბირი.

**იუვენტუსი–ატალანტა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ვიდალი – სტენდარდო.
**ტრავმა:** დე ჩელიე – კარმონა, ბრიგი, მარილუნგო, კაპელი, კონსილი, ტირიბოკი.

**ჩეზენა–რომა 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** ტადეი (რომა).
**ტრავმა:** მარტინიო, კოლუჩი, იაკვინტა, პუდილი, კალდერონი, ლაური, მუტუ – სტეკელენბურგი, ბურდისო, ჟუანი, კასეტი.

**პარმა–ბოლონია 20.00**

**დისკვალიფიკაცია:** მორლეო (ბოლონია).
**ტრავმა:** მარიგა, მირანტე – ხიმენესი, ჟილე, კაზარინი, კრხინი, პერესი, მუდინგაი.

**კატანია–უდინეზე 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლოდი (კატანია).
**ტრავმა:** ბერგესიო, კაპუანო, სუაზო, ბიაჯანტი, პოტენცა, ლიამა – ბადუ, ისლა, ფერონეტი.

**კიევო–ლეჩე 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** მილიონიკო, დელ ვეკიო (ლეჩე).
**ტრავმა:** სორენტინო, კრუსადო, დრამე, გულანი, მოსკარდელი, დე პაულა, ანდრეოლი, დაინელი – ტომოვიჩი, პეტრაკი, ჟულიო სერჟიო, კორვია.

**ჯენოა–პალერმო 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** პალასიო, კუჩკა – სილვესტრი.
**ტრავმა:** ანტონელი, კონსტანტი, კალაძე, ბოვო – მიკოლი, დელა როკა, ილიჩიჩი, ცორვასი, ასკუა.

**ლაციო–ინტერი 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** მარკეტი, დიასი – ჟულიო სეზარი.
**ტრავმა:** ალფარო, როკი, რადუ, სტანკევიჩუსი, ბროკი, კრეშენცი, მათუზალემი, ერნანესი – კასტაინოსი, კივუ, სტანკოვიჩი, ფორლანი.

**ნაპოლი–სიენა 22.45**

**დისკვალიფიკაცია:** არონიკა, კავანი, ჯემაილი (ნაპოლი).
**ტრავმა:** კამპანიარო, დონადელი – პეზოლი, კალაიო, ანჯელო, როსეტინი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 37 | 22 | 15 | 0 | 65-19 | 81 |
| 2. მილანი | 37 | 23 | 8 | 6 | 72-32 | 77 |
| 3. უდინეზე | 37 | 17 | 10 | 10 | 50-35 | 61 |
| 4. ლაციო | 37 | 17 | 8 | 12 | 53-46 | 59 |
| 5. ნაპოლი | 37 | 15 | 13 | 9 | 64-45 | 58 |
| 6. ინტერი | 37 | 17 | 7 | 13 | 57-52 | 58 |
| 7. პარმა | 37 | 14 | 11 | 12 | 53-53 | 53 |
| 8. რომა | 37 | 15 | 8 | 14 | 57-52 | 53 |
| 9. ბოლონია | 37 | 13 | 12 | 12 | 41-42 | 51 |
| 10. კატანია | 37 | 11 | 15 | 11 | 47-50 | 48 |
| 11. ატალანტა | 37 | 13 | 13 | 11 | 40-40 | 46 |
| 12. კიევო | 37 | 11 | 13 | 13 | 34-45 | 46 |
| 13. ფიორენტინა | 37 | 11 | 12 | 14 | 37-43 | 45 |
| 14. სიენა | 37 | 11 | 11 | 15 | 44-43 | 44 |
| 15. პალერმო | 37 | 11 | 10 | 16 | 52-60 | 43 |
| 17. კალიარი | 37 | 10 | 12 | 15 | 37-46 | 42 |
| 18. ჯენოა | 37 | 10 | 9 | 18 | 48-69 | 39 |
| 19. ლეჩე | 37 | 8 | 12 | 17 | 40-55 | 36 |
| 20. ნოვარა | 37 | 7 | 11 | 19 | 34-63 | 32 |
| 20. ჩეზენა | 37 | 4 | 10 | 23 | 22-57 | 22 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 28 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 23 – კავანი (ნაპოლი), მილიტო (ინტერი); 22 – დი ნატალე (უდინეზე).



რომში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ

ერთი ტურიც და იტალიის სერია A-ს 2011/2012 წლების გათამაშება ისტორიის საკუთრება გახდება. გასულ უქმეებზე, სკუდეტოს პატრონი გამოუჩნდა და მთავარი ინტრიგაც გაქრა, მაგრამ გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრი რამეა და შესაბამისად, უკანასკნელ ტურს დიდი ინტერესით ველოდებით.

ჩემპიონი "იუვენტუსია" და ბუნებრივია, რომ ტურინული გრანდი ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს; ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე ქვეყნის ღირსებას "მილანიც" დაიცავს, რომელსაც მეორე ადგილში ნამდვილად ვერავინ შეეცილება; სამაგიეროდ, გასარკვევია ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურის მფლობელი და გასარკვევია ისიც, თუ რომელი გუნდები იასპარეზებენ ევროპის ლიგის გათამაშებაში. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ევროპის ლიგაც იმას შერჩება, ვინც სამეულს ვერ შენვდება. არადა, ამ ერთი, მესამე ადგილისთვის ერთბაშად ოთხი გუნდი იბრძვის: "უდინეზე", "ლაციო", "ნაპოლი", "ინტერი". უმჯობესია, ამ ოთხივე გუნდზე სათითაოდ შევჩერდეთ...

### უდინეზე

უდინური გუნდი მესამე ადგილზეა და შესაბამისად, ყველაფერი მის ხელშია. თუ ფრიულელები გასვლაზე "კატანიას" დაამარცხებენ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს სწორედ "უდინეზე" მოიპოვებს. ეს მატჩი იმითაც გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ **ანტონიო დი ნატალე** უკანასკნელ მატჩს გამართავს "ბიანკონერის" შემადგენლობაში და საერთოდაც, სწორედ ამ თამაშით ეთხოვება საკლუბო ფეხბურთს... თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტოტო ეროვნულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს და შემდეგ, დაასრულებს კიდეც კარიერას.

"კატანიას" მისსავე მოედანზე დამარცხება იოლი საქმე არაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, აშკარად ფავორიტი მაინც "უდინეზეა". ფრიულელებს ჩემპიონთა ლიგის საგზური აქვთ მოსაპოვებელი, სიცილიელები კი აბსოლუტურად უმოტივაციოდ არიან დარჩენილნი. თანაც, დიდი ალბათობით, **ვინჩენცო მონტელა** "კატანიას" სამწვრთნელო სკამს დატოვებს და მოთამაშეებს არც მასთან აქვთ რაიმე დასამტკიცებელი. მოკლედ, "უდინეზე" ფავორიტია, მაგრამ ფავორიტები ყოველთვის ვერ იგებენ და ფრიულელებს ეს კარგად უნდა ახსოვდეთ.

### ლაციო/ინტერი

რომში ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართება, სადაც "ლაციო" "ინტერს" უმასპინძლებს. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის ბრძოლაშია ჩაბმული და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მხურვალე და ემოციური იქნება დედაქალაქური პაექრობა.

**ედუარდო რეიას** ტრავმების და დისკვალიფიკაციის გამო პრაქტიკულად ნახევარი შემადგენლობა აკლია, მაგრამ რომაელთა დამრიგებელი ამას უკვე მიჩვეულია. თანაც, თვით **მიროსლავ კლოზე** მწყობრშია და თუ "გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, ძირითად შემადგენლობაში იქნება. გერმანელ ფორვარდს უკნიდან **ლულიჩი, მაური** და **კანდრევა** დაეხმარებიან, საყრდენ ზონას კი **გონსალესი** და **ლედესმა** გაამაგრებენ.

ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშებს "ინტერიც" და ეს ერთადერთი თავდამსხმელი **დიეგო მილიტო** იქნება. არგენტინელს უკნიდან **რიკი ალვარესი** და **ვესლი სნეიდერი** დაეხმარებიან, კიდევ უფრო უკან კი **ძანეტი, კამბიასო** და **გუარინი** გაირჯებიან. მოკლედ, "ნერაძური" ძირითადად არგენტინელებით შეუტევს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. ქვემოთ, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელის კომენტარს გავეცნოთ...

**ედუარდო რეია (ლაციო):** *"დიდი იმედი მაქვს, რომ სეზონს გამარჯვებით დავასრულებთ, დანარჩენს კი სატურნირო ცხრილიდან შევიტყობთ. მართალია, მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვართ დამოკიდებულნი, მაგრამ მგონია, რომ მესამე ადგილზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს. "კატანია" იოლად არაფერს დათმობს და შესაბამისად, "უდინეზეს" სულაც არ აქვს გარანტირებული სამი ქულა. "ინტერი" შესანიშნავ ფორმაშია, რაც მილანურ დერბიში დამტკიცდა, მაგრამ ჩვენ ტრიბუნების უპირატესობა გვექნება – მჯერა, გულშემატკივარი მეთორმეტე ფეხბურთელის როლს შეასრულებს".*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *"სიმართლე გითხრათ, სატურნირო რეგლამენტში დიდად არ ვიქექები და არ ვარკვევ, რა შემთხვევაში გავდივართ ჩემპიონთა ლიგაზე. უბრალოდ, მსურს რომში სამი ქულა ავიღოთ და დანარჩენი ისედაც გამოჩნდება. დერბიში გამარჯვებამ ხასიათი ერთი-ორად გამოგვიკეთა და მოახლოებულ პაექრობას დიდი ენთუზიაზმით ველოდებით. აქვე, მინდა მასიმო მორატის გადავუხადო მადლობა, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ხელშეკრულება გამიხანგრძლივა. არ აქვს მნიშვნელობა, გავალთ თუ არა ჩემპიონთა ლიგაზე – მომდევნო სეზონში, გაათმაგებული მოტივაციით და ენერგიით შევუდგებით საქმეს".*

### ნაპოლი

რა შემთხვევაში გადის "ნაპოლი" მესამე ადგილზე? – ამისთვის საჭიროა, რომ თვითონ ნეაპოლელებმა საკუთარ კედლებში "სიენა" დაამარცხონ; ამასთან, "უდინეზემ" სიცილიაზე წააგოს, რომში კი "ლაციოსა" და "ინტერის" პაექრობა ფრედ დასრულდეს. თუმცა, ნეაპოლელებს მილანელთა მოგებაც აწყობთ, რადგან "ნაპოლის" "ინტერთან" ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებს შორის ორივე თამაში სამხრეთელთა გამარჯვებით დასრულდა – "ჯუზეპე მეაცაზე" 3:0, "სან პაოლოზე" 1:0.

მოკლედ, "ნაპოლის" აქვს შანსი და უფრო პრაქტიკული, ვიდრე თეორიული, მაგრამ მათი სამეულში მოხვედრა მაინც ნაკლებად სავარაუდოა. სამხრეთელთა მთავარი მწვრთნელი, **ვალტერ მაცარი** სავარაუდოდ 3-5-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ესეკილ ლავეცისა** და **გორან პანდევის** ტანდემს გაამწესებს. **მარეკ ჰამშიკი** ნახევარდაცვაში გაირჯება, **ედინსონ კავანის** კი დისკვალიფიკაცია აქვს და "სიენას" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ვნახოთ, დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.




"მილანს" ძველი გვარდია ტოვებს

### ფიესტა ტურინში — ცრემლები მილანში

ტურინში დიდი ზეიმისთვის ემზადებიან, რადგან "იუვენტუსი" "ატალანტას" ჩემპიონის რანგში დაუპირისპირდება. ტრიბუნები რა თქმა უნდა გაივსება და სავარაუდოდ, მოეწყობა საჩემპიონო შოუ, რომლის შინაარსი გასაიდუმლოებულია. ტურინელები ალბათ კიდევ ერთხელ გვამცნობენ, რომ ეს მათი 30-ე სკუდეტოა და 28-ე, რასაც ფედერკალჩოს ტრადიციული განცხადებები და კრიტიკა მოჰყვება. მოკლედ, "იუვეს" ახალ სტადიონზე დიდი აურზაური იქნება და სავარაუდოდ, ამ განწყობას არც ფეხბურთელები გააფუჭებენ – "ვეკია სენიორას" სეზონი აქვს დაუმარცხებლად ჩასამთავრებელი და ამად არის, რომ **ანტონიო კონტე** კვლავაც ოპტიმალური შემადგენლობით აპირებს თამაშს. ანუ, **ალესანდრო დელ პიერო** ისევ თადარიგში იქნება, თავდასხმის ტანდემს კი **მირკო ვუჩინიჩი** და **ალესანდრო მატრი** შექმნიან.

აი, მილანში კი ცრემლები დაიღვრება და სევდიანი განწყობა დაისადგურებს – არა იმიტომ, რომ "როსონერი" სკუდეტოს გარეშე დარჩა, ეს ალბათ მოინელეს კიდეც, მაგრამ გუნდს ერთბაშად რამდენიმე ლეგენდა ეთხოვება და ბუნებრივია, ეს ყველაფერი ემოციების გარეშე ვერ ჩაივლის. თავად განსაჯეთ, "მილანში" უკანასკნელ შეხვედრას ჩაატარებენ: **ალესანდრო ნესტა, კლარენს ზეედორფი, ფილიპო ინძაგი, ჯანლუკა ძამბროტა** და სავარაუდოდ, **ჯენარო გატუზო**. ამ უკანასკნელის საკითხი ბოლომდე გარკვეული არაა, მაგრამ 90%-ით, რინოც დატოვებს ლომბარდიულ გრანდს. დიდი ალბათობით, ბოლო მილანურ პაექრობას ჩაატარებს **მარკ ვან ბომელიც**, თუმცა ზემოთჩამოთვლილთაგან განსხვავებით, მას "მილანის" ცოცხალ ლეგენდად ნამდვილად ვერ მოვნათლავთ. რაც ყველაზე საინტერესოა, ყველა წამსვლელი ძირითად შემადგენლობაში იქნება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან "მილანისთვის" "ნოვარასთან" საშინაო პაექრობა აბსოლუტურად არაფრისმომცემია. დიახ, "როსონერი" **იბრაჰიმოვიჩი-იძაგის** ტანდემით შეუტევს, ნახევარდაცვაში **გატუზო, ვან ბომელი, ზეედორფი** და **ნოჩერინო** გაირჯებიან, დაცვაში კი **ძამბროტას, ნესტას, იეპესს** და **მესბას** ვიხილავთ. ეს შემადგენლობა მომდევნო სეზონში განახევრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, "მილანის" მესვეურებს აქტიურობა მოუწევთ. მართალია, გატუზო და ინძაგი ისედაც ვერ ხვდებოდნენ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ნესტას, ზეედორფს, ვან ბომელს და თუნდაც ძამბროტას შემცვლელები ნამდვილად სჭირდებათ. მოკლედ, მილანში სევდა დაისადგურებს – კლუბს იმ თაობის უკანასკნელი წარმომადგენლები ეთხოვებიან, რომლებმაც ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც საერთოდ შესაძლებელია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

● ევრო 2012 რუსეთის ნაკრები

# დიკის კომპანია: არშავინი და სხვები

## ადვოკაატმა იზმაილოვი დააბრუნა



რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი და კაპიტანი ანდრეი არშავინი

გუშინ ევროპის ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიკ ადვოკაატმაც** დაასახელა. 64 წლის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა 26 ფეხბურთელი ჩამოთვალა და ამ სიას 29 მაისამდე სამ მოთამაშეს გამოაკლებს.

გეხსომებათ, რუსებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე სენსაციურად იასპარეზეს და ნახევარფინალამდე გააღწიეს, სადაც მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან დამარცხდნენ, მანამდე კი, მეოთხედფინალში გზიდან ჰოლანდიის ნაკრები ჩამოიშორეს. ცხადია, რომ რუსებს წელსაც ამდაგვარი მიზნები აქვთ.

გადაწყვეტილია, რომ კონტინენტის პირველობის დასრულების შემდეგ ადვოკაატი თანამდებობას დატოვებს და ჰოლანდიელი სპეციალისტი იმედოვნებს, რომ ეს ფაქტორი გუნდზე უარყოფითად არ იმოქმედებს. *„ბიჭები ბოლომდე მომყვებიან და არ მეშინია იმის, რომ ჩემი წასვლის წინასწარ გაცხადება გუნდზე ცუდად იმოქმედებს. ევროპის ჩემპიონატზე ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ძალიან კარგ შედეგს მივაღწიოთ,“* - განაცხადა ადვოკაატმა, რომელიც ევრო 2012-ის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდება და „ეინდჰოვენის“ დამრიგებელი გახდება.

მთავარი სენსაცია რუსეთის ნაკრებში 29 წლის **მარატ იზმაილოვის** (სპორტინგი) დაბრუნებაა, რომელსაც ეროვნულ გუნდში ბოლო მატჩი 2006 წლის 7 ოქტომბერს ჰქონდა ჩატარებული (1:1 ისრაელთან). სამაგიეროდ, სიაში ვერ მოხვდნენ ისეთი გამოცდილი მოთამაშეები, როგორებიც არიან **დინიარ ბილიალეტდინოვი** და **დმიტრი ბულიკინი**. იზმაილოვთან ერთად, მოულოდნელი გახლდათ სიაში 23 წლის თავდამსხმელის, **არტიომ დზიუბასა** და 19 წლის ნახევარმცველის, **მაგომედ ოზდოევის** გამოჩენა.

რუსებს ოთხი წლის წინანდელის გამეორება სავარაუდოდ გაუჭირდებათ, მაგრამ ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვთ, რადგან წილისყრაზე საკმაოდ გაუმართლათ – ჯგუფში პოლონეთთან, ჩეხეთთან და საბერძნეთთან მოხვდნენ.

**მეკარეები**: იგორ აკინფეევი (ცსკა), ვიაჩესლავ მალაფეევი (ზენიტი), ანტონ შუნინი (დინამო მოსკოვი).

**მცველები**: ალექსანდრ ანიუკოვი (ზენიტი), ალექსეი ბერეზუცკი (ცსკა), ვასილი ბერეზუცკი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ცსკა), ვლადიმირ გრანატი (დინამო მოსკოვი), იური ჟირკოვი (ანჟი), დმიტრი კომბაროვი (სპარტაკი), რომან შარონოვი (რუბინი), რომან შიშკინი (ლოკომოტივი).

**ნახევარმცველები**: იგორ დენისოვი (ზენიტი), კონსტანტინ ზირიანოვი (ზენიტი), რომან შიროკოვი (ზენიტი), დენის გლუშაკოვი (ლოკომოტივი), მაგომედ ოზდოევი (ლოკომოტივი), იგორ სემშოვი (დინამო მოსკოვი), მარატ იზმაილოვი (სპორტინგი), ალან ძაგოევი (ცსკა).

**თავდამსხმელები**: ანდრეი არშავინი (ზენიტი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), არტიომ დზიუბა (სპარტაკი), ალექსანდრ კოკორინი (დინამო მოსკოვი), რომან პავლიუჩენკო (ლოკომოტივი), პაველ პოგრებნიაკი (ფულჰემი).

**გოტფრიდ ლენცი**

### საფრანგეთი

ლიგა 1. XXXVII ტურის წინ

LIGUE 1

| ხვალ | |
|---|---|
| აიაჩო-ლიონი | 23:00 |
| ბრესტი-ვალანსიენი | 23:00 |
| კაენი-სოშო | 23:00 |
| დიჟონი-ტულუზი | 23:00 |
| მარსელი-ოსერი | 23:00 |
| მონპელიე-ლილი | 23:00 |
| ნანსი-სტ. ეტიენი | 23:00 |
| ნიცა-ევიენი | 23:00 |
| პსჟ-რენი | 23:00 |
| ბორდო-ლორიანი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 36 | 23 | 7 | 6 | 65-33 | 76 |
| 2. პსჟ | 36 | 21 | 10 | 5 | 70-40 | 73 |
| 3. ლილი | 36 | 20 | 11 | 5 | 68-37 | 71 |
| 4. ლიონი | 36 | 19 | 6 | 11 | 60-46 | 63 |
| 5. რენი | 36 | 16 | 9 | 11 | 48-41 | 57 |
| 6. სტ. ეტიენი | 36 | 16 | 9 | 11 | 45-39 | 57 |
| 7. ბორდო | 36 | 14 | 13 | 9 | 49-39 | 55 |
| 8. ტულუზი | 36 | 15 | 10 | 11 | 36-31 | 55 |
| 9. ევიანი | 36 | 13 | 10 | 13 | 53-53 | 49 |
| 10. მარსელი | 36 | 11 | 12 | 13 | 42-40 | 45 |
| 11. ნანსი | 36 | 10 | 12 | 14 | 34-42 | 42 |
| 12. ვალანსიენი | 36 | 11 | 7 | 18 | 37-48 | 40 |
| 13. ლორიანი | 36 | 9 | 12 | 15 | 34-46 | 39 |
| 14. ნიცა | 36 | 9 | 11 | 16 | 34-42 | 38 |
| 15. კაენი | 36 | 9 | 11 | 16 | 37-53 | 38 |
| 16. აიაჩო | 36 | 8 | 13 | 15 | 37-60 | 37 |
| 17. სოშო | 36 | 9 | 9 | 18 | 36-59 | 36 |
| 18. ბრესტი | 36 | 6 | 17 | 13 | 29-38 | 35 |
| 19. დიჟონი | 36 | 9 | 8 | 19 | 37-57 | 35 |
| 20. ოსერი | 36 | 7 | 13 | 16 | 45-52 | 34 |

**ბომბარდირები**: 21 - ოლივიე ჟირუ (მონპელიე); 18 - ნენე (პარი სენ ჟერმენი); 17 - ედენ აზარი (ლილი); 15 - ლისანდრო ლოპესი (ლიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნატახტარის“ კიდევ ერთი ინოვაციური გათამაშება - მიიღე მოგებული თანხა მყისიერად!



ლუდი და ფეხბურთი განუყრელი ცნებებია, – ამიტომაც კომპანია „ნატახტარი“ მომხმარებელს ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებულ წამახალისებელ გათამაშებას სთავაზობს, – გათამაშებაში მონაწილეობის მიღება მარტივია, – გახსენი ნებისმიერი მოცულობის პეტის (პლასტმასის) შეფუთვა და ბოთლის თავსახურში მოთავსებულ კაფსულაში აღმოაჩინე 10, 20, 50, 100 ან 200 ლარიანი კუპიურები. გათამაშება 7 მაისს უკვე დაიწყო და 7 ივლისამდე გაგრძელდება.

კომპანია „ნატახტარმა“ უკვე წამახალისებელი გათამაშებების ტრადიცია დაამკვიდრა. ისევე, როგორც 2010 წელს, ეს წამახალისებელი გათამაშებაც ფეხბურთის თემას უკავშირდება, თუმცა ამჟამად მიდგომა ინოვაციურია, რაც მოგებული მყისიერ მიღებაში გამოიხატება. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ასევე ყველა ზომის ბოთლში, 0,5ლ შუშის, 1 ლიტრიან, 2 ლიტრიან და 2,5 ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში თქვენ შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ლაზერით დაბეჭდილი მომგებიანი თავსახურები, – სუპერპრიზი 50 000 ლარი და 300 000 ცალი, უფასო ნახევარლიტრიანი შუშის ბოთლით ნატახტარი.

**თორნიკე ნიკოლაიშვილი, კომპანია “ნატახტარის” მარკეტინგის დირექტორი:**

–წამახალისებელი გათამაშების ფარგლებში, ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის უკრაინაში „ევრო-2012“-ის ფინალზე დასასწრები 4 საგზური გათამაშდება, რომელშიც ბილეთების გარდა, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე ჯიბის ფული (დღეში 100 დოლარი) შედის. სიხარულით ავღნიშნავ, რომ მსგავსი სიახლე საქართველოში პირველად ხდება და გათამაშებაში მონაწილისთვის სხვა ეფექტი აქვს, როცა ბოთლის თავსახურში მოთავსებულ კაფსულაში წვრილად დაკეცილ ფულს იპოვის...

**– ალბათ საზოგადოებას აინტერესებს, სავარაუდოდ ყოველი მერამდენე ბოთლი შეიძლება იყოს მომგებიანი...**

– ასე წინასწარ ძნელია თქმა, მაგრამ მოგების ალბათობა ძალიან დიდია. ალბათობის თანახმად კი, ყოველი მე15-ე, მე-20-ე ბოთლი იგებს, თუმცა ეს მხოლოდ პირობით შეიძლება ვთქვათ. ისე კი შესაძლოა, შეკვრაში ყველა ბოთლი მომგებიანი იყოს, გააჩნია როგორ ნაწილდება წარმოებაში. იქ კი მომგებიანი ბოთლების გადანაწილება შემთხვევითობის პრინციპით ხდება, ანუ შესაძლოა, სამი ბოთლი გახსნას ადამიანმა და სამივე მომგებიანი იყოს.

ამასთან როგორც „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა აღნიშნა, მოგების ან გათამაშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იფუნქციონირებს ცხელი ხაზი 2550-700.

„ნატახტარმა“, კომპანია Efes Breweries International, მეშვეობით, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუშაობს, ლუდის ბაზარზე არსებული საერთაშორისო გამოცდილება საქართველოში დანერგა.

2008 წლიდან დღემდე კომპანია „ნატახტარში“ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 100 მლნ დოლარს გადააჭარბა. დიდი ყურადღება მიექცა კომპანიაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ხარისხის მართვას. თანამედროვე საწარმოო ხაზებისა და ლაბორატორიის უახლესი დანადგარებით აღჭურვაში დიდი მოცულობის ინვესტიციები განხორციელდა. როგორც კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი თორნიკე ნიკოლაიშვილი აცხადებს, „ნატახტარში“ ხარისხი 24 საათის განმავლობაში კონტროლდება. კვალიფიციური სპეციალისტები 240-დან 300-მდე სინჯს იღებენ და ამოწმებენ.

პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ჰიგიენური უსაფრთხოების გარანტი უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიაა. როგორც კომპანია „ნატახტარის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, – საწარმოში ტარა იონიზირებული ჰაერითა და ულტრაიისფერი სხივების საშუალებით სუფთავდება. პოლიეთილენის ბოთლები კი დამცავი გარსით იფარება, რაც პროდუქციის საშიში მინარევებისგან დაცვასა და შენახვის ხანგრძლივობას განაპირობებს. პროდუქციის ხარისხს კი უნიკალური თვისებებით გამორჩეული ნედლეული და ტექნიკურ პერსონალის დახვეწილი ოსტატობა უზრუნველყოფს.

დღეისათვის „ნატახტარი“ ქართული ლუდის ბაზრის 65%-ზე მეტი წილის მფლობელია. კომპანია მომხმარებელს ლუდის სამ ბრენდს - ნატახტარს, ტრიდეს და ეფესს, ასევე სამ ქვებრენდს - კასრს, ქარვას და ექსტრას სთავაზობს. ამასთან, კომპანია შვიდი დასახელების უგემრიელეს ლიმონათს ამზადებს.



R

უცხოური ფეხბურთი

გერმანიის თასი. ფინალის წინ

# ვისია, ვისია, თასი ლამაზი?

## გერმანული სეზონი სუპერმატჩით იხურება



მარცხნიდან: დორტმუნდის „ბორუსიას" კაპიტანი სებასტიან კელი, მწვრთნელი იურგენ კლოპი, „ბაიერნის" მწვრთნელი იუპ ჰაინკესი და კაპიტანი ფილიპ ლამი

**დღეს**

| **ბორუსია (დ)–ბაიერნი** | **22:00** |
|---|---|

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – გიუნდოგანი, კელი – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – კროოსი, შვაინშტაიგერი – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**არბიტრი:** პეტერ გაგელმანი (ბრემენი)

ათასჯერ ნათქვამს თამამად გავიმეორებთ: ქვეყნის თასის გათამაშებას არსად ექცევა ისეთი ყურადღება, როგორც გერმანიაში და არცერთ სხვა ქვეყანაში არ (აღარ) იბრძვიან თასისთვის ისეთი თავდადებით, როგორც გერმანიაში. დღეს გერმანიის თასის ფინალია, რომელიც ტრადიციულად ბერლინში გაიმართება და ისედაც უაღრესად საინტერესო ფინალისთვის დამატებითი ინტრიგაა ის, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ დორტმუნდის „ბორუსია" და მიუნხენის „ბაიერნი" წარდგებიან. გერმანიის ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონის წინააღმდეგ: ბოლო ორ წელიწადში მიუნხენური გრანდის ოთხგზის გამამწარებელი „დორტმუნდი" იმ რეკორდმაისტერის წინააღმდეგ, რომელიც ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალისტიცაა. ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში თასის ფინალი წელს მართლაც საოცნებო გამოვიდა.

ცნობილია, რომ დორტმუნდელთა თავკაცი **იურგენ კლოპი** გერმანიის თასის ფანია და ბერლინის ფინალს განსაკუთრებულ პატივს სცემს. იურგენისთვის ბერლინის ფინალი ცნობილ „უემბლის ფინალზე" არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან თასს გერმანიაში ყველა კლუბი უდიდეს ყურადღებას აქცევს და ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე გუნდი სათასო მატჩში გადახალისებული შემადგენლობით თამაშობს.

### ჰაინკესი: ჯერ დორტმუნდი, მერე ჩელსი

რაც შეეხება „ბაიერნის" დამრიგებელ **იუპ ჰაინკესს**: ცხადია, თასის ფინალს მისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს – მეტადრე იმ დროს, როცა მიუნხენური კლუბი ზედიზედ მეორედ დარჩა გერმანიის ჩემპიონობის გარეშე და თასი ერთადერთი ნაციონალური ტიტულია, რომლის მოგებაც ამ სეზონში შეუძლია. მაგრამ „ბაიერნს" წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალიც ელის და გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ჩვენმა გერმანელმა ჟურნალისტებმა „დონ იუპს" ამიტომაც ჰკითხეს, ხომ არ შიშობთ, რომ ხვალ თქვენი შეგირდები „ჩელსისთან" მატჩზე იფიქრებენ და თასის ფინალში ჯეროვნად კონცენტრირებულები ვერ იქნებიანო.

*„ასეთი საშიშროება არ არსებობს, რადგან ჩვენ ყველა მატჩზე ეტაპობრივად ვფიქრობთ. დღეს ჩვენთვის ყველაზე მთავარი ბერლინია, მიუნხენზე ფიქრს ხვალიდან, თასის ფინალის დასრულებისთანავე დავიწყებთ,* - განაცხადა 67 წლის ჰაინკესმა და დასძინა, - *ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ფინალს ფეხბურთელების თავებიდან ვერ ამოვშლი, მაგრამ თითოეულ მოთამაშეს კარგად აქვს გაცნობიერებული ის, რომ ორი მიზანი გვაქვს: ჯერ გერმანიის თასი უნდა მოვიგოთ, მერე კი ჩემპიონთა ლიგა."*

მწვრთნელის მოსაზრება გუნდის კაპიტანმა **ფილიპ ლამმაც** გაიზიარა: *„ბაიერნს" ამ სეზონში ორი მატჩი დარჩა ჩასატარებელი და ორივე შეხვედრაში ტიტულების ბედი წყდება. ჩვენ „ბაიერნი" ვართ და ორივე ტიტულის მოგება გვინდა. კონცენტრაციისა და მონდომების პრობლემა არ გვაქვს, რასაც ხვალ, „დორტმუნდთან" მატჩში ყველა ნათლად დაინახავს. ცხადია ისიც, რომ დორტმუნდელებიც მედგრად იბრძოლებენ, რადგან დუბლის შესრულების ისტორიული შანსი აქვთ. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მაგარი თამაში გამოვა,"* - განაცხადა 28 წლის ლამმა.

### კლოპი: 100%-ით მზად ვართ!

ლოგიკურად, კონცენტრაციის დაქვეითების საფრთხის წინაშე დორტმუნდელებიც დგანან, რადგან გერმანიის ჩემპიონობით სეზონის უმთავრეს მიზანს მიაღწიეს, მაგრამ კლოპის თქმით, მის შეგირდებს დანაყრების არაფერი ეტყობათ და „ბაიერნთან" თავგანწირვით ითამაშებენ.

*„თასის ფინალისთვის ასი პროცენტით მზად ვართ,* - ასე დაიწყო კლოპმა პრესკონფერენციაზე საუბარი, - *არც მონდომება გვაკლია, არც კონცენტრაცია და ბიჭებმა ფორმაც შეინარჩუნეს. ვფიქრობ, ამის თქმა არც უნდა მჭირდებოდეს – უმოტივაციო და არაკონცენტრირებული დორტმუნდის „ბორუსია" ვინმეს ოდესმე უნახავს? მიუხედავად ზედიზედ ორი ჩემპიონობის, ჩემი გუნდი ჯერ კიდევ არ დანაყრებულა და არც არასდროს დანაყრდება. ეს ბიჭები ფეხბურთს ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით თამაშობენ და მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადიან."*

როგორც ლამმა ჰაინკესს, კლოპს მხარი თავისმა კაპიტანმა, **სებასტიან კელმაც** აუბა: *„ბაიერნთან" თამაში ჩვენთვის ყოველთვის ორმაგ მოტივაციას ნიშნავს. ეს ჩვენთვის სეზონის ბოლო მატჩია, რომელშიც კიდევ ერთხელ შევეცდებით ჩვენი შესაძლებლობების დამტკიცებას."*

როგორც იცით, „დორტმუნდმა" „ბაიერნს" ბოლო ორ სეზონში ოთხივე თამაში მოუგო, რაც რეკორდმაისტერისთვის საკმაოდ დიდი სირცხვილია. კლოპი დარწმუნებულია, რომ მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის თავს თუნდაც მხოლოდ ამის გამო არ დაზოგავენ – „ბაიერნის" პრეზიდენტ **ული ჰიონესისთვის** ჩვენთან ზედიზედ მეხუთე მარცხი ძალიან რთულად გადასატანი იქნებაო.

### დორტმუნდის მორიგი რეკორდი?

თუ „ბორუსია" „ბაიერნს" ზედიზედ მეხუთედ დაამარცხებს, მორიგ რეკორდს დაამყარებს და რეკორდმაისტერი ზედიზედ ხუთჯერ აქამდე არავისთან დამარცხებულა. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში დორტმუნდელები თავიანთ ისტორიაში დუბლს პირველად შეასრულებენ.

ჰაინკესმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე „დორტმუნდთან" მხოლოდ ამ სეზონის მატჩები გაიხსენა და ყველას შეახსენა, რომ „ბორუსიამ" „ბაიერნი" ორივე მატჩი მინიმალური ანგარიშებით (1:0, 0:1) დაამარცხა. *„მართალია, დორტმუნდელებმა გერმანიის ჩემპიონობა ქულების სარეკორდო რაოდენობით იზეიმეს და თასის ფინალშიც სამართლიანად მიიჩნევიან ფავორიტებად, მაგრამ გავახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „რეალი" იყო ფავორიტი, მე კი ჯიუტად ვამბობდი, მჯერა, რომ ფინალში გავალთ-მეთქი. ახლაც თამამად ვიტყვი: მჯერა, რომ გერმანიის თასს ჩვენ მოვიგებთ,"* - განაცხადა ბავარიელთა თავკაცმა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჰაინკესს მწვრთნელის რანგში გერმანიის თასი არასდროს მოუგია – ისევე, როგორც კლოპს, რომელმაც მწვრთნელის რანგში გერმანიის თასის ფინალში სულაც პირველად გააღწია. „დონ იუპს" გერმანიის თასი მხოლოდ ფეხბურთელის რანგში აქვს მოგებული (1973 წელს, „გლადბახი"-„კიოლნი" 2:1 დ.დ.), ხოლო მწვრთნელობისას ფინალში ერთხელ იყო და ისიც წააგო (1984 წელს, „ბაიერნმა" მის „გლადბახს" პენალტების სერიაში სძლია).

#### რუმენიგემ ძეიფი აკრძალა

თუ „ბაიერნი" გერმანიის თასს მოიგებს, მიუნხენელ ფეხბურთელებს ღამის კლუბებში გართობა აკრძალული აქვთ. ამაზე გუშინ რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ისაუბრა.

*„არანაირი დისკოთეკა, არანაირი ალკოჰოლი და გართობა დილამდე. წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალია და ფეხბურთელებმა იციან, რომ ასეთ დროს მკაცრი რეჟიმი უნდა დაიცვან,"* - განუცხადა კალემ „მიუნხენერ აბენდცაითუნგს".

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის ფინალი მომდევნო შაბათს ელის (მიუნხენში, „ჩელსისთან"). დღეს, გამარჯვების შემთხვევაში რესტორანში მხოლოდ ბანკეტი და საზეიმო ვახშამი გაიმართება.

---

ბაიერნი. ინტერვიუ ბასტიან შვაინშტაიგერთან

# ახლა ვხვდები, რას გულისხმობდა კანი



ბაიერნის ლიდერი ბასტიან შვაინშტაიგერი

**- ჯერ გერმანიის თასის ფინალი „დორტმუნდთან", მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალი „ჩელსისთან" - გულახდილად გვიპასუხეთ, ორივე მატჩზე ერთნაირად ფიქრობთ?**

- ბოლო ღამეები ნამდვილად მშვიდად მეძინა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ჩემპიონთა ლიგის თასის მოგება უფრო მეტად მინდა. ვფიქრობ, ამით გაუგებარს არაფერს ვამბობ და ეს ისედაც ნათელია. თუმცა გერმანიის თასმა ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა მას მერე, რაც გერმანიის ჩემპიონები ვერ გავხდით – არ გვინდა, რომ ნაციონალური ტიტულის გარეშე დავრჩეთ და ასეც რომ არ იყოს, ჩვენ, ბაიერნელები ყველა მატჩს უდიდესი კონცენტრაციით ვუდგებით ხოლმე, რაც თუნდაც ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „კიოლნთან" სპორტული თვალსაზრისით უმოტივაციო შეხვედრაშიც დავამტკიცეთ. ადრე, როცა ოლივერ კანის ინტერვიუებს ვკითხულობდი, რომელიც ამბობდა, თასის ფინალში მოედანზე გასვლისას თმები ყალყზე მიდგება ხოლმეო, მეცინებოდა და „ტიტანის" არ მჯეროდა, ახლა კი ვხვდები, რას გულისხმობდა ოლი. „ბაიერნს" ძალიან უნდა გერმანიის თასის მოგება!

**- იმიტომ, რომ ბუნდესლიგაში მეორე ადგილზე გახვედით და „დორტმუნდზე" შურისძიება უბრალოდ აუცილებელია?**

- არა მარტო ამიტომ. ზოგადად, მიუხედავად ვიცე-ჩემპიონობისა, საწუწუნო არაფერი გვაქვს, რადგან ახლა უფრო მეტი ქულა დავაგროვეთ, ვიდრე 2010 წელს, როცა ჩემპიონებიც გავხდით და თასიც მოვიგეთ.

**- გული გტკიოდათ, როცა დორტმუნდელთა ზეიმი ნახეთ?**

- რა თქმა უნდა! მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ „ბორუსიამ", განსაკუთრებით მეორე წრეში, ძალიან კარგად ითამაშა და ჩემპიონობა დაიმსახურა. ორი წელია, დორტმუნდელები არა მარტო თვალსასეირო, არამედ წარმატებაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბორუსია" ნელ-ნელა „ბაიერნის" მუდმივი და სერიოზული კონკურენტი ხდება.

**- „დორტმუნდმა" „ბაიერნს" ჩემპიონობა ზედიზედ ორჯერ წაართვა. არის თუ არა ეს თქვენთვის დამატებითი მოტივაცია თასის ფინალში?**

- ფაქტია, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია. შესაბამისად, თასის ფინალში ზუსტად ისეთი შემართებით უნდა ვიბრძოლოთ, როგორც, მაგალითად, „რეალთან" ვიბრძოლეთ. „ბორუსიას" მხოლოდ ასეთი მიდგომით დავამარცხებთ.

**- ფანები შიშობენ, რომ თქვენ და თქვენი თანაგუნდელები ჩემპიონთა ლიგის ფინალზე იფიქრებთ, რაც ბერლინის ფინალში „ბაიერნს" კონცენტრაციას დაუქვეითებს...**

- ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, რადგან ჩვენ „ბაიერნი" ვართ – გუნდი, რომელსაც ყველა ტიტულის მოგება ერთნაირად უნდა.

**- საქმე პენალტების სერიამდე რომ მივიდეს, დაარტყამთ?**

- აუცილებლად! თუ იმ დროს მოედანზე ვიქნები, აუცილებლად დავარტყამ.

**- „რეალთან" საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიო „ბაიერნის" გასახდელში შემოვიდა და გამარჯვება მოგილოცათ. თქვენთვის რამე კონკრეტული ხომ არ უთქვამს?**

- იმ დროს გასახდელში არ ვიყავი, ჯერ კიდევ მოედანზე გახლდით და ინტერვიუებს ვარიგებდი. ჟოზე გენიალური მწვრთნელია და ძალიან სამწუხაროა, რომ გერმანული არ იცის. რომ იცოდეს, დარწმუნებული ვარ, „ბაიერნს" სიამოვნებით გაწვრთნიდა. მიუხედავად ამისა, როცა მწვრთნელი დაგვჭირდება, გამიხარდება, თუ ხელმძღვანელები მოურინიოზეც იფიქრებენ...

---

დორტმუნდი. ინტერვიუ მატს ჰუმელსთან

# ბორუსია ბაიერნს აღარაფერს დაუთმობს!

**- ჰერ ჰუმელს, თქვენც ფიქრობთ, რომ „ბაიერნს" „დორტმუნდზე" შურისძიების სურვილი ჰკლავს?**

- არ ვიცი, ალბათ ასეა. წესით, ასე უნდა იყოს, რადგან ბოლო ოთხი დუელი ჩვენ მოვიგეთ. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: მიუნხენელები ჩვენთან თამაშს უკვე უკიდურესად სერიოზულად უდგებიან.

**- „ბორუსია" ბოლო დროს რეკორდებს ამხობს: თქვენი გუნდი 81 ქულით ყველა დროის საუკეთესო ჩემპიონი გახდა და ყველაზე ხანგრძლივი, 28-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო. კარგად გაქვთ გაანალიზებული ის, რაც ორი წელია დორტმუნდში ხდება?**

- გერმანიის თასის ფინალის შემდეგ ყველაფრის დეტალურად გაანალიზებისთვის საკმარისი დრო გვექნება, მაგრამ რაკი ახლა მეკითხებით, თამამად ვიტყვი, რომ ეს „ბორუსია" მართლაც ყველა დროის საუკეთესო ჩემპიონია. იმედია, ამ რეკორდს დიდხანს ველარ დაამხობენ და თუ ოდესმე ვინმე დაამხობს, ამას ისევ „ბორუსია" მოახერხებს.

**- ახლა კი ისტორიული შანსი გაქვთ, ერთი მხრივ „ბაიერნი" ზედიზედ მეხუთედ დაამარცხოთ, მორიგი რეკორდი დაამყაროთ და ამავდროულად დუბლი გაიფორმოთ.**

- ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ბოლო შეხვედრაში ვეთამაშეთ, მაგრამ „ბაიერნიც" უფრო მეტად იქნება მონდომებული და მიუნხენელები ალბათ ცოტათი სხვანაირად ითამაშებენ.

**- როგორ?**

- დარწმუნებული ვარ, გერმანიის თასის ფინალსაც ისე მიუდგებიან, როგორც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს მიუდგნენ, მაგრამ ჩვენც არაფერს დავუთმობთ. საერთოდ, „დორტმუნდი" „ბაიერნს" აღარაფერს დაუთმობს!

**- „დორტმუნდმა" ზაფხულში შეიძლება შინჯი კაგავა დაკარგოს. მან თქვა, წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობო...**

- შინჯი ძალიან მაგარი ფეხბურთელია და მისი წასვლით უმნიშვნელოვანესი ფიგურა დაგვაკლდება. ჯერ კიდევ იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენთან დარჩება, რადგან კაგავა „ბორუსიასთვის" ძალიან დიდი ძალაა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც აღარ მჯერა, რომ მომდევნო სეზონშიც ჩვენთან ითამაშებს. ასე რომ იყოს, ახალ კონტრაქტს დიდი ხნის წინ გააფორმებდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ დარჩეს. მაგრამ თუ წავა, ჩვენს გულშემატკივრებს არ უნდა შეეშინდეთ – სამაგიეროდ, მომავალი სეზონიდან ჩვენთან მარკო როისი გადმოდის, რომელიც წინა ხაზს მაგრად გაგვიძლიერებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



დორტმუნდის დაცვის ბურჯი მატს ჰუმელსი

ინგლისი. პრემიერლიგა. ბოლო ტურის წინ




გაგრძელდება თუ არა იაია ტურესა და მისი თანაგუნდელების ზეიმი ხვალ საღამოს, ამას წინასწარ ვერავინ იტყვის

# მთელი წლის ინტრიგა ორ მატჩში

## წვრილ-წვრილი ინტრიგები

"ჩელსიმ" წინა ტურში "ლივერპულთან" 4:1 დათმო და საბოლოოდ ჩამოშორდა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მე-4 ადგილისთვის ბრძოლას. "პენსიონერებმა" (ეს სახელი ლონდონელებს ბოლო პერიოდში შეერქვათ) "ენფილდზე" ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანეს და პრინციპულ მეტოქესთან განადგურებაც დიდწილად ამის ბრალი იყო. რაც შეეხება ბოლო ტურის შეხვედრას, მას მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელი ფუნქცია ექნება. "ჩელსის" 19 მაისს "ბაიერნთან" სეზონის უმთავრესი თამაში ელის მიუნხენის "ალიანს არენაზე". რაც შეეხება "ბლექბერნს", **სტივ კინის** გუნდმა მთელი სეზონის განმავლობაში წვალების შემდეგ წინა ტურში განუტევა სული და პრემიერლიგიდან გავარდა. ასე რომ, "სტემფორდ ბრიჯზე" ის მხოლოდ საკუთარი რენომეს დასაცავად თუ იბრძოლებს.

მას მერე, რაც "ნიუკასლმა" მე-4 ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად გამოაცხადა თავი, ზედიზედ ორჯერ წააგო. "უიგანთან" 0:4 და "მანჩესტერ სიტისთან" 0:2. "კაჭკაჭებს" ჯერ კიდევ აქვთ შანსი, რათა ამ ტურნირში მოხვდნენ. პირველ რიგში მათ "გუდისონ პარკზე" გამარჯვება მართებთ. რაც რთული ამოცანაა, მაგრამ არა შეუძლებელი. "ევერტონს", თავის მხრივ, 3 ქულის ალება და პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში "ლივერპულის" გადასწრება აქვს ჩაფიქრებული. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ საჩემპიონო რბოლის მონაწილეების შემდეგ ეს მატჩი გულშემატკივართა ყველაზე დიდ ინტერესს მიიპყრობს. ფავორიტის დასახელებისგან თავს შევიკავებთ.

"ნორვიჩმა" ბოლო ტურში "არსენალთან" გასვლაზე ფრედ ითამაშა და "ნიუკასლსა" და "ტოტენჰემს" ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გამსვლელი მესამე ადგილის დაკავების შანსი შეუნარჩუნა. ამჯერად **პოლ ლამბერტის** გუნდს უმოტივაციო "ასტონ ვილასთან" მოუწევს შერკინება და თუკი ბუკმეიკერებს ვენდობით, თამაშის მოგების მეტი შანსი აქვს. პრინციპში ეს ერთ-ერთი ის თამაშია, სადაც გუნდებს სერიოზული სატურნირო ამოცანებთან ჭიდილი არ უწევთ.

"ბოლტონს" ცალი ფეხი ჩემპიონშიპში უდგას. ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად მას "ბრიტანიაზე" 3 ქულის ალება მართებს და პარალელურად "ეტიჰადზე" "ქუინზ პარკის" მარცხს უნდა დაელოდოს. უკანასკნელი რომ **ოუენ კოილის** გუნდის სასარგებლოდ დასრულდება, იოლი სავარაუდოა, მაგრამ თავად რამდენად შესწვდება "მის წილ" 3 ქულას, ეს სხვა საქმეა. თავად განსაჯეთ, მიმდინარე სეზონში "სტოკმა" შინ ჩატარებულ 18 შეხვედრაში მხოლოდ 4 მარცხი იწვნია.

"ტოტენჰემს" შეუძლია დედაქალაქური დერბის მოგება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. საამისოდ მას "ფულჰემის" დამარცხება მართებს. თუკი "არსენალმა" წაიბორძიკა, ხვალინდელი თამაშის შემდეგ "დეზებმა" შეიძლება სულაც პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე ამოყონ თავი. მაგრამ... არც ისაა გამორიცხული, რომ მე-4 ადგილზე გასვლის მიუხედავად მაინც ლიგის მიღმა დარჩეს. ამის თაობაზე ჩვენი გაზეთი უკვე წერდა – "ჩელსის" მიერ 19 მაისს ლიგის მოგების შემთხვევაში მას მომდევნო გათამაშების საგზური პირდაპირ გადაეცემა. "ფულჰემზე" კი იმის თქმა შეიძლება, რომ გუნდი აბსოლუტურად უმოტივაციოა და არ გვგონია, "უაით ჰარტ ლეინზე" თუნდაც ქულის ალების დიდი შანსი ჰქონდეს.

სეზონის აღმოჩენად შერაცხილი "სუონსი" "ლიბერთი სტედიუმზე" "ლივერპულს" მასპინძლობს. სტუმრებს ჩემპიონატში ერთადერთი ამბიცია აქვთ – ჩემპიონატი "ევერტონზე" მაღლა უნდა დაასრულონ, რათა "ლურჯებს" დაცინვის უფლება არ მისცენ. ჩვენი აზრით, "წითლებს" გაუჭირდებათ 3 ქულის ალება.

"ჰოუტორნსზე" "არსენალს" დიადი და ნათელი ამოცანა აქვს – 3 ქულა უნდა აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება სულაც ლიგის მიღმა აღმოჩნდეს. ინგლისის ნაკრების ახლად დანიშნულ მთავარ მწვრთნელ **როი ჰოჯსონს**, ბუნებრივია, საკუთარ გულშემატკივართან დადებით განწყობაზე ენდომება გამოთხოვება.

"უიგანმა" ბოლოს წინა ტურშიღა გაინაღდა მომდევნო სეზონში ელიტაში დარჩენა და ეს უშუალო კონკურენტის არენა "ივუდ პარკზე" გააკეთა. ამჯერად DW-ზე მათ უკვე დაქვეითებული "ვულვზის" წინააღმდეგ მოუწევთ თამაში და ვფიქრობთ, **რობერტო მარტინესის** გუნდს არ გაუჭირდება 3 ქულის ალება. აქვე გეტყვით, რომ "მგლების" ხელმძღვანელობამ მომდევნო სეზონისთვის გუნდის საჭე "კიოლნის" ყოფილ თავკაც **სტოლე სოლკბაკენს** ჩააბარა.

| ხვალ: | |
|---|---|
| **ჩელსი-ბლექბერნი** | **18:00** |

**ტრავმა:** ლუისი, კეჰილი, მიკელი – გრელა, ჟივე, ს. დანი, ჰენლი, სალგადო

**ევერტონი-ნიუკასლი 18:00**

**ტრავმა:** ნევილი, ბეინსი, გიბსონი, ანიჩებე, როდუელი – ტეილორი, გატრი, ამეობი, ვუკჩიჩი, სიმპსონი, ლოვენკრანდსი

**მანჩესტერ სიტი-ქუინზ პ. 18:00**

**ტრავმა:** ჰელგუსონი, დაიერი, დიაკიტე, ფორლინი (ქპრ)

**ნორვიჩი-ასტონ ვილა 18:00**

**ტრავმა:** ტირნი, აიალა, უაიტბრედი, დრური, ჰატონი – დელფი, პეტროვი, ოლბრაიტონი, ვაიმანი, ჰესკი, აგბონლაჰორი, ბენტი

**სტოკი-ბოლტონი 18:00**

**ტრავმა:** პენანტი, სიდიბე, დიაო, უილკინსონი – მუამბა, სტეინსონი, ჰოლდენი, გარდნერი, პრეტლი, უიტერი, მირსი

**სანდერლ.-მანჩესტერ იუნ. 18:00**

**ტრავმა:** უიკჰემი, ანხელერი, რიჩარდსონი, ლარსონი, ბრაუნი – ფერდინანდი, ევანსი, პოგბა, მაკედა, ოუენი, ანდერსონი, სმოლინგი, ფლეტჩერი, ვიდიჩი, უელბეკი

**სუონსი-ლივერპული 18:00**

**ტრავმა:** ორლანდი, აგუსტინი, ბოდე – ლეივა, ადამი

**ტოტენჰემი-ფულჰემი 18:00**

**ტრავმა:** ჰადლსტოუნი, დოუსონი, გომესი, კრანჩარი, ასუ-ეკოტო – რუისი, სიდუელი, გრიგერა, ჯონსონი, დევისი

**დისკვალიფიკაცია:** როუზი (ტოტ)

**ვესტ ბრომვიჩი-არსენალი 18:00**

**ტრავმა:** ოდემვინგე, რიდი, გერა – ფრიმპონგი, მერტეზაკერი, არტეტა, უოლკოტი, დიაბი, სანია, უილშირი

**უიგანი-ვულვერჰემპტონი 18:00**

**ტრავმა:** ბასონგი, ფოლი, კრედოკი, ბერა, კაიტლი, ჰენესი, ო'ჰარა, ჯარვისი, დევისი (ვულვ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 37 | 27 | 5 | 5 | 90-27 | 86 |
| 2. იუნაიტედი | 37 | 27 | 5 | 5 | 88-33 | 86 |
| 3. არსენალი | 37 | 20 | 7 | 10 | 71-47 | 67 |
| 4. ტოტენჰემი | 37 | 19 | 9 | 9 | 64-41 | 66 |
| 5. ნიუკასლი | 37 | 19 | 8 | 10 | 55-48 | 65 |
| 6. ჩელსი | 37 | 17 | 10 | 10 | 63-45 | 61 |
| 7. ევერტონი | 37 | 14 | 11 | 12 | 47-39 | 53 |
| 8. ლივერპული | 37 | 14 | 10 | 13 | 47-39 | 52 |
| 9. ფულჰემი | 37 | 14 | 10 | 13 | 48-49 | 52 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 37 | 13 | 8 | 16 | 43-49 | 47 |
| 11. სანდერლენდი | 37 | 11 | 12 | 14 | 45-45 | 45 |
| 12. სუონსი | 37 | 11 | 11 | 15 | 43-51 | 44 |
| 13. ნორვიჩი | 37 | 11 | 11 | 15 | 50-66 | 44 |
| 14. სტოკ სიტი | 37 | 11 | 11 | 15 | 34-51 | 44 |
| 15. უიგანი | 37 | 10 | 10 | 17 | 39-60 | 40 |
| 16. ასტონ ვილა | 37 | 7 | 17 | 13 | 37-51 | 38 |
| 17. ქუინზ პარკი | 37 | 10 | 7 | 20 | 41-63 | 37 |
| 18. ბოლტონი | 37 | 10 | 5 | 22 | 44-75 | 35 |
| 19. ბლექბერნი | 37 | 8 | 7 | 22 | 47-76 | 31 |
| 20. ვულვზი | 37 | 5 | 10 | 22 | 38-79 | 25 |

**ბომბარდირები:** 30 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 26 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 22 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 17 - კლინტ დემპსი (ფულჰემი); 16 - დემბა ბა (ნიუკასლი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი); 14 - გრანტ ჰოლტი (ნორვიჩი); 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), პაპის დემბა სისე (ნიუკასლი)

## ორი მანჩესტერი, ორი მატჩი, ერთი ტიტული...

ბოლოსთვის მანჩესტერული გრანდების თამაშები შემოვინახეთ. "სტედიუმ ოფ ლაითზე" ჩატარებული მატჩებიდან "ეშმაკებს" ბოლო წლებია დადებითის მეტი არაფერი ახსენდებათ. ბოლო 7 სტუმრობიდან სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა 5 მოიგო და 2-ჯერ ფრედ ითამაშა. თუ ამ დადებით დინამიკას გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ "იუნაიტედს", წესით, არც ხვალ უნდა გაუჭირდეს დადებითი შედეგის მიღწევა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ "შავი კატების" დამრიგებელი **მარტინ ო'ნილია**, ჩრდილოირლანდიელს კი ძალიან უყვარს ხოლმე სიურპრიზები. ასე მოიქცა ის "ეტიჰადზეც", როცა "სიტიმ" მიმდინარე სეზონში შინ ქულები პირველად დაკარგა.

"მანჩესტერ სიტის" ამოცანა ძალიან მარტივია - 3 ქულა უნდა მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში "ქალაქელები" პირველად ბოლო 44 წლის განმავლობაში ინგლისის ჩემპიონატს მოიგებენ. ეს სათქმელად უფრო იოლია, ვიდრე შესასრულებლად, მით უფრო მაშინ, როცა "სიტის" ის გუნდი სტუმრობს, რომელსაც წაგების შემთხვევაში ელიტიდან დაქვეითება ემუქრება. კლუბის ხელმძღვანელობა **მარკ ჰიუზს** მიზნის მიღწევის შემთხვევაში პრემიის სახით 1 მილიონ ფუნტს გამოუწერს. დაჯილდოვდებიან თავად ფეხბურთელებიც. ასე რომ, "ქალაქელებს" წინასწარ ჩემპიონად ნურავინ გამოაცხადებს.

ამბები

### იუნაიტედი ჩემპიონია

სამხრეთის [illegible] ლიგის მომგებ "ასტონ ვილასთან" გამარჯვების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედი" რეზერვისტთა ლიგის ჩემპიონი გახდა. ბირმინგემელებთან შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში "ეშმაკებმა" გოლკიპერ **სემ ჯონსტონის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მეტოქე 3:1 დაამარცხეს.

### ტერის ჯერ არავინ შეხმიანებია

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** ჯერ არ დაკავშირებია **ჯონ ტერის** და არ გაუმარტავს, აპირებს თუ არა ნაკრებში მის დაბრუნებას. ასე რომ, "ჩელსის" ვარსკვლავის მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატზე ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. ტერის გვერდით ნაკრებში **რიო ფერდინანდმა** უნდა ითამაშოს, რაც ჰოჯსონს დილემის წინაშე აყენებს. მას ჯერ ვერ გადაუწყვეტია, რომელზე გააკეთოს აქცენტი. მოგეხსენებათ, რიო **ანტონ ფერდინანდის** ძმაა, ვის რასისტულ შეურაცხყოფაშიც "ჩელსის" ვარსკვლავს ედება კიდეც ბრალი. კონფლიქტმა ნაკრების უკანა ხაზის ლიდერთა შორის ურთიერთობა მეტისმეტად გაამწვავა. *"მართალია ჩემთან აქამდე არავის დაურეკავს, მაგრამ ამ ეტაპზე 100%-ით "ჩელსის" თამაშებზე ვარ კონცენტრირებული და სხვა რამეზე საფიქრალად ჯერ არც მცალია. თუმცა იმედი მაქვს, რომ მაინც დამიძახებენ. ინგლისის ნაკრები ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩემი ქვეყნის ღირსების დასაცავად ყოველთვის მზად ვიქნები,"* – აცხადებს ტერი.



ჯონ ტერი

### ჩელსის ფანების რჩეულები

"ჩელსის" რიგებში ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში ორი ფეხბურთელი გამოირჩეოდა. ლაპარაკია **ხუან მატასა** და **რამირესზე**. გულშემატკივრებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში სწორედ ესპანელმა იმარჯვა. ხუანი პირველი ფეხბურთელი გახდა **რუუდ გულიტის** შემდეგ, რომელიც ფანებმა სადებიუტო სეზონშივე დაასახელეს საუკეთესო "ლურჯად". ლეგენდარული ჰოლანდიელი 1996 წელს გახდა ამ პრიზის მფლობელი. რაც შეეხება ბრაზილიელს, ის თანაგუნდელებმა დაასახელეს "ჩელსის" საუკეთესო მოთამაშედ. გარდა ამისა, გამოვლინდა საუკეთესო თინეიჯერი ჩელსელი. პრიზი 18 წლის ბრაზილიელ **ლუკას პიაზონს** გადაეცა.

### სმოლინგი ევროპის მიღმა

"მანჩესტერ იუნაიტედის" 22 წლის ცენტრალურმა მცველმა **კრის სმოლინგმა** 37-ე ტურის შეხვედრაში "სუონსისთან" საზარდულის სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც ცხადი გახდა, რომ ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარება. ჯერ არ გარკვეულა, მას ოპერაციას გაუკეთებენ თუ მედიკამენტებით შეეცდებიან მკურნალობის პროცესის წარმართვას.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

# ირანით გავხსნით...

დღეს და ხვალ ბაქოს ოლიმპიური სპორტკომპლექსი „სერხედჯი“ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასს უმასპინძლებს, რომელშიც მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მიხედვით შერჩეული 10 გუნდი მონაწილეობს. მათ შორის - საქართველოს ნაკრებიც, რომელიც იქ ლამის ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებს. ჩვენებისთვის ეს ბოლო შეჯიბრებაა ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების გზაზე და ამიტომ მწვრთნელები მას სასტარტოდ იყენებენ ყველა იმ მომავალი ოლიმპიელისთვის, ვისაც სტარტი აკლია. ბაქოში **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი, იაკობ მაქარაშვილი** (ორივე - 74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) იჭიდავებენ. მწვრთნელებმა ამჯერად **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **ოთარ თუშიშვილი** (66) და **გიორგი გოგშელიძე** (96) არ წაიყვანეს, რადგან მათ ახლახან სალიცენზიო შეჯიბრებაში იასპარეზეს.

მსოფლიოს თასის მონაწილე 10 გუნდი ორ ხუთგუნდიან ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. ჩვენს ქვეჯგუფში ირანი, თურქეთი, იაპონია და აშშ მოხვდნენ. ერთი შეხედვით, გაგვიმართლა, რადგან აგვცდნენ ამ საჭიდაო სტილის აღიარებული ლიდერები - მასპინძელი აზერბაიჯანი და რუსეთი, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით! საქმე ისაა, რომ არც მასპინძლები და მით უფრო - არც რუსები უძლიერესი შემადგენლობით არ გამოდიან, ირანი კი უკლებლივ ყველა ლიდერით ჩავიდა ბაქოში. რუსებს სულ მალე ქვეყნის პირველობა ელოდებათ, რაც მათთვის საოლიმპიადოდ მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა და ლიდერები იმისთვის ემზადებიან. რუსთა დაღესტნელმა თავკაცმა **მაგომედ ჰუსეინოვმა** განაცხადა კიდეც, რომ მსოფლიოს თასის მოგების ამოცანა არ დგას. მისგან განსხვავებით, ახლო წარსულის ცნობილი ირანელი ფალავანი, იქაურთა მთავარი მწვრთნელი **რასულ ხადემი** აცხადებს, რომ ბაქოში თასის მოსაგებად მიდის. თურქეთი და ამერიკაც კარგი გუნდებით ჩავიდნენ და, მართალია, სუსტი ნაკრები არც **ზაზა თურმანიძეს** ჰყავს, მაგრამ ჩვენებს ბაქოში მაინც დიდი ბრძოლა ელოდებათ. საქართველოს ნაკრები დღეს პირველ წრეში ისვენებს, მერე კი ირანსა და თურქეთს გაეჯიბრებიან.

როგორც ვხედავთ, ჩვენებს პირველივე შეხვედრა ფინალის ტოლფასი უწევთ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# რუანში ქართველებმა თანამემამულეებიც გაახარეს



ამ დღეებში 1998-99 წლებში დაბადებულ ქარელელ ძიუდოისტთა გუნდი საფრანგეთში, ნორმანდიის მხარის ქალაქ რუანში იმყოფებოდა ევროპის ჩემპიონ **უგო ლეგრანდის** (73) კლუბში სავარჯიშოდ. ლეგრანდი „მამლების“ სტაჟიანი წევრია - პეკინის ოლიმპიადის შემდეგ **დავიდ ფერნანდესი** შეცვალა (**ჟილ ბონომე** მხოლოდ პერიოდულად ჩნდებოდა გუნდში) და მას მერე მყარად დგას ნაკრებში. ლეგრანდის პირველი დიდი წარმატება 2010 წელს ვენაში ევროპის პირველობაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალია. შარშან ამავე სინჯის ჯილდო უკვე მსოფლიოზე მოიპოვა პარიზში, წლეულს კი ჩელიაბინსკში ევროპის ჩემპიონი გახდა. აქტიური სპორტული კარიერის გარდა, მას მშობლიურ რუანში ძიუდოს კლუბი აქვს და სწორედ იქ იყვნენ მიწვეული ჩვენი ჭაბუკები. მათი დამაკავშირებელი რუანში მცხოვრები და იმ კლუბში მოვარჯიშე **გია კურტანიძე** გახდა, რომლის მეშვეობითაც მიიწვიეს ქართველები. თავდაპირველად იქ დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება იგეგმებოდა, თუმცა დროში ევროპის ჩემპიონატს დაემთხვა, რის გამოც ქვეყნების უმრავლესობამ რუანში სტუმრობა გადაიფიქრა - მწვრთნელთა უმეტესობა კონტინენტის პირველობას ესწრებოდა, თუმცა ჩვენებმა საფრანგეთის დარ ძიუდოს ძლიერ სკოლაში გაკვეთილების მიღების საშუალება ხელიდან არ გაუშვეს. ჩვენი მოზარდები ხომ უცხოეთში ასპარეზობას ისედაც მოკლებულნი არიან, რაიონების წარმომადგენლები კი - ორმაგად. ამიტომ ქარელელებს მიწვევაზე უარი არ უთქვამთ და მწვრთნელმა **მირზა ხაბარელმა** იქ 8 სპორტსმენი წაიყვანა: **გიორგი ჭყოიძე** (34), **გაგა ბახტიძე** (38), **შალვა გაზაშვილი, ვლადიმერ ახალკაცი** (ორივე - 42), **ვაჟა მარჯანიძე** (46), **ზვიად ბერუაშვილი** (50), **ლუკა მაისურაძე** (55) და **ნიკა სიდამონიძე** (+55). ჩვენებმა იქ ათდღიანი ერთობლივი შეკრებაც გაიარეს და მასპინძელთა კლუბთან ორი საკონტროლო შეხვედრაც გამართეს „გუნდი გუნდზე“ პრინციპით. სასიხარულოა, რომ ორივე ჩვენებმა მოიგეს - პირველში 6:1 იმარჯვეს, მეორეში - 5:2. ქართველთა სტუმრობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იქაურ ქართველებში, მოგებამ კი ადგილობრივი მედია დააინტერესა. ქარელელებთან შესახვედრად საფრანგეთის სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ქართველებიც ჩავიდნენ, ადგილობრივმა პრესამ კი დიდი ყურადღება დაუთმო ჩვენს გუნდს.

აქვე გეტყვით, რომ ნორმანდიის წლევანდელი ჩემპიონი ჭაბუკთა შორის 46 კილოგრამში იქაური ქართველი - **ბექა ზუბაშვილი** გახდა, მისი ძმა, **ნიკოლოზ ზუბაშვილი** კი - ლა მანშისა.

**ირაკლი თავაძე**

-ს ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

მხატვრული ტანვარჯიში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქსანა სკალდინა და ელვირა ზუკაკიშვილი

# თბილისის თასის მისია

**დღეს ვაკეში, კალათბურთის აკადემიის სასპორტო დარბაზში, დაიწყება მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი — „თბილისის თასი“.**

უფროსებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს **ელვირა ზუკაკიშვილი,** რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. მხატვრულ ტანვარჯიშში მან მეცადინეობა მოსკოვში დაიწყო **ელენა ლის** ხელმძღვანელობით. ბოლო წლებია, ექვსგზის მსოფლიოს და რვაგზის ევროპის ჩემპიონ, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ **ოქსანა სკალდინასთან** იმაღლებს ოსტატობას. სახელოვანი სპორტსმენი ქალიშვილ დარია სვატკოვსკაიასთან ერთად ახლა თბილისშია და საერთაშორისო ტურნირზე შეგირდებს უქომაგებს.

— თბილისში პირველად 27 წლის წინათ ვიყავი, — გვითხრა ოქსანამ. — მაშინ საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გამოვდიოდი უმცროს ასაკში. თავი არაფრით გამომიჩენია. ყველას როგორც მახსოვს, ირინა ვინერის მოსწავლე მარინა ნიკოლაევამ გვაჯობა, უფროსებში გალინა ბელოგლაზოვამ გაიმარჯვა და მერე დიდ სარბიელზეც მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. იმ ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან ცოტა რამ შემორჩა მეხსიერებას. ყოველთვის მინდოდა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, მაგრამ სპორტსმენობისას დროს ვერ ვპოულობდი, მერე კი პოლიტიკური ვითარება აირია და...

**— ქართველ ტანმოვარჯიშეებთან თუ გქონიათ ურთიერთობა?**

— რას ამბობთ?! რა ურთიერთობა, მე მათთან დღემდე დიდი მეგობრობა მაკავშირებს. თინიკო ნადირაშვილთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებში ვიყავი ჯგუფურ ვარჯიშში. შეკრებაც ერთად გავიარეთ 1987 წელს, თინიკო გუნდთან ერთად გაემგზავრა ევროპის პირველობაზე, მე კი იმ ნაკრებში ვერ მოვხვდი. მერე ელისო ბედოშვილთან ერთად 1989-1990 წლებში მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვიასპარეზე. ირმა ყიფშიძესთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, ოღონდ ცოტა ხანს გვაკავშირებდა სპორტი, რადგან იმ დროს, როცა მე მოვედი, ის დიდ სარბიელს ტოვებდა. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი რამ მსმენია ირინა გაბაშვილზე. ერთხელ ვიდეოთი ვნახე მისი ბურთით გამოსვლა, რაც ჩემთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა — ასეთი სილამაზე, ასე სულის შეძვრამდე ბურთით შესრულებული ვარჯიში არასდროს მინახავს. ძალიან ვწუხვარ, რომ ირინა ცოცხალი აღარ არის და მისი გაცნობის საშუალება არ მეძლევა.

**— თქვენს ახალ შეგირდსა და ნორჩ ქართველ ტანმოვარჯიშეებზე რას იტყვით?**

— ელვირა ნიჭიერი, ჭკვიანი და შრომისმოყვარე სპორტსმენია. მასთან მუშაობა სასიამოვნოა. მოსკოვში, სამწუხაროდ, სავარჯიშოდ ცოტა დრო გვაქვს, რადგან მწვრთნელებს მხოლოდ 4 საათით გვაქვს დაქირავებული დარბაზი. იქ კი ბევრი ბავშვი მეცადინეობს. ამის მიუხედავად, როცა ჩვენთან იქნება ელვირა, მაქსიმალურ ყურადღებას მივაქცევთ. თბილისში კი ინდივიდუალურად ვარჯიშის მეტი დრო და საშუალება ეძლევა. აქ მას ხომ თინიკო ნადირაშვილი წვრთნის, სხვა გამოცდილი პედაგოგებიც ეხმარებიან.

რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, მათი გამოსვლა პირველად ვნახე პენზაში. კარგი გოგონები არიან, მედლებიც მრავლად მოიხვეჭეს. არც გამკვირვებია. ქართული მხატვრული ტანვარჯიშის სკოლა ხომ მთელ საბჭოეთში ყოველთვის იყო ერთ-ერთი მოწინავე ორიგინალური ხელწერით. ეტყობა, წლების შემდეგ მისი აღორძინება იწყება. „თბილისის თასის“ გათამაშებაც ამის ერთ-ერთი საწინდარია.

**— თქვენს ქალიშვილზეც მინდა გკითხოთ. პენზაში მან მსოფლიოს თასზე იყოჩაღა. შვილი დედას სჯობს?**

— (ეცინება). დარია ჯერ ჩამოუყალიბებელი სპორტსმენია, მაგრამ ნიჭით ნამდვილად მჯობია. ოღონდ, არ ვიცი, როგორ გამოიყენებს მას. მამა ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს თანამედროვე ხუთჭიდში, დედა მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი. ასე რომ, გენმა თავისი უნდა თქვას.

**— სწორედ, ბარსელონის ოლიმპიადაზე მინდოდა მეკითხა: დასაჯილდოვებლად რომ გამოგიძახეს, თანაგუნდელ ალექსანდრა ტიმოშენკოს ჩემპიონობა მიულოცეთ, ესპანელ კაროლინა პასკუალს კი ხელი არ ჩამოართვით. რა მიზეზით?**

— იმ ეპიზოდს ბევრი მახსენებს — ეტყობა, სამუდამო დამღად დამრჩება. არადა, თავდადებული შრომით ვცდილობ, ის უსიამოვნო ამბავი ჩემი ბიოგრაფიიდან ამოვშალო. ეს იყო საერთაშორისო სკანდალი, რაზეც ბევრმა მომენტმა მოახდინა ზეგავლენა. მოგეხსენებათ, მაშინ საბჭოთა კავშირი დაიშალა და ბარსელონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდმა იასპარეზა. ბოლო დღემდე არ ვიცოდი, მომცემდნენ თუ არა შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლებას. ბურთით ვარჯიშის დაწყების წინ 40 წამი მუსიკა არ ჩამირთეს. ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელშეშლას. ამის მიუხედავად, ბრინჯაო მაინც მოვიპოვე. არადა, შესაძლებელი იყო, კვარცხლბეკს მიღმა აღმოვჩენილიყავი. წინა წელს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა რომ მოვიპოვე, ესპანელი პასკუალი ოცეულში ძლივს შევიდა. ექვსი თვის შემდეგ ბარსელონაში უცებ მეორე ადგილზე აღმოჩნდა. სხვა სახეობებში არ ვიცი, მაგრამ მხატვრულ ტანვარჯიშში ასეთი სასწაულები არ ხდება. ქულებს მაკლებდნენ. დაჯილდოების წინ სიმწრის ცრემლს ძლივს ვიკავებდი. ძალიან ემოციური პიროვნება ვარ. სხვა ფაქტორმაც იმოქმედა ჩემზე — ევროპის ჩემპიონატებზე ბულგარელები რომ გვიგებდნენ, მკაცრად გვაფრთხილებდნენ, გამარჯვებულებს ხელი არ ჩამოართვათო. ყველაფერმა ზემოთქმულმა ერთად მოიყარა თავი და მოხდა ის, რაც მოხდა, თუმცა ჩემს საქციელს გამართლება მაინც არ აქვს.

**— ქალბატონო ოქსანა, ერთი შეკითხვაც: მხატვრულ ტანვარჯიშში ბოლო დროს საკმაოდ იმძლავრა აკრობატიკამ, მეტი ყურადღება მოქნილობაზეა გადატანილი, დაიკარგა უწინდელი ქალური სინაზე, პლასტიკა... მეთანხმებით?**

— სამწუხაროდ, შეფასებისას ობიექტური ვერ ვიქნები, რადგან იმ დროს მოვედი მხატვრულ ტანვარჯიშში, როცა ტექნიკური ელემენტები საკმაოდ გართულდა. მაგალითად, რგოლის 12 გდებიდან რვას ფეხით ვასრულებდი. თავადაც, ხალიჩაზე ქალური სინაზით არასდროს გამოვირჩეოდი, უფრო ტრიუკების ოსტატი ვიყავი და ეს მოსწონდა მაყურებელს. მერე მწვრთნელობისას ამგვარი მუშაობა ძვალსა და რბილში გამიჯდა, მისით ვცოცხლობ და ვსულდგმულობ. მართალი გითხრათ, ერთგვარად მეშინია კიდეც რადიკალური სიახლეებისა, რადგან ყველაფერი შესაცვლელი მექნება. მაგრამ რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ მხატვრულ ტანვარჯიშშიც შეიცვლება წესები. ამბობენ, ძველისკენ იხრებიანო. ვინ იცის, საყურებლად ის იქნებ უკეთესიც აღმოჩნდეს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ქართული სპორტი

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## ● არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# მაფია უკვდავია!



ფარდა აეხადა ერთ ფრიად სამწუხარო ამბავს. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფეხბურთში, არა მარტო სპორტული მორალის არაერთგზის მქადაგებელი, სენიორ **ჰექტორ რაულ კუპერი,** იტალიური პრესის ცნობით, მაფიასთან კავშირშია მხილებული (იტალიური მაფია იგულისხმება).

აპენინელთა სამართალდამცველები აცნობენ მსოფლიოს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კუპერი მილანის „ინტერნაციონალეს" წვრთნიდა, ქრთამად 200 000 ევრო მიიღო.

არცთუ უსაფუძვლო ეჭვი არსებობს, რომ საკუთარ სამშობლოში-არგენტინაში მუშაობის დროსაც კუპერი გარკვეულ მაქინაციებში იყო გახვეული.

აქედან გამომდინარე, ალბათ ნებისმიერ ქვეყანაში (და სხვათა შორის, საქართველოშიც) მავანნი უნდა დაფიქრდეს, უცხოელი მწვრთნელების მოწვევის დროს, თუ ვის იწვევს თავისი ქვეყნის ახალგაზრდების მწვრთნელად და დამრიგებლად.

## ● სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# დიდი ჩემპიონი ისევ ვერ წააქციეთ

სუმოში განსაკუთრებულად ფასობს დიდი ჩემპიონის დამარცხება - გუშინ ამის შანსი **თეიმურაზ ჯუღელს** (გაგამარუ) ჰქონდა, მაგრამ დასავლეთის მე-2 მაეგაშირამ ვერაფერი მოუხერხა დიდ მონღოლ **ჰაკუჰოს.** იოკოძუნა მარცხენათი შეწვდა ქართველის მავაშის, შემდეგ კი ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო, რომლითაც ასე უხვად არის დაჯილდოებული მონღოლი სუმოისტი. გაგამარუ მესამედ დამარცხდა დიდ ჩემპიონთან ამდენივე ცდიდან. აღსანიშნავია, რომ დიდი ჩემპიონი დამარცხებული არც **ლევან გორგაძეს** (**ტოჩინოშინი**) ჰყავს, მან ორჯერ წააგო **ასაშორიუსთან,** ხოლო ჰაკუჰოსთან 12-ჯერ! ერთადერთი ქართველი, ვინც ეს მოახერხა და თანაც ორჯერ, **ლევან ცაგურიაა (კოკაი).** „შავმა ზღვამ" მართალია, 12-ჯერ წააგო ასაშორიუსთან, მაგრამ 2005 და 2006 წლებში დამარცხებულიც ჰყავს ის და ორი „ოქროს ვარსკვლავიც" დაიმსახურა. სხვათა შორის, კოკაის ჰაკუჰოსთვისაც მოუგია, მაგრამ ის ორი გამარჯვება არ ითვლება, რადგან ჰაკუჰო მაშინ დიდი ჩემპიონის ტიტულს არ ფლობდა.

გუშინდელი დღე მხოლოდ კოკაისთვის გამოდგა იღბლიანი, მე-2 დივიზიონში მოასპარეზე ვეტერანს 4-2 ბალანსი გაუხდა, სამი მოგებაც და „შავი ზღვა" ელიტაში დარჩება. ნაცუ ბაშოს კი წაუგებლად კვლავ ოძეკი (ანუ ჩემპიონი) **კოტოშოგიკუ** ლიდერობს. 5-5 მოგება კი ერთბაშად 9 სუმოისტს აქვს.

**VI დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-**გაგამარუ** (უვატენაგე), კაკურიუ-ჰომაშო (ჰატაკიკომი), მიოგირიუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), ბარუტო-ტოიოჰიბიკი (იორიკირი), კისენოსატო-გოეიდო (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (ოშიდაში), კოტოოშუ-არანი (იორიკირი), ტოიონოშიმა-ტაკაიასუ (ოშიტაოში), ტაკეკაძე-კიტატაიკი (ოშიდაში), ტოკიტენკუ-**ტოჩინოვაკა** (იორიკირი), ოკინოუმი-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში). **ძურიო:** კოკაი-საგაცუკასა (კოტენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**6-0:** კოტოშოგიკუ (ოძეკი).

**5-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4), ოკინოუმი (მ 5), ჩიოტაირიუ (მ 10), ტამავაში (მ 15), ტაკარაფუჯი (მ 16)... **3-3: ტოჩინოშინი** (მ 8)... **2-4: გაგამარუ** (მ 2).

**VII დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ტოიოჰიბიკი, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, ბარუტო-გოეიდო, კისენოსატო-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-მიოგირიუ, კოტოოშუ-**გაგამარუ,** კაკურიუ-არანი, ამინიშიკი-ჰომაშო, ტაკაიასუ-ტოჩინოვაკა, ტოჩიოძანი-კიტატაიკი, **ტოჩინოშინი**-დაიდო. **ძურიო:** კოკაი-კიოკუჰუჰო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ვასილი შმაკოვი



90 წელს მიღწეული გარდაიცვალა მძლეოსნობის ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი **ვასილი შმაკოვი.**

ყმაწვილობიდან მძლეოსნობას დაუკავშირა სპორტით გატაცება. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შუბის ტყორცნაში — გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. მძლეოსნობის მწვრთნელის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი. აღზარდა ცნობილ მძლეოსანთა თაობები. ერთნაირი წარმატებით აოსტატებდა შეგირდებს საერთოდ, ტყორცნებში. მისმა აღზრდილებმა ნიკოლოზ ნაზლაიძემ, ვლადიმერ ხმელიძემ, ნოდარ ზვიადაურმა, დალი საბაურმა, ზაზა დოლიძემ, მერაბ ოყროშიძემ, ილია გიგაურმა, ლეონიდ შაგოვმა, ელგუჯა ქორთიევმა და სხვებმა მრავალგზის ისახელეს თავი საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში. ზოგი მერე თავად გახდა წარმატებული მწვრთნელი, ზოგმაც ცხოვრების სარბიელზე გამოიჩინა თავი.

შესანიშნავი პედაგოგის და ღირსეული პიროვნების, ვასილი შმაკოვის დამსახურება ქართული სპორტის წინაშე დავიწყებას არასდროს მიეცემა. მის ღვაწლსა და ამაგს მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს ყველა, ვინც თავის ბედს მძლეოსნობას და ზოგადად ქართულ სპორტს დაუკავშირებს.

*საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია*

***პანაშვიდი:** 13.05*
***გამოსვენება:** 14.05. 15 საათზე*
***მისამართი:** დიღ. მასივი, III კვ. 34-ე კორპ.*

## ● ოლიმპიური ფილატელია





## ● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** საჭადრაკო პარტია მიწერ-მოწერით შედგა 1119 წელს ინგლისის მეფე ჰენრიხ I-სა და საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო VI-ს შორის.

■ ■ ■

**პირველმა** მსოფლიოში 1 მილი 4 წუთზე ნაკლებ დროში (3.59,4) გაირბინა **როჯერ ბანისტერმა** ოქსფორდში გამართულ ბრიტანელ მოყვარულ მძლეოსანთა ჩემპიონატში 1854 წლის 6 მაისს.

■ ■ ■

**პირველად** საერთაშორისო კომპლექსური სპორტული შეჯიბრება ჩატარდა 1981 წელს სანტ-კლარაში (აშშ). ეს იყო „მსოფლიოს თამაშებად" წოდებული ასპარეზობა.

## ● ვიქტორინა

**1. ამერიკის პირველობა სპორტის არც ერთ სახეობაში არასდროს მოუგია 50 წელს მიღწეულ სპორტსმენს. ეს შეძლო დარა ტორესმა. სპორტის რომელ სახეობაში გახდა ეს ქალი ქვეყნის უხუცესი ჩემპიონი?**

ა — ფიგურულ ციგურაობაში
ბ — 50 მეტრზე ცურვაში
გ — წყალხტომაში

**2. მსოფლიოში საჭადრაკო თემაზე პირველი ბალეტი შეიქმნა 1937 წელს არტურ ბლისის ავტორობით. რა ერქვა ამ ბალეტს?**

ა — მეფისთვის განწირულნი
ბ — პაიკყოფილი დედოფალი
გ — ქიში და შამათი

**3. ყველაზე ახალგაზრდა, ვინც 1979 წელს ლა მანში გადაცურა და სენსაცია გამოიწვია, იყო ინგლისელი მარკუს კუპერი. რამდენი წლის იყო მაშინ კუპერი?**

ა — 12 წლის
ბ — 14 წლის
გ — 16 წლის

**4. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომელშიც ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი და უკანასკნელი მატჩი ჩატარდა ოლიმპიური თამაშებისა და სპორტის ამ სახეობის ისტორიაში (1900 წ.)**

ა — ამერიკული ფეხბურთი
ბ — რეკეტსი
გ — კრიკეტი

**5. ერთ ოლიმპიურ თამაშებში ცურვაში ოქროს მედლების რეკორდული რაოდენობა მოიპოვა ამერიკელმა მაიკლ პელპსმა. რამდენჯერ დადგა იგი ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე?**

ა — ექვსჯერ
ბ — რვაჯერ
გ — თერთმეტჯერ

პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — ბ.

## ● ნაკლებად ცნობილი თამაშები

# რეკეტსი

თამაშის ახალი ვარიანტი შეიქმნა ლონდონის ციხეში ფლიტ სტრიტზე, სადაც ვალის ვერგადამხდელები იხდიდნენ სასჯელს.

**რეკეტსი** (ფრ. raquette -ჩოგანი). თამაში მომცრო ბურთითა და ჩოგნით, რომლის მონაწილეებმაც ბურთი კედელს უნდა მოარტყან. თამაშობენ ერთეულები ან წყვილები კორტზე, რომლის სიგრძეა 18,3 მ, სიგანე — 9,1. კორტის სამი კედლის სიმაღლეა 9,1 მ, მეოთხე, მოთამაშეთა ზურგსუკან მდებარე კედლისა — 4,6 მ. ბურთის დიამეტრია 2,54 სმ, წონა — 28,35 გ. მზადდება პლასტიკატისგან. ჩოგნის ტარის სიგრძეა 76,2 სმ, თავის დიამეტრი — 20 სმ. წესები იგივეა, რაც სქვოშ რეკეტსში. ბურთის სისწრაფე და სიმკვრივე რეკეტსს დინამიკურობას მატებს და საკმაოდ საშიშ თამაშად აქცევს. რეკეტსის ისტორია შუა საუკუნეებიდან იწყება. თავდაპირველად მას იტალიასა და საფრანგეთში თამაშობდნენ, XII-XIII საუკუნეებში კი გავრცელდა ინგლისში, სადაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განვითარდა. თავიდან თამაშობდნენ ხელით, როგორც ფაივს (იხ. იტონური ბურთაობები, ლელო, 28.04. 2012), ერთ კედელზე, შემდეგ დაიწყეს ხის ჩოგნების გამოყენება, XVIII საუკუნიდან კი შემოიღეს თამაში სამ კედელზე. პატიმრებმა ციხის შიდა ეზოში, სადაც სეირნობის უფლება ჰქონდათ, რეკეტსის თამაში დაიწყეს. ჩარლზ დიკენსს „პიკვიკის" კლუბის ჩანაწერებში აღწერილი აქვს რეკეტსის თამაში ციხის ეზოში. რეკეტსი განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1820 წლის შემდეგ, როდესაც რონალდ მაკეიმ, ფლიტ სტრიტის ციხის ყოფილმა პატიმარმა, ჩამოაყალიბა თამაშის წესები და პირველი ტურნირიც მოაწყო.




1822 წელს რეკეტსის თამაში დაიწყეს ჰაროუ კოლეჯის სტუდენტებმა. 1862 წელს ინგლისში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ერთეულთა შორის. XIX საუკუნის ბოლოს ეს თამაში გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინდოეთსა და არგენტინაში. რეკეტსი შეტანილი იყო 1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. გაიმარჯვეს ინგლისელებმა. 1952 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველწლიურად იმართება. აშშ-სა და ინგლისში ტარდება ამ ქვეყნების ღია ჩემპიონატები.

## ● თარიღი 12 - 18 მაისი

**12. 1982 წ.** ჩამოყალიბდა აშშ-ის საფეხბურთო ლიგა.

**12. 1985 წ.** ინგლისის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის გუნდების „ბრედფორდისა" და „ლინკოლნის" მატჩის დროს ბრედფორდში სტადიონზე გაჩნდა ხანძარი, რომელმაც 52 ადამიანი იმსხვერპლა.

**13. 1914 წ.** დაიბადა **ჯო ლუისი** — პროფესიული კრივი (აშშ).

**14. 1836 წ.** დაიბადა **ვილჰელმ სტეინეცი** — ჭადრაკი (გერმანია). გარდაიცვალა 1900 წელს.

**14. 1892 წ.** ქ. არნემში (ჰოლანდია) დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ვიტესი".

**14. 1942 წ.** დაიბადა **ვალერი ბრუმელი** — მძლეოსნობა (სიმაღლეზე ხტომა). გარდაიცვალა 2003 წელს.

**15. 1910 წ.** იტალიის ნაკრებმა ჩაატარა პირველი საერთაშორისო მატჩი საფრანგეთის ნაკრებთან და გაიმარჯვა — 6:2.

**15. 2004 წ.** ფიფას გადაწყვეტილებით ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის (2010) ჩატარების უფლება პირველად მიეცა აფრიკულ ქვეყანას.

**16. 1925 წ.** დაიბადა **ნილტონ სანტოსი** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**17. 1928 წ.** ამსტერდამში (ნიდერლანდები) გაიხსნა ზაფხულის IX ოლიმპიური თამაშები.

**17. 1929 წ.** დაიბადა **ბრანკო ზებეცი** — ფეხბურთი (იუგოსლავია).

**18. 1938 წ.** გარდაიცვალა ძიუდოს ფუძემდებელი **ძიგარო კანო** (78 წლის).

**18. 1960 წ.** 128 ათასი მაყურებლის თვალწინ გლაზგოში ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალმა" 7:3 დაამარცხა გერმანიის „აინტრახტი".

**18. 1949 წ.** დაიბადა **ზე მარია** — ფეხბურთი (ბრაზილია).

***შენიშვნა:*** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით • „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

## ● კვიამატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერი



# თორნიკემ რეგულარული 7-ით დაასრულა, შარლერუამ – 5-ით

**თორნიკე შენგელიას** „შარლერუამ“ ბელგიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი მინორულ ნოტაზე დაასრულა - შინ „ოოსტენდესთან“ 63:68 დამარცხდა. შარლერუელებმა პირველი ნახევარი დამაჯერებლად ჩაატარეს, ხელიდან არც ინიციატივა გაუშვიათ და ანგარიშიც მიჰყავდათ. მეორე ტაიმიდან კი „ოოსტენდეს“ კალათბურთელებმა თამაში შემოატრიალეს და საფინალო სირენას ხუთქულიანი უპირატესობით შეხვდნენ.

ქართველმა თავდამსხმელმა 15 წუთი ითამაშა, 7 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. მის ანგარიშზე 2-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმოა. შარლერუელთაგან 15 ქულით **ბროილსი** გამოირჩა. „ოოსტენდეს“ შემადგენლობაში კი ითამაშა ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ბელგიის ნაკრების უკანახაზელმა **დიმიტრი ლაუერსმა**, რომელიც მიმდინარე სეზონში იტალიურ „აველინოში“ გამოდიოდა. მან გამარჯვებაში 6-ქულიანი წვლილი შეიტანა.

„შარლერუამ“ და „ოოსტენდემ“ პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს და დამატებითი ეტაპის გავლა აღარ მოუწევთ. ბელგიის პირველობაზე რეგულარულის შემდეგ იმართება დამატებითი საკვალიფიკაციო, რომელშიც მესამე-მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები თამაშობენ. მათ შორის საუკეთესო დუეტი ნახევარფინალში „შარლერუასა“ და „ოოსტენდეს“ „დაეჭიდება“.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ ნიკა მეტრეველთან

# სანიკიძე სერია A-ში მართლაც გამორჩეულია

**დოსიე**

**ნიკა მეტრეველი**

დინამო სასარი (დინამო)

დაიბადა: 14.01.1991

სიმაღლე: 212 სმ.

წონა: 105 კგ.

ამპლუა: ფორვარდ/ცენტრი

**კარიერა**

2004-05 სოხუმი (საქართველო)
2006-07 რიმინი (იტალია)
2007-09 მონტეპასკი (იტალია)
2009-10 ფერენტინო (იტალია)
*18 მატჩი: 6.7 ქულა, 4.2 მოხსნა*

2010-11 რიმინი (იტალია)
*28 მატჩი: 2.1 ქულა, 1.9 მოხსნა*

2011-12 დინამო (იტალია)
*24 მატჩი: 4.2 ქულა, 1.9 მოხსნა*



NBA-ს წლევანდელი დრაფტი 28 ივნისს გაიმართება. მასში მონაწილეობაზე განაცხადი ორმა ქართველმა კალათბურთელმა თორნიკე შენგელიამ და ნიკა მეტრეველმა გააკეთა. იტალიაში დავუკავშირდით „დინამო სასარის“ მეფარე მეტრეველს, რომელსაც დრაფტზეც ველაპარაკეთ და სერია A-ს ამბებზეც.

- დრაფტზე დანაცხადის შეტანა ჩემმა აგენტმა ლუჩიანო კაპიკიონიმ გადაწყვიტა. ღონისძიება 28 ივნისს გაიმართება, მანამდე დიდი დროა და შევხედავთ... წლეულს განაცხადის უკან გამოტანის უფლება გვაქვს და შესაძლოა ამით ვისარგებლოთ კიდეც.

**- დრაფტის კანდიდატობაზე უსაფუძვლოდ არავინ წარგადგენდა, რას ამბობს აგენტი, რომელიმე კლუბი ხომ არ გამოხატავს დაინტერესებას?**

- ამის შესახებ არაფერი ვიცი. განაცხადის შეტანის მთავარი მიზანი ყურადღების მიპყრობა იყო.

**- იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის ბოლო ტურში შენი მონაგარი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა...**

- 15 წუთში 14 ქულა და 7 მოხსნა მოვაგროვე. კარგი შედეგი იყო, თუმცა ოქმში 16 ქულა უნდა დაფიქსირებულიყო. ნამდვილად მახსოვს, რომ 16 ჩავაგდე, ტაბლოზე ჩემს გასწვრივ ასეც ეწერა, მაგრამ ბოლოს 2 ქულა დამაკლეს. ამის გამო ნამდვილად არ ვნერვიულობ. მსგავსი შემთხვევა არაერთია. მახსოვს, ვიქტორ სანიკიძეს ორმაგი დუბლი მოპარეს - ერთი მოხსნა დააკლეს და 9 დაუწერეს.

**- „კასერტასთან“ მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდათ, მწვრთნელმა მოედანზე როდის შეგიყვანა?**

- თამაშში პირველი მეოთხედის ბოლოს ჩავერთე. ქულებსაც ვაგროვებდი და დაცვაშიც სათანადოდ ვირჯებოდი, თუმცა ოთხი ჯარიმა მომიგროვდა და ამის გამო სათამაშო დრო შემეზღუდა.

**- სხვათა შორის, სანიკიძე და მარკოიშვილი იტალიაში ახალი ჩასულები რომ იყვნენ, მათაც ხშირად აჯარიმებდნენ...**

- ასეა, მსაჯები რასაც გამოცდილ კალათბურთელს ჰპატიობენ, ახალბედას არ აპატიებენ. ფოლებს აქამდეც არაერთ მატჩში შეუშლია ხელი...

**- „კასერტასთან“ მოგების შემდეგ რეგულარული მეოთხე ადგილზე დაასრულეთ და მეოთხედფინალში მეხუთეადგილოსან „ვირტუსთან“ მოედნის უპირატესობა დაიბევეთ.**

- მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი სამ გუნდს ჰქონდა. საბოლოოდ „სკავოლინიმ“ „მონფერატოსთან“ წააგო, ხოლო „ვირტუსს“ „კანტუსთან“ გამარჯვება მეოთხე ადგილის დასაკავებლად არ ეყო. ვიქტორ სანიკიძის გუნდთან საინტერესო მეოთხედფინალური სერია გველის. „ვირტუსმა“ ბოლო დროს თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა, თუმცა იგივეს თქმა შეიძლება ჩვენს „დინამოზე“. 17 მაისიდან ერთმანეთს ორი „საშინაო“ გუნდი დაუპირისპირდება. შინ ყველაზე ნაკლები წაგება „ვირტუსს“ აქვს, ჩვენ სარდინიაზე მხოლოდ 2-ჯერ დავმარცხდით. თუ მეხუთე მატჩი დაინიშნა, მასპინძელი „დინამო“ იქნება, რაც დიდი უპირატესობაა.

**- მეოთხედფინალში გასვლასთან ერთად, ალბათ, კლუბის უფროსობის მოთხოვნები გაიზრდებოდა.**

- საბედნიეროდ ასე არაა. ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნილი გვაქვს. თავისუფლად ვთამაშობთ და სწორედ ეს განაპირობებს შედეგს. კლუბის პრეზიდენტი სულ ჩვენს გვერდითაა, მისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ.

**- წინასწარ თუ იფიქრებდით, რომ რეგულარულს ოთხეულში დაასრულებდით?**

- ჩვენი მწვრთნელი, რომეო საკეტი თავმდაბალი კაცია - პლეი ოფზე რომ ეკითხებოდნენ, ამბობდა: მთავარია ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთო. თუმცა გუნდში იმდენად კარგი ატმოსფეროა, საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი, სწორი ტაქტიკით ვთამაშობთ, რომ მეოთხედფინალში გასვლა ლოგიკური იყო.

**- რა გამოარჩევს „დინამოს“ სხვა იტალიური გუნდებისგან?**

- განსხვავებული სტილით ვთამაშობთ, ძალიან ბევრს დავრბივართ. თავიდან ყველა ამბობდა, საკეტის გუნდი დაცვაში ვერ ითამაშებსო, მაგრამ მწვრთნელი შეტევასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს დაცვას. ევროლიგის წარმომადგენლებსაც მოვუგეთ, რაც კარგი დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

**- რომელ პოზიციაზე გათამაშებს?**

ს

**- გაზეთ „ბასკეტინსაიდმა“ სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დინამოელი დრეიკ დიენერი დაასახელა, ხოლო საუკეთესო ევროპელად - ვიქტორ სანიკიძე...**

- ჩემი თანაგუნდელი დრეიკი, ძმა ტრევისთან ერთად, წლევანდელ სეზონში მართლაც გამორჩეულია. სანიკიძე კი „ვირტუსის“ ლიდერია და აღიარებას ნამდვილად იმსახურებს.

**- შენს თანაგუნდელ ქუინტონ ჰოსლის საქართველოს მოქალაქეობა აქვს. ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის სურვილს ხომ არ გამოხატავს?**

- ქუინტონთან საქართველოს შესახებ არაერთხელ მისაუბრია, თუმცა არა მგონია, იგი გამოიძახონ - ჰოსლი მსუბუქ ფორვარდად თამაშობს. სხვათა შორის, ისიც კარგ სეზონს ატარებს, თუმცა ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს: შედეგიანი მაშინაა, როცა 30-35 წუთს თამაშობს.

**- „დინამოში“ სიენას „მონტეპასკიდან“ ხარ განათხოვრებული...**

- კონტრაქტი სიენელებთან მაკავშირებს და ზაფხულში „მონტეპასკი“ რას გადაწყვეტს, ჯერ არ ვიცი.

**- ბოლოს კუნძულ სარდინიაზე გკითხავ.**

- იტალიის ალმოსავლეთ სანაპიროსთან, რიმინიში ვცხოვრობდი. ადრიატიკის ზღვასთან შედარებით იტალიის დასავლეთი სანაპირო გაცილებით ლამაზია. ზღვა მომწვანო-მოლურჯოა. ზაფხულობით დამსვენებელიც ბევრია.

**- სასარი როგორი ქალაქია?**

- პატარა დასახლებაა დიდი საკალათბურთო დარბაზით. აქ სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვართ და მატჩებისას არენა ბოლომდე ივსება.

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი

# ქუთაისში გადაწყდება...

| ფინალი | |
|---|---|
| რუსთავი-ქუთაისი | 80:52 |

17:11, 20:17, 19:15, 24:9

რუსთავი: დვალი (6ქ), აფციაური (2ქ), ქიტოშვილი (10ქ, 8პ, 5მ, 4ჩ), ოქროჭელიძე (15ქ, 17მ, 6პ, 5ჩ), ლორთქიფანიძე (20ქ, 3პ), ჯაჯანიძე (6ქ), ნარჩომაშვილი (6ქ, 9მ, 4პ), ურიდია (15ქ, 15მ), ლვედაშვილი, მეტრეველი, ჯოხაძე.

ქუთაისი: ჩორგოლაშვილი, გრძელიძე (18ქ, 6მ), ლილუაშვილი (8ქ, 5მ, 3პ), გოგოძე (4ქ, 3პ), ქარციძე, ფხაკაძე (2ქ, 5მ, 3პ), ცირეკიძე (5ქ), ჯიშკარიანი (2ქ), ძირკაია (4ქ), გამრეკლიძე (9ქ, 5მ), იაშვილი, კუხიანიძე.

სერიაში ანგარიშია - 1:1

| III ადგილი | |
|---|---|
| ჰიუნდაი-შსს აკადემია | 51:74 |

| V ადგილი | |
|---|---|
| აკადემია-სოხუმი | 72:67 |

| VII ადგილი | |
|---|---|
| აკადემია 2-მარნეული | 74:57 |

| IX ადგილი | |
|---|---|
| ბათუმი-თელავი | 62:51 |

| XI ადგილი | |
|---|---|
| ავერსი-კარდინალი | 66:79 |

| XIII ადგილი | |
|---|---|
| სამედიცინო-ნაკრები 97 | 54:78 |

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი მატჩი დარჩა, რომელსაც ქუთაისი უმასპინძლებს. ფინალური სერია (2 მოგებამდეა) საშინაო მოგებით „ქუთაისმა“ გახსნა, გუშინ კი წონასწორობა „რუსთავმა“ აღადგინა - 80:52.

მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩატარებული სამი პერიოდის შემდეგ, რუსთაველებმა გადამწყვეტი უპირატესობა მეოთხე რაუნდში მოიპოვეს, რომელიც 24:9 მოიგეს. მატჩში ორი „დაბლ-დაბლი“ დაფიქსირდა, ორივე რუსთაველთა შესრულებით: **ოქროჭელიძემ** 15 ქულა და 17 მოხსნა მოაგროვა, ხოლო **ურიდიამ** - 15-15 ქულა-მოხსნა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ბოლო ტური, ბოლო რეპეტიციები


ბურთით ვასილ კაკოვინი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის ჯერიც დადგა. დივიზიონის ხელმოცარულთა და პლეი ოფში მოხვედრილთა ვინაობა უკვე გარკვეულია. დასადგენი ისაღაა, ნახევარფინალში გასასვლელ შეხვედრებში გუნდები როგორ დანაწილდებიან.**

ჩემპიონობისთვის ბრძოლას ექვსი გუნდი განაგრძობს, აქედან ხუთი ქართველ მორაგბეთა კლუბია: „ტულუზი", „კლერმონი", „ტულონი", „მონპელიე" და „კასტრი". სამწუხაროდ, დივიზიონიდან გავარდნილი ორი გუნდიდან ორივე ჩვენებურთა გუნდებია. „ლიონი" და „ბრივი".

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი და შარშანდელი ჩემპიონი **აქვსენტი გიორგაძისა და ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი" ბოლო ტურში შინ მიიღებს შარშანდელ ფინალისტს — **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „მონპელიეს".

ტულუზელებისთვის ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით არანაირი დატვირთვა არ აქვს. თუმცა რეგულარული გათამაშების დასრულება პირველი ადგილით, მაინც პრესტიჟის საქმეა. თანაც ტრადიციის მიხედვით, რეგულარულის გამარჯვებული, როგორც წესი, მერე პლეი ოფშიც გამარჯვებული გამოდიოდა. ამასთან ერთად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მატჩზე დასასწრები 30 ათასი ბილეთი ერთი დღით ადრე სრულად გაიყიდა. მაშასადამე ამ შეხვედრისადმი ინტერესი დიდია.

„ტულუზმა" ბოლო ცხრა შეხვედრაში ექვსი თამაში წააგო, რაც გუნდში დაწყებულ კრიზისზე მიუთითებს. ეს რომ ასე არ არის, **გი ნოვეს** ბიჭებმა ამბიციურ „მონპელიესთან" მატჩში უნდა დაამტკიცონ. სამწუხაროდ, ვარჯიშისას ძველმა ტრავმამ ისევ შეახსენა თავი საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭ **ჯაბა ბრეგვაძეს**. ექიმების ვერდიქტით მისთვის წლევანდელი სეზონი დასრულებულია. ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ **აქვსენტი გიორგაძე და ვილიამ სერვაც**, რომლებიც იმავე პოზიციაზე ირჯებიან, რომელზეც ბრეგვაძე.

„მონპელიეს" ამ თამაშში აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. ჩვენებურთა ეს გუნდი ამჟამად 66 ქულით მეოთხე ადგილზეა და გამარჯვების შემთხვევაში მინიმუმ ამავე ადგილს შეინარჩუნებს, რაც საშუალებას მისცემს მეხუთეადგილოსანს, ნეხევარფინალის შესარჩევ მატჩში, შინ დაუპირისპირდეს.

გორგოძე და ჟღენტი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ, ნარიაშვილი და შველიძე განაცხადში არ არიან. „მონპელიეს" ტრავმის გამო დააკლდება კაპიტანი ფულენსე ჟოდრაოგო.

პირველ წრეში „ტულუზმა" სტუმრად 45:25 მოიგო. planetrugby-ს მიაჩნია, რომ ამჯერადაც ტულუზელები მოიგებენ, ოღონდ მინიმუმ შვიდი ქულის სხვაობით.

82 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელსაც ნახევარფინალში თამაში განაღდებული აქვს. „ვულკანები" ბოლო ტურში შინ ხვდებიან ბოლოსწინა ადგილზე მყოფ **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივს".

კლერმონელთათვის ამ თამაშს არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს და, სავარაუდოდ, გუნდის ახალზელანდიელი მწვრთნელი **ვერნ კოტერი,** მას მომავალი ბატალიებისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს.

ბრიველები კი, ელიტიდან გავარდნას რომ გადარჩნენ, სასწაული უნდა მოხდეს. მათ კლერმონში აუცილებლად პრემიალური ქულით უნდა მოიგონ. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კლერმონს" შინ ორი წელია არ წაუგია და წლეულს „ბრივი" საშუალოდ თამაშში ერთ ლელოს იტანდა, ეს მისია შეუსრულებელია.

პირველ წრეში „კლერმონმა" სტუმრად 9:6 მოიგო. planetrugby-ს მიაჩნია, რომ „ვულკანები" შინ მინიმუმ 12 ქულით მოიგებენ.

„კლერმონს" 13 ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელიც ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება დივიზიონიდან გავარდნილ **გურამ კავთიძისა და ტარიელ რატიანიძის** „ლიონს".

მასპინძლები აბსოლუტურად უმოტივაციონი არიან და უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადებიან. საამისოდ, „ლიონის" ხელმძღვანელობამ უკვე გააფორმა კონტრაქტები საფრანგეთის ნაკრების ყოფილ წევრებთან, **სებასტიან შაბალთან** და **ლიონელ ნალესთან.**

„ტულონს" კი აუცილებლად გამარჯვება სჭირდება, რათა მესამე ადგილი შეინარჩუნოს, რაც საშუალებას მისცემს, მეექვსეადგილოსანს, ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში, შინ დაუპირისპირდეს.

პირველ წრეში „ტულონმა" შინ მოიგო - 20:15. planetrugby-ს პროგნოზით, „ტულონი" ათი ქულის სხვაობით გაიმარჯვებს.

პლეი ოფის კიდევ ერთი მონაწილე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" შინ მიიღებს ბასკურ „ბაიონს". კასტრელებს გამარჯვების შემთხვევაში, თუ „მონპელიე" ტულუზში წაიფორხილებს, შანსი აქვს ოთხეულში დამკვიდრდეს, რაც ნეხევარფინალის შესარჩევ მატჩში მასპინძლობის უპირატესობას აძლევს.

„ბაიონს" კი, საიმისოდ, რომ თავი მშვიდად იგრძნოს, ერთი პრემიალური ქულის აღება უნდა. თუმცა, სავარაუდოდ, შესაძლოა, ესეც არ გახდეს საჭირო.

პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა ბაიონში ფრედ 16:16 დასრულდა. planetrugby ფიქრობს, რომ ამჯერად „კასტრი" მინიმუმ ათი ქულით მოიგებს.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელიც 48 ქულით მე-10 ადგილზეა, აბსოლუტურად უმოტივაციოა. აჟენელები ბოლო ტურში პლეი ოფის მეექვსე მონაწილეს, პარიზულ „მეტრო რასინგს" უმასპინძლებენ, რომელსაც მოგება საიმისოდ სჭირდება, რომ ოთხეულში შეაღწიოს.

პირველ წრეში პარიზელებმა შინ 26:8 მოიგეს. planetrugby-ს პროგნოზით, ამჯერადაც „მეტრო რასინგი" მოიგებს მინიმუმ 12 ქულით.

### I დივიზიონი

### XXVI ტური

**კასტრი-ბაიონი, კლერმონი-ბრივი, ტულუზი-მონპელიე, ბიარიცი-სტად ფრანსე, ბორდო-პერპინიანი, აჟენი-მეტრო რასინგი, ლიონი-ტულონი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულუზი - 83 ქულა, 2. კლერმონი - 82, 3. ტულონი - 69, 4. მონპელიე - 66, 5. კასტრი - 65, 6. მეტრო რასინგი - 63, 7. სტად ფრანსე - 58, 8. პერპინიანი 0 49, 9. ბორდო - 49, 10. აჟენი - 48, 11. ბიარიცი - 48, 12. ბაიონი - 47, 13. ბრივი - 42, 14. ლიონი - 31.**


ზემოდან ანტონ ფეიქრიშვილი

ზე რაგბი


ვორათაზი - ბლუ ბულზი

# ხარები ძალებს იკრებენ

**ზე რაგბის გათამაშების მე-12 ტური C ჯგუფის ლიდერის, პრეტორიის „ბლუ ბულზისა" და A ჯგუფის მეორეადგილოსნის, სიდნეის „ვორათაზის" დაპირისპირებით გაიხსნა. „ლურჯი ხარები", მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერ გუნდთან სტუმრად ასპარეზობდნენ, შესანიშნავად გაისარჯნენ და 27:24 მოიგეს.**

სიდნეელებმა, როგორც მასპინძლებს ხშირად სჩვევიათ, თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და პირველი ტაიმი მათი უპირატესობით წარიმართა. თუმცა შესვენებაზე „ვორათაზი" მხოლოდ სამქულიანი უპირატესობით წავიდა - 13:10.

მეორე ნახევარში პრეტორიელებმა თამაში გაათანაბრეს, თუმცა 77-ე წუთამდე 24:21 აგებდნენ. მათი მორიგი იერიში მასპინძელთა ლელოს მისადგომებთან მორკინალთა რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ შერკინების ბურჯმა, **ვერნერ კრუხერმა** დაასრულა. სტუმრებმა საბოლოოდ სამი ლელოს გატანა და მატჩის 27:24 მოგება მოახერხეს. „ბლუ ბულზის" მგეზავმა **მორნი სტეინმა** სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო მიითვალა (12 ქულა).

A ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერი „მელბურნ რებლზი" დღეს B ჯგუფის მეორეადგილოსანსა და გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" დაუპირისპირდება. მართალია, მელბურნელები წლეულს შარშანდელზე უკეთ ასპარეზობენ, მაგრამ არა იმდენად, რომ მრისხანე „ჯვაროსნებს" პრობლემა შეუქმნან.

ავსტრალიური გუნდი სეზონის დაწყების წინ **ჯეიმზ ოკონორითა** და დაცვის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელით, **ჯონ მაგლტონით** გაძლიერდა, რომელიც მანამდე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო. მიუხედავად ამისა, „მელბურნ რებლზი" ჯერაც ვერ ახერხებს ლიდერთა მარაქაში გარევას.

„კრუსეიდერზმა", რომელიც ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, წლევანდელი სეზონი ცუდად დაიწყო, თუმცა მერე ნელ-ნელა მდგომარეობა გამოასწორა. გუნდს დაუბრუნდნენ ტრავმირებული ლიდერები **დენ კარტერი** და **რიჩი მაქოა**. ამის შემდეგ ქრაისთჩერჩელები თამაშს თამაშზე იგებენ.

ზე რაგბის შარშანდელი გამარჯვებული ბრისბენის „რედსი", რომელიც ახლა 26 ქულით მესამე ადგილზეა, შინ ეთამაშება B ჯგუფის ლიდერს, ჰემილტონის „ჩიფსს". ახალზელანდიური გუნდი წლეულს ყველაზე უკეთ ასპარეზობს. ჰემილთონელებმა აქამდე ათი შეხვედრა გამართეს და მხოლოდ ერთი წააგეს. სავარაუდოდ, „ჩიფსი" განბილებული შინ არც ბრისბენიდან უნდა დაბრუნდეს.

### A ჯგუფი

**ვორათაზი-ბლუ ბულზი 24:27, მელბურნ რებლზი-კრუსეიდერზი, რედსი-ჩიფსი**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბრამბიზი - 35 ქულა, 2. ვორათაზი - 27, 3. რედსი - 26, 4. მელბურნ რებზლი - 20, 5. ფორსი - 18.**

B ჯგუფის აუტსაიდერმა ოქლენდის „ბლუზმა" შინ C ჯგუფის აუტსაიდერს იოჰანესბურგის „ლაიონზს" უმასპინძლა და საკმაოდ იოლად 25:3 დაამარცხა. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რაზეც მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს.

B ჯგუფში დღეს კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება. დანიდინის „ჰაილენდერზი", რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა, შინ ეთამაშება ველინგთონის „ჰარიკენზს". „მთიელებს", რომლებიც 34 ქულით მესამე ადგილზე არიან, აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროებათ.

უიმედოდ არც ველინგთონელები არიან. მართალია, მათ მხოლოდ 30 ქულა აქვთ, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში, პლეი ოფში გასვლის შანსი უჩნდებათ. აქედან გამომდინარე, მატჩი უდავოდ დაძაბული და უშელავათო გამოვა.

### B ჯგუფი

**ბლუზი-ლაიონზი 25:3, ჰაილენდერზი-ჰარიკენზი**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჩიფისი - 44 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 37, 3. ჰაილენდერზი - 34, 4. ჰარიკენზი - 30, 5. ბლუზი - 16.**

C ჯგუფში ერთი შეხვედრაა, კეიპთაუნის „სტორმერზი" ერთ-ერთ აუტსაიდერს, ბლუმფონტეინის „ჩიტაზსს" მასპინძლობს. კეიპთაუნელებს აქამდე გამართულ ცხრა მატჩში მხოლოდ ერთი წაგება აქვთ და, სავარაუდოდ, არც ბლუმფონტეინელთა ძლევა უნდა გაუჭირდეთ.

სტორმერზელები პრემიალურით გამარჯვების შემთხვევაში ლიდერ „ბლუ ბულზს" დაეწევიან.

### C ჯგუფი

**სტორმერზი-ჩიტაზი**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბლუ ბულზი - 42 ქულა, 2. სტორმერზი - 37, 3. ნატალ შარქსი - 31, 4. ჩიტაზი - 26, 5. ლაიონზი - 10.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ხარები პლეი ოფიდან გარეკეს



აშიქი ტერნერის წინაალმდეგ

პირველი ეტაპის მთავარი მოულოდნელობა მაინც შედგა. ისტორიაში მხოლოდ მეხუთედ მოხდა, როცა რეგულარულის შედეგების მიხედვით მერვე გუნდმა ბრძოლას გამოთიშა კონფერენციის ჩემპიონი. საინტერესოა, რომ ასეთი რამ NBA-ში ზედიზედ მეორე წელია ხდება.

მაგრამ **დერეკ როუზის** გარეშე დარჩენილი "ჩიკაგოს" სათამაშო ხარისხს თუ გავითვალისწინებთ, მომხდარს ხმაურიან სენსაციას მაინც ვერ დავარქმევთ. მით უმეტეს, რომ ბოლო მატჩებში "ბულზს" ძირითადი ცენტრი **ჟოაკიმ ნოაც** გამოაკლდა.

მიუხედავად ამისა, მეექვსე მატჩში "ბულზმა" ბოლომდე იბრძოლა და მოგების კარგი შანსიც ჰქონდა. საჭირო იყო მხოლოდ ერთი-ორი სულელური შეცდომა აეცილებინა თავიდან, მაგრამ **დენგმა** და კომპანიამ ვერ შეძლო ნერვული დაძაბულობის გამკლავება.

ერთ-ერთი შეცდომა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სტუმრებმა სირენამდე 40 წამით ადრე უპრობლემოდ მიალებინეს ფარქვეშ ბურთი **ჰეიესს**, რომელმაც მასპინძლების ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. თუმცა მალე "ჩიკაგოს" თურქმა გიგანტმა **აშიქმა** შეცდომა გამოასწორა, როცა **უოტსონის** შესანიშნავი პასის შემდეგ ბურთი ეფექტურად ჩატენა კალათში. მაგრამ თურქმა მალე დაალალატა თავისი გუნდი - ერთქულიანი უპირატესობისას ორივე საჯარიმო ააცილა. ამის შემდეგ მოხდა გაუგებარი რამ - "ჩიკაგოს" მეტოქის სწრაფი შეტევა გამოეპარა. მეტოქის სამწამიანში შეჭრილი **იგუოდალას** გაჩერება მხოლოდ წესების დარღვევით იყო შესაძლებელი და აშიქისგან განსხვავებით, ფორვარდმა ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

საინტერესოა, რომ დარჩენილ ორ წამში "ჩიკაგომ" კინალამ გადაარჩინა მატჩი, რადგან უოტსონის საკუთარი ნახევრიდან ნასროლ ბურთს სულ მცირედი დააკლდა მიზნამდე. საერთო ჯამში კი **კოლინზის** შეგირდებმა სამართლიანად გაიმარჯვეს. საინტერესოა, რომ "სიქსერზის" მწვრთნელმა 1989 წლის შემდეგ პირველად მოიგო პლეი ოფის სერია. მაშინ მის განკარგულებაში **ჯორდანი** და **პიპენი** იყვნენ.

**ფილადელფია–ჩიკაგო 79:78**

**24:22, 24:18, 15:23, 16:15**

**ფ:** იგუოდალა (20+7 პასი), უილიამსი (14+3 პასი+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (14+4 პასი), ტერნერი (10+5 მოხსნა), იანგი (8+6 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), ჰეიესი (8+10 მოხსნა), ბრენდი (5+2 დაფარება).

**ჩ:** დენგი (19+17 მოხსნა+3 პასი+2 დაფარება), ჰემილტონი (19+8 მოხსნა), გიბსონი (14+5 მოხსნა+2 დაფარება), აშიქი (10+9 მოხსნა+2 დაფარება), ლუკასი (7), უოტსონი (6+10 პასი), ბუზერი (3+13 მოხსნა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (39.7/37.5), სამქულიანები (37.5/15.4), საჯარიმოები (75/76.2).

**სერია:** 4-2

■ ■ ■

კიდევ ერთი მეოთხედფინალისტი ბოსტონში გაირკვა. "სელტიქსმა" ზედიზედ მეორე მატჩში მიიყვანა საქმე დაძაბულ ფინალამდე, რაც თავისუფლად შეეძლო აეცილებინა თავიდან. მაგალითად, მეორე მეოთხედში **რონდოს** სამი პასისა და ორი ზუსტი სროლის წყალობით "კელტებმა" 16:0 სპურტი მოაწყვეს და უპირატესობა ორნიშნამდე აიყვანეს. მეოთხე მეოთხედის შუა ნაწილისთვის კი მასპინძლები 9 ქულას იგებდნენ.

მიუხედავად ამისა, "ბოსტონმა" დამაჯერებელ გამარჯვებამდე საქმე ვერ მიიყვანა და 2:12 სპურტი გამოეპარა. ამ მონაკვეთში აქტიურობდა მეტოქის წინა ხაზი: **ჰორფორდმა** ექვსი ქულა დააგროვა, **სმიტმა** - ოთხი. ვერც **გარნეტმა** და ვერც **ჰოლინზმა** ამ დუეტს ხელი ვერ შეუშალეს. სამაგიეროდ, გარნეტი შეტევაში იყო გამორჩეული. სწორედ მისი ტყორცნა შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვების მომტანად. სირენამდე ნახევარი წუთით ადრე "ბოსტონის" შეტევა თითქოს ჩიხში მოექცა, გარნეტიც იძულებული გახდა მოუმზადებელი ტყორცნა შეესრულებინა და მიუხედავად ამისა, ვეტერანი ზუსტი იყო. საპასუხოდ კი სმიტმა მსგავს სიტუაციაში ბურთი მიზანს ააცილა.

ამის შემდეგ საჯარიმოებში შეჯიბრება დაიწყო. მოულოდნელად ააცილა თავისუფალი ტყორცნები **რეი ალენმა**, ხოლო ჰორფორდმა ელემენტალური შეცდომა დაუშვა. ფინიშამდე ორი წამით ადრე, როცა "ბოსტონი" ორ ქულას იგებდა, "ატლანტას" ცენტრმა პირველი სროლა ააცილა. წესით, მეორე შეგნებულად უნდა აეცილებინა, რათა თავისი გუნდისთვის გადარჩენის თეორიული შანსი დაეტოვებინა, მაგრამ ელმა ზუსტად გაუშვა ბურთი კალათის მიმართულებით.

სხვათა შორის, ამ მატჩში შეწყდა "სელტიქსის" გამთამაშებლის რაჟონ რონდოს ბრწყინვალე სერია, როცა ის ერთ შეხვედრაში მინიმუმ 10 შედეგიან პასს აკეთებდა. მცველს ზედიზედ 28 ასეთი მატჩი დაუგროვდა, ამჯერად კი მისი მონაგარი 8 გადაცემა იყო, თუმცა ეს დიდად არ გაანწბილებდა რონდოსა და მის პარტნიორებს, რომლებიც პლეი ოფის მეოთხედფინალში გავიდნენ და იქ "ფილადელფიას" შეხვდებიან.

**ბოსტონი–ატლანტა 83:80**

**20:23, 27:18, 20:22, 16:17**

**ბ:** გარნეტი (28+14 მოხსნა+5 დაფარება+3 ჩაჭრა), პირსი (18+7 პასი+5 მოხსნა), რონდო (14+8 პასი), ალენი (7+5 მოხსნა), ბასი (6+6 მოხსნა+2 დაფარება), ბრედლი (6), პიეტრუსი (2), ჰოლინზი (2).

**ა:** სმიტი (18+9 მოხსნა+4 პასი), ჯონსონი (17), უილიამსი (16+8 მოხსნა+3 პასი), ჰორფორდი (15+9 მოხსნა+4 პასი), ტიგი (5+6 პასი), ჰაინრიხი (5), მაკგრეიდი (4).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (41.9/41), სამქულიანები (20/46.7), საჯარიმოები (79.2/90).

**სერია:** 4-2

■ ■ ■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსს" მეშვიდე მატჩის თამაში მოუწევს "დენვერის" დასამარცხებლად. კალიფორნიელებს მეექვსე შეხვედრაში არანაირი შანსი არ ჰქონიათ. მასპინძლებმა თამაში 13:0 გაქცევით დაიწყეს და ამან განსაზღვრა კიდეც მთელი შეხვედრის მსვლელობა. "ლეიკერსი" ერთხელაც ვერ ვიხილეთ ლიდერის რანგში, რამაც გუნდი ძალიან გაანერვიულა. შედეგად, სტუმრები აშკარა უხეშობაზე გადავიდნენ და ეს კინაღამ სავალალოდ დასრულდა "ნაგეტსის" დებიუტანტ **ფარიდისთვის**. **ბარნსმა** და **ბრაიანტმა** ერთობლივი ძალისხმევით დაანარცხეს მოედანზე მეტოქის ფორვარდი. ის გარკვეული ხანი თვალდახუჭული იწვა პარკეტზე, ხოლო, როცა თვალი გაახილა, მთლად აზრიანი გამომეტყველება არ ჰქონდა. საბოლოოდ, მისთვის ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, "ლეიკერსმა" კი ტექნიკური ჯარიმა მიიღო. იმ მომენტისთვის მასპინძლების უპირატესობა 20 ქულას მიუახლოვდა.

"ლეიკერსის" რიგებში მხოლოდ ბრაიანტის გამოყოფა შეიძლება, რომელიც არც ისე კარგ ფიზიკურ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც ჩააგდო 23-დან 13 სროლა და 31 ქულა დააგროვა. მაგრამ პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი, მაგალითად, **პაუ გასოლმა**, რომელმაც 10-დან მხოლოდ ერთი ტყორცნა მოათავსა კალათში და სამი ქულა დააგროვა.

**დენვერი–ლეიკერსი 113:96**

**30:20, 24:25, 36:23, 23:28**

**დ:** ლოუსონი (32+6 პასი+5 მოხსნა), ბრიუერი (18), ფარიდი (15+11 მოხსნა+2 დაფარება), გალინარი (12+7 პასი), მილერი (12), მოზგოვი (8), აფლალო (6+7 პასი+5 მოხსნა), ჰარინგტონი (4), მაკგი (2+5 მოხსნა), სტოუნი (2), ჰემილტონი (2).

**ლ:** ბრაიანტი (31+4 პასი), სეშენსი (14+3 პასი), ბინუმი (11+16 მოხსნა+4 დაფარება+3 პასი), იბენქსი (10), ჰილი (8+6 მოხსნა), ბარნსი (6+5 მოხსნა+3 პასი), მორისი (5), ბლეიკი (3+4 პასი), მერფი (3), გასოლი (3), ეიენგა (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (51.6/42.2), სამქულიანები (50/28.6), საჯარიმოები (52.9/73.3).

**სერია:** 3-3.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ამბები

### ოდენი მომავალს ტოვებს

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ყოფილი ცენტრი, დრაფტის ყოფილი პირველი ნომერი **გრეგ ოდენი** 2012-13 წლების სეზონსაც გამოტოვებს. ეს კალათბურთელი ბოლოს 2009 წლის დეკემბერში ვიხილეთ მოედანზე.

ოდენი გააგრძელებს მუხლის ტრავმის მკურნალობას, რისთვისაც ის კოლამბუსში დაბრუნდება, სწორედ იქ გაივლის სარეაბილიტაციო კურსს და შეეცდება ისევ აკრიფოს ფორმა, რომელიც საკმარისი იქნება NBA-ის რომელიმე კლუბთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

*"იძულებული ვარ ეს პირობები მივიღო, არადა, მირჩევნია ისევ გავიდე მოედანზე და ვითამაშო. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ NBA-ში დავბრუნდე, მაგრამ თუ არ გამომივა, სხვა სამუშაოს ძებნა მომიწევს"*, - განაცხადა ოდენმა.

### სპურსი ფრანგებით ივსება

საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ნიკოლა ბატუმმა** განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის "სან ანტონიო სპურსთან" კონტრაქტის გაფორმების ვარიანტს განიხილავს. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი "პორტლენდის" წევრია და ამ ზაფხულს შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება, რადგან სეზონის მსვლელობისას ვერ მოელაპარაკა "ბლეიზერსს" ახალი კონტრაქტის პირობებზე.

*"სან ანტონიო" - ერთ-ერთია იმ ვარიანტებიდან, რომელსაც ჩემს აგენტთან ერთად განვიხილავ. არ მინდა "პორტლენდიდან" წასვლა, მაგრამ მომიწევს არჩევანის გაკეთება იმ კლუბის სასარგებლოდ, რომელშიც უკეთეს პირობებს შემომთავაზებს"*, - განაცხადა ბატუმმა.

შეგახსენებთ, რომ "სან ანტონიოს" შემადგენლობაში უკვე თამაშობს ორი ფრანგი ლეგიონერი - მცველი **ტონი პარკერი** და ფორვარდი **ბორის დიაო**.

### ათი ოთხთა ფინალი სტამბოლს

ევროლიგის გენერალურ სპონსორს – კომპანია "თურქეთის ავიახაზებს" მომდევნო ათი "ოთხთა ფინალის" ჩატარება სტამბოლში სურს. ამის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა გუშინდელი ნახევარფინალების წინ განაცხადეს.

*"ჩვენ ევროლიგასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი 5+5 სქემით. და გვინდა, რომ ამ დროის განმავლობაში ყველა "ოთხთა ფინალი" სტამბოლში გაიმართოს"*, - წერია კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში.

● ფორმულა 1

# ვინ არის ფავორიტი?




სეზონის ავსტრალო-აზიური ნაწილის დასრულების შემდეგ, ფორმულა 1 ევროპაში გადაბარგდა. ტრადიციულად, სეზონის ამ ნაწილს ბარსელონაში ესპანეთის გრანპრი გახსნის. გუნდები და პილოტები შესანიშნავად იცნობენ კატალონურ ტრასას - ზამთარში სწორედ აქ გადიან ტესტებს. ამიტომაც, ექსპერტების აღიარებით, ეს ფაქტი მაქსიმალურად ობიექტურად შეგვაფასებინებს გუნდების მზადყოფნის დონეს. რაც არ უნდა იყოს, წინა ოთხ ეტაპზე საჯინიბოები ფორს-მაჟორში მოქმედებდნენ და უპასუხოდ დარჩა კითხვა - ვინ არის ამ სეზონის ფავორიტი?

საინტერესოა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ესპანეთში ხუთი სხვადასხვა პილოტი იმარჯვებდა. ამას ემატება ისიც, რომ წელს არც ერთი მრბოლელი არ ასულა ორჯერ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე.

რბოლისწინა კომენტარებში პილოტები და გუნდების წარმომადგენლები ერთხმად აცხადებენ, რომ კარგად ნაცნობი ტრასის მიუხედავად, მთელი დისტანციის უშეცდომოდ გავლა მაინც ძალიან რთულია.

ბოლიდის ბალანსირებაში ნებისმიერი შეცდომა აუცილებლად იჩენს თავს რბოლის დროს, ხოლო მანქანისთვის სარბოლო მახასიათებლების მონახვა ძალიან რთულია, რადგან ტრასის კონფიგურაცია შეიცავს ნელ, საშუალო და მაღალსიჩქარიან მოსახვევებს. ადგილების განაწილებაში, შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშოს ქარმა, რომელიც აქ ხშირად იცვლის მიმართულებას.

ამინდის პროგნოზი გაურკვეველია. კვალიფიკაციის დროს სინოპტიკოსები ავდარს არ ელიან, კვირას კი სავსებით მოსალოდნელია წვიმა.

გუშინ, ორი თავისუფალი პრაქტიკა გაიმართა. პირველი **ფერნანდო ალონსომ** ("ფერარი") მოიგო, მეორე – **ჯენსონ ბატონმა** ("მაკლარენი"). მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** ("რედ ბული") ორჯერვე მეორე ადგილზე გავიდა.

**ფორმულა 1**

**ესპანეთის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - კატალუნია, ესპანეთი
**წრის სიგრძე** - 4 655 მ
**საუკეთესო წრე** - 1:21,670 (რაიკონენი, 2008)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 53 ქულა
2. ჰემილტონი (მაკლარენი) - 49
3. უებერი (რედ ბული) - 48
4. ბატონი (მაკლარენი) - 43
5. ალონსო (ფერარი) - 43
6. როსბერგი (მერსედესი) - 35
7. რაიკონენი (ლოტუსი) - 34
8. გროსჟანი (ლოტუსი) - 23

**განრიგი**

12 ოქტომბერი, 13:00 - III პრაქტიკა
12 ოქტომბერი, 16:00 - კვალიფიკაცია
13 ოქტომბერი, 16:00 — რბოლა

## ჩოგბურთი. მადრიდის მასტერსი


ნოვაკ ჯოკოვიჩი

# რაფას ნოვაკი მიჰყვა

**რაფაელ ნადალის** გუშინწინდელი კრახის შემდეგ, მადრიდის მასტერსს მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბს შარშანდელი ტიტულის დაცვის საშუალება არ მისცა მისმა თანამემამულემ **იანკო ტიპსარევიჩმა**. როგორც ჩანს, პროფესიული ტურის ლიდერებმა ვერაფრით აუღეს ალღო ლურჯ გრუნტს (ამის შესახებ ქვემოთ).

პირველ პარტიაში ჩოგბურთელები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო ძლიერი ტიპსარევიჩი აღმოჩნდა. მეორე სეტში, 2:5-ზე ჯოკოვიჩმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია საკუთარ მოწოდებაზე, შემდეგ კი ტიპსარევიჩის გეიმში ბრეიკ-პოინტები გაანიავა და საათსა და 43 წუთში დანებდა მეტოქეს.

ნოვაკმა სამი ეისი ჩააწოდა და შვიდი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, იანკოს კი შვიდი ეისი და ოთხიდან ერთი რეალიზებული ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. ურთიერთშეხვედრებში ჯოკოვიჩი 4:3-ს უგებს თანამემამულეს.

■ ■ ■

ქალთა მეოთხედფინალურ ეტაპზე ცენტრალური იყო მატჩი **სერენა უილიამსსა** და **მარია შარაპოვას** შორის. წინა დღეს მარიამ უბრძოლველად გაიარა მერვედფინალური ბარიერი, რადგან მისი მეტოქე **ლუსი საფაროვა** ტრავმის გამო ვერ გავიდა კორტზე. უილიამსს კი რთული ბრძოლის გადატანამ მოუწია **კაროლინ ვოზნიაცკისთან**, რომელსაც სამ სეტში გაჭირვებით მოუგო.

მატჩის წინ სერენა აღიარებდა, რომ ფავორიტი რუსი ჩოგბურთელი იყო, თუმცა არ უნდა დაგვევიწყებინა ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა: გუშინდელ მატჩამდე ამერიკელს ზედიზედ ექვსჯერ ჰყავდა დამარცხებული რუსი ვარსკვლავი.

შარაპოვას თავიდანვე შეექმნა პრობლემები – სერენამ ზედიზედ ორი გეიმი აიღო, თანაც მარიას მოწოდებაზე "მშრალი" ანგარიშით იმარჯვა. რუსი ცდილობდა ბრძოლაში შესვლას, მაგრამ უილიამსი იდეალურად მოქმედებდა და მეტოქისთვის მინიმალური შანსიც არ მიუცია – 6:1.

მეორე სეტი უფრო საინტერესო აღმოჩნდა. უილიამსმა ისევ 2:0 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ შარაპოვამ მაშინვე გაათანაბრა – 2:2. მეხუთე გეიმი თითქმის ათი წუთი გაგრძელდა, ოთხჯერ დაფიქსირდა "თანაბარი", მაგრამ ბოლოს მაინც სერენამ იძალა. შარაპოვას მოწოდებისას სერიოზული პრობლემები ჰქონდა და უამრავი ორმაგი შეცდომა დაუშვა. მომდევნო გეიმში მარიამ ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. ამის შემდეგ მეტოქეებმა ისევ გაცვალეს გეიმები, ბოლოს კი უილიამსმა ფანტასტიკურად ითამაშა მოწინააღმდეგის მოწოდებაზე და მეორე მატჩბოლიდან გაიფორმა გამარჯვება – 6:1, 6:3.

ნახევარფინალში ამერიკელს ტურნირის სენსაცია - ჩეხი **ლუსი ჰრადეცკა** ელის, რომელიც მადრიდში ფანტასტიკურ ფორმას აჩვენებს. ერთ-ერთ წინა ეტაპზე მან **პეტრა კვიტოვა** გამოთიშა ბრძოლას, ამჯერად კი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი **სამანტა სტოსური** 19 (!) ეისის წყალობით ორ ტაი-ბრეიკში დაამარცხა.

## ნადალისა და ჯოკოვიჩის ბოიკოტი

მადრიდის მასტერსზე თანამემამულე **ფერნანდო ვერდასკოსთან** წაგების შემდეგ, მსოფლიოს მეორე ნომერმა რაფა ნადალმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება გრუნტის ლურჯი საფარის გამო. რაფამ ისიც არ გამორიცხა, რომ გაისად მის კალენდარში მადრიდის მასტერსს ველარ ვიხილავთ.

*„ATP-ს და ტურნირის ორგანიზატორებს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც მოესურვებათ. მაქსიმალურად ვცდილობდი, გასული კვირის ხუთშაბათიდან მოყოლებული ინტენსიურად ვვარჯიშობდი და მზად ვიყავი ტურნირისთვის რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.*

*მაგრამ მაინც არ აღმოვჩნდი მზად ამგვარ კორტებთან შესაგუებლად. ჩემთვის მნიშვნელოვანია კორტზე სწრაფად გადაადგილება და თუ ამას ვერ ვაკეთებ, შესაბამისად, არც ნორმალური დარტყმები გამომდის. ეს საფარი თამაშის დესტაბილიზაციისთვის არის შექმნილი და არ მინდა რისკზე წასვლა. თუ მადრიდში ყველაფერი ასე გაგრძელდა, შემდეგ წელს ეს ტურნირი აღარ იქნება ჩემს კალენდარში.*

*უნდა ვაღიარო, რომ ბურთი უფრო იოლი შესამჩნევი გახდა, მაგრამ მაინც არ მომწონს ეს ფერი. ეს ცვლილება ცუდი პრეცედენტია. ახლა ხომ შეიძლება რომელიმე სხვა ტურნირის ორგანიზატორებმა კორტის საფარის ყვითლად გაფერადება გადაწყვიტონ?!"* - ამბობს ნადალი სააგენტო AP-ისთან კომენტარში.

რაფას ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** გამოცემა El Pais-თან კომენტარში განაცხადა, რომ ცდილობდა დაეყოლიებინა შეგირდი, რათა მას მონაწილეობა არ მიეღო მადრიდის მასტერსში.

*„ვეუბნებოდი რაფას, არ ეთამაშა წელს მადრიდში, მაგრამ არ დამიჯერა. იმედია, მომავალ წელს აღარ მოინდომებს აქ გამოსვლას"*, - ამბობს უფროსი ნადალი.

რაფაელისგან განსხვავებით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა გააღწია მადრიდის მასტერსის მეოთხედფინალში, მაგრამ არ გამორიცხავს მხარი აუბას ნადალის ინიციატივას და ბოიკოტი გამოუცხადოს მომავალ წელს ამ ტურნირს.

*„ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ახალი კორტი თავისი თვისებებით არ განსხვავდება ჩვენთვის კარგად ნაცნობი წითელი გრუნტისგან. მაგრამ ეს ასე არ არის - სხვაობა ძალიან დიდია. აქ მუდმივად გიცურავს ფეხი და კორტზე ეცემი. ამ ტურნირში გაიმარჯვებს ის, ვინც კვირის ბოლოს ტრავმების გარეშე მიაღწევს. ეს ახალი გამოცდილებაა ჩვენთვის... იმედია, უკანასკნელი. ვაპირებ თუ არა მომავალ წელს ტურნირის ბოიკოტს? დიახ"*, - ამბობს Tennis.com-თან კომენტარში ჯოკოვიჩი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა. პლეი ოფი** | |
| სტივენეიჯი-შეფილდი | 0:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბარი-ბრეშა | 2:2 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კორდობა-ხიმნასტიკი | 4:2 |
| ლას პალმასი-კარტახენა | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა. პლეი ოფი** | |
| რეგენსბურგი-კარლსრუე | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბაიერნი A-ინგოლშტადტი A | 0:3 |
| ფრანქფურტი A-ფიურტი A | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ტრირი-ლოტე | 0:1 |
| ვიდენბრუკი-ლევერკუზენი II | 3:1 |
| ობერჰაუზენი-კაიზერი II | 0:1 |
| შალკე II-ვუპერტალი | 1:2 |
| დორტმუნდი II-ბოხუმი II | 2:0 |
| ფორტუნა II-ესენი | 0:2 |
| ფორტუნა (კ)-გლადბახი II | 1:0 |
| მაინცი II-ფერლი | 0:1 |
| კიოლნი II-კობლენცი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-რეიმსი | 0:2 |
| ანჟერსი-ბულონი | 2:1 |
| არლი-მეცი | 1:0 |
| ბასტია-ნანტი | 2:1 |
| გინგამი-კლერმონი | 3:1 |
| ლავალი-ჰავრი | 0:2 |
| ლანსი-ისტრი | 1:0 |
| მონაკო-ტრუა | 0:2 |
| სედანი-შატორუ | 2:0 |
| ტური-ლე მანი | 2:1 |
| **ნასიონალი** | |
| ბოვე-ეპინალი | 3:4 |
| კოლმარი-შერბური | 0:0 |
| კრეტეი-ნიმი | 0:2 |
| ფრეჟუსი-ბეზანსონი | 4:2 |
| გფკო აიაჩო-პარიზი | 1:0 |
| ლე პუარი-რედ სტარი | 0:2 |
| ლუზენაკი-მარტიგი | 3:3 |
| ორლეანი-ბეიონი | 1:1 |
| კევილი-ნიორი | 0:2 |
| ვანი-რუანი | 1:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ესბერგი-რანდერსი | 0:2 |
| აკადემისკი-როსკილდე | 2:1 |
| ვიბორგი-ჰობრო | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| სირიანსკა-გაის | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრომაპიოკარნა-ტრელებორგი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალტახი-ბლაუ ვაისი | 4:1 |
| აუსტრია (ლ)-ლუშტენაუ | 1:2 |
| ჰარტბერგი-სტ. პოლტენი | 0:3 |
| ლინცი-გრიოდიგი | 1:1 |
| ვენა-სტ. ანდრე | 1:3 |
| **თურქეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ბეშიქთაში-ტრაბზონი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:1 |
| დანდალკი-ბრეი | 0:2 |
| სტ. პატრიკი-კორკი | 0:0 |
| უნივერსიტეტი-შელბურნი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-მერვუ | 2:1 |
| გალვეი-ლიმერიკი | 2:5 |
| უოტერფორდი-ლონგფორდი | 0:2 |
| უექსფორდი-ფინი ჰარპსი | 3:0 |
| **კვიპროსი** | |
| ერიკი-ეთნიკოსი | 2:2 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-ვაშაში | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| კლუჟი-ვოინტა | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლევსკი-ბეროე | 2:0 |
| **ლიტვა** | |
| ვილნიუსი-ბანგა | 1:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (რ)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:3 |
| მაკაბი (ა-ნ)-ბნეი ლოდი | 0:6 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ი) | 1:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ნეფთჩი-ქაბალა | 0:1 |
| ინტერი-ბაკუ | 1:0 |
| ხაზარი-ყარაბახი | 4:1 |
| **არგენტინა** | |
| სან მარტინი-არსენალი | 1:4 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ცსკა-პანათინაიკოსი | 66:64 |
| ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 68:64 |
| **ბელგია** | |
| ლიეჟი-აალსტი | 82:89 |
| შარლერუა-ოსტენდე | 63:68 |
| **სერბეთი** | |
| პარტიზანი-რადნიჩკი | 82:76 |
| **ბულგარეთი** | |
| ლევსკი-იამბოლი | 78:75 |
| ლუკოილი-ჩერნო მორე | 100:83 |
| **ლატვია** | |
| ლიეპაიასი-უნივერსიტეტი | 93:92 |
| **პოლონეთი** | |
| ზასტალი-პროკომი | 77:90 |
| **ჩეხეთი** | |
| დეჩინი-პროსტეევი | 76:66 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| აშშ-ყაზახეთი | 3:2 |
| ჩეხეთი-იტალია | 6:0 |
| ფინეთი-კანადა | 3:5 |
| შვედეთი-რუსეთი | 3:7 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| დელ პოტრო-დოლგოპოლოვი | 6:3, 6:4 |
| ბერდიხი-ვერდასკო | 6:1, 6:2 |
| ჯოკოვიჩი-ტიპსარევიჩი | 6:7, 3:6 |
| ფედერერი-ფერერი | 6:4, 6:4 |
| **WTA. მადრიდი** | |
| აზარენკა-ნა ლი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ს. უილიამსი-შარაპოვა | 6:1, 6:3 |
| ა. რადვანსკა-ლეპჩენკო | 6:4, 6:4 |
| სტოსური-ჰრადეცკა | 6:7, 6:7 |

## TV პროგრამა

### 12 მაისი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 სუპერკოლაჟი.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტურის წინ.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
14:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
15:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
16:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
17:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
18:00 საფეხბურთო პროგრამა – გოლი.
19:30 იტალიის შოუ.
20:00 სუპერკოლაჟი.
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. სოდიედადი-ვალენსია (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ბეტისი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა – გოლი.
11:45 NBA Action.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. კლიპერსი-მემფისი. VI მატჩი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ცსკა-პანათინაიკოსი. სტამბოლი. თურქეთი.
18:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა . 1/2 ფინალი. ალსტერი-ედინბურგი.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ოლიმპიაკოსი-ბარსელონა. სტამბოლი. თურქეთი.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის თასი. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. კლიპერსი-მემფისი. VI მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი
16:00 პოკერ-რინგი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ლეიკერსი-დენვერი.

**I არხი**

18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### 13 მაისი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ბეტისი-ბარსელონა.
12:00 იტალიის შოუ.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 გერმანიის თასი. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი.
16:30 სუპერკოლაჟი.
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი (LIVE).
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-არსენალი.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
22:45 იტალიის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ლაციო-ინტერი (LIVE).
00:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური. მონპელიე-ლილი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ვიტესი-ნიიმეგენი. საპასუხო მატჩი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
21:00 საკალათბურთო მიმოხილვა.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. ფინალი. სტამბოლი. თურქეთი (LIVE).
00:45 NBA Actio

**I არხი**

22:20 ფეხბურთი. ევრო 2012 (UNDER 17). ფინალური ტურნირი. 1/2 ფინალი. საქართველო-პოლანდია (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 18 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 24 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 28 | (მზე) |
| გორი | 17 | 28 | (მზე) |
| თელავი | 16 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 18 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 26 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 24 | (მცირე წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0995 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6221 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6135 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3731 |

● მძლეოსნობა



# უარი შეყვარებულზე... ოლიმპიადის გამო

## უსაინ ბოლტი მის სლოვაკეთს დაშორდა ოლიმპიადისთვის უკეთ მოსამზადებლად

როგორც ჩანს, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** ლონდონის ოლიმპიადაზე ძალიან მაღალ შედეგებს შემოგვთავაზებს.

ამაზე მეტყველებს იამაიკელი სპრინტერის ბოლო საქციელი – წლევანდელი მთავარი სტარტისთვის მაქსიმალური კონცენტრირების გამო ბოლტი თავის შეყვარებულს, სლოვაკ მოდელ **ლიუბიცას** დაშორდა. მათი რომანი ექვსი თვე გრძელდებოდა.

თავდაპირველად, წყვილის დაშორების შესახებ ერთ-ერთმა იამაიკურმა ვებგვერდმა დაწერა, გუშინ კი ბოლტის აგენტმა დაადასტურა, რომ მორბენალი ამჟამად მარტოა. ხოლო უსაინის ერთ-ერთმა ინკოგნიტო მეგობარმა განაცხადა, რომ ეს იყო ორი ზრდასრული ადამიანის გადაწყვეტილება.

ეს ამბავი ყველაზე მეტად იამაიკელ ლამაზმანებს გაუხარდებოდათ. ამ ექვსი თვის განმავლობაში ისინი სოციალური ქსელების მეშვეობით აკრიტიკებდნენ ლეგენდას იმის გამო, რომ მან თეთრი ქალი აირჩია.

ლიუბიცა თავის დროზე მის სლოვაკეთი გახდა, რის შემდეგაც მამასთან ერთად კანადაში გადავიდა საცხოვრებლად. ტორონტოში ის მოდის დიზაინს სწავლობდა. იამაიკა კი პირველად 2000 წელს ნახა და ისე მოეწონა, რომ იქ გადავიდა საცხოვრებლად. ბოლტი მან საერთო მეგობრის, მომღერლის **ტამი ჩინის** მეშვეობით გაიცნო.

ლიუბიცამ სპრინტერთან მორიგი შეხვედრის დროს ინტერვიუ ჩამოართვა სლოვაკური პრესისთვის და სწორედ აქედან დაიწყო მათი რეგულარული შეხვედრები.





● ჰოკეი

# გრეტცკის ანერვიულებენ



ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტად აღიარებული **უეინ გრეტცკის** 23 წლის ქალიშვილმა – **პაულინამ**, სავარაუდოდ, შოკში ჩააგდო მშობლები, როცა ინტერნეტში გამოიტანა ფოტოგალერეა, სადაც სურათების უმეტეს ნაწილში ის შიშველია გამოსახული. ამის შესახებ კანადური გაზეთი Vancouver Sun წერს.

პაულინა მოდელი და ცნობილი პოპ-მომღერალია (ადგილობრივი საზომით). თავის დროზე ის მონაწილეობას იღებდა თამამ ფოტოსესიებში და ახლა, როგორც ჩანს, ძველი დროის გახსენება გადაწყვიტა. მან სხვადასხვა წლის ფოტოები ერთ ალბომში შეაგროვა: ერთ სურათში ის ნახევრადშიშველ ბიჭებთან ერთად პოზირებს, მეორეში გამომწვევი ტანისამოსით არის გამოსახული და ა. შ.

ჯერჯერობით უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა პაულინას "აქციაზე" ლეგენდარულ მამას.

● კრივი

# ვიტალის ცოდვები შეახსენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონი უკრაინის მაფიასთან კავშირში დაადანაშაულეს



უკრაინის საპარლამენტო არჩევნების წინ ინტერნეტში სულ უფრო ხშირად ჩნდება სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონის - **ვიტალი კლიჩკოს** მაკომპრომიტირებელი ფოტოები. ერთ-ერთზე ჩემპიონი გამოსახულია ცნობილ უკრაინელ კრიმინალურ ავტორიტეტებთან – **ვიქტორ რიბალკასთან** და მის "მარჯვენა ხელთან" **ანდრეი ბოროვიკთან** ერთად.

1997 წლით დათარიღებული ფოტო დეპუტატობის კანდიდატს პოპულარობას ნამდვილად არ მატებს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორივე "კანონიერი ქურდი" ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს, შესაბამისად, 2000 და 2005 წლებში.

თავად კლიჩკომ ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის კავშირს უკრაინის კრიმინალურ სამყაროსთან: *"ბევრ ადამიანს ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ ეს ხალხი ჩემი გუნდის წევრები არ არიან.*

*უბრალოდ, ვიცნობ სპორტის ბევრ მოყვარულს და ეს ორიც მათ რიცხვში იყო. ვფიქრობ, ასეთივე წარმატებით შეიძლება მოინახოს ფოტო საბავშვო ბაღიდან ან სკოლიდან და გამოაცხადონ, რომ მე ვდგავარ ადამიანთან, რომელიც ახლა საეჭვო რეპუტაციით სარგებლობს".*

უფროსი კლიჩკო ამ ფოტოების გამოჩენას პროვოკაციად მიიჩნევს, რომელიც არჩევნების წინ მის დისკრედიტაციას ემსახურება.

# აკრძალული ჩხუბი



ბრიტანეთში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სკანდალურად ცნობილი ორი სუპერმძიმეწონოსნის - **დერეკ ჩისორასა** და **დევიდ ჰეის** შორის დაგეგმილმა ბრძოლამ.

ამ იდეამ ძალიან ალაშფოთა ბრიტანეთის კრივის ფედერაცია. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა, ვისაც კი ირიბი შეხება მაინც ექნება მომავალ ორთაბრძოლასთან, ბრიტანული საკრივო ლიცენზიის გარეშე დარჩება. სანქცია შეეხება პრომოუტერებს, საკრივო შოუს სხვა ორთაბრძოლების მონაწილეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ექიმებს, სატელევიზიო კომპანიის წარმომადგენლებს და ა. შ. როგორც იცით, დერეკ ჩისორა ერთი წლით არის დისკვალიფიცირებული და ფედერაციის მკაცრი პოზიციაც აქედან მოდის.

შეგახსენებთ, რომ ეს ბრძოლა 14 ივლისს ლონდონში, საფეხბურთო კლუბ "ვესტ ჰემის" საშინაო არენაზე – "აპტონ პარკზე" გაიმართება. მოკრივეებს ბრძოლისთვის საჭირო ლიცენზიებს ლუქსემბურგის კრივის ფედერაცია გადასცემს.

ასევე შეგახსენებთ, რომ 14 ივლისის საკრივო შოუს რანგში გაიმართება სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონის, რუსი **ალექსანდრ პოვეტკინისა** და ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანის** შეხვედრა.

დოპინგი

# მარიხუანა შეიძლება?

თუ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) პრეზიდენტის **დევიდ ფეიჰის** ფრაზებით ვიმსჯელებთ, სულ მალე, შესაძლოა, მარიხუანა აღარ ჩაითვალოს აკრძალულ პრეპარატად.

რამდენიმე დღის წინ, ავსტრალიის პროფესიული და სამოყვარულო სპორტის ასოციაცია (COMPS) გამოვიდა მოწოდებით იმის თაობაზე, რომ მარიხუანა არ დააყენონ ისეთი აკრძალული პრეპარატების გვერდით, როგორიცაა ადამიანის ზრდის ჰორმონები ან ანაბოლური სტეროიდები, რომელთა მოხმარებაც მკაცრად ისჯება WADA-ის მიერ.

*"არ გამოვხატავ საკუთარ პოზიციას, უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს საკითხი დაწვრილებით იქნება შესწავლილი. არსებობს რამდენიმე ნივთიერება, რომელიც სპორტის ზოგიერთ სახეობაში აკრძალულია, ზოგში – არა. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა, უმჯობესია WADA-ის კომიტეტმა მიიღოს გადაწყვეტილება ჩემი მხრიდან გავლენისა თუ ზეწოლის გარეშე"*, - განაცხადა ფეიჰიმ.

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს პრეზიდენტის ინიციატივამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია პროფესიული სპორტის სამყაროში. მართლაც, თუ მარიხუანა აღარ ჩაითვლება დოპინგად, რას შეიძლება დაემგვანოს თანამედროვე სპორტი?! იდეა შემდეგში მდგომარეობს: სამედიცინო ტესტებმა დაამტკიცეს, რომ სპორტსმენი, რომელიც მარიხუანას იყენებს და რომლის სპორტული ამბიციები დამოკიდებულია სისწრაფის განვითარებაზე, აღნიშნული პრეპარატისგან არ იღებენ საკმარის სტიმულაციას, პირიქით, საკუთარ თავს აზარალებს. მსგავს საკანონმდებლო რეფორმას აფერხებს სპორტის იმ სახეობების სპორტსმენთა მდგომარეობა, რომლებშიც ჩემპიონობა დამოკიდებულია სიზუსტეზე, მაგალითად, ტყვიის სროლა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია